თეგეტა ჰოლდინგის მდგრადი განვითარების ანგარიში 2023

შინაარსი

მთავარი აღმასრულებელი ოფიცრის მიმართვა 2

1. შესავალი **5**

1.1. თეგეტა ჰოლდინგის ბიზნესსაქმიანობა 6

1.2. კორპორაციული მდგრადობის სტრატეგია 16

1.3. ანგარიშის შესახებ 19

1.4. მდგრადი განვითარების მიზნებში შეტანილი წვლილი 19

2. კორპორაციული მმართველობა და მდგრადობა **20**

2.1. მენეჯმენტი და მართვის სტრუქტურა 21

2.2. მდგრადი განვითარების მენეჯმენტი 23

2.3. ადამიანის უფლებების დაცვა 24

2.4. ბიზნეს ეთიკა 25

3. თანამშრომლების კეთილდღეობა **26**

3.1. თანამშრომელთა განვითარება 28

3.2. თანამშრომელთა მხარდამჭერი და ჩართულობის პროექტები 32

4. გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა **37**

4.1. პოლიტიკა და მენეჯმენტი 38

4.2. გარემოსდაცვითი რისკების მართვა 39

4.3. გარემოსდაცვითი პრიორიტეტები 40

4.4. რესურსების მოხმარება 40

4.5. ნარჩენების მართვა 42

4.6. ტრანსპორტირებით გარემოზე ზემოქმედების შემცირება 45

4.6.1. მწვანე ობლიგაციები 46

4.6.2. ავტოპარკი 50

5. პასუხისმგებლობა მომხმარებლების მიმართ **51**

5.1. მომხმარებლებთან ურთიერთობის სტრატეგია 52

5.2. მომხმარებლებთან კომუნიკაცია 55

5.3. პერსონალურ მონაცემთა დაცვა 55

5.4. მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინება 56

6. საზოგადოების მხარდაჭერა **57**

6.1. ასოციაციების წევრობა და ჯილდოები 58

6.2. საზოგადოების მხარდაჭერის პროექტები 60

6.2.1. Tegeta.Care 61

6.2.2. თეგეტა სოციალური საწარმოებისთვის 66

6.2.3. ზრუნვის კედელი 71

6.2.4. გენდერული თანასწორობა 72

6.2.5. განათლების წახალისება 74

6.2.6. გარემოს დაცვა 76

7. უსაფრთხოება **78**

7.1. თანამშრომლების უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე 79

7.2. საგზაო უსაფრთხოების ხელშეწყობა თეგეტაში 81

7.3. საგზაო უსაფრთხოების ხელშეწყობა საზოგადოებაში 82

მთავარი ადმასრუნველი ოფიცრის მიმართვა

თითქმის სამი ათეული წელია, „თეგეტა" ავტოინდუსტრიაში საკუთარ სტანდარტებს ამკვიდრებს. ამ დროის განმავლობაში უცვლელია ჩვენი პრიორიტეტი - საავტომობილო სერვისის სრული სპექტრის შეთავაზებით მომხმარებელს ავტომობილის ფლობა გავუმარტივოთ. ამავე დროს მუდმივად მივყვებით ცვლილებებს მსოფლიო ავტოინდუსტრიაში, ვნერგავთ მათ ჩვენს ყოველდღიურობაში და მაღალი დონის მომსახურებით ვპასუხობთ მომხმარებლის მოლოდინებს.

მსოფლიო სტანდარტების დანერგვა და მდგრადი მიზნების მისაღწევად რეგიონში ძირეული ცვლილებების გატარება ჩვენი საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. მუდმივ ზრდასა და განვითარებაზე ზრუნვით დღეს ამიერკავკასიაში სერვისის პირველი ჰაბი და მსოფლიო მასშტაბით სანდო ბიზნესპარტნიორები ვართ.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ განვლილი გზის მანძილზე „თეგეტა ჰოლდინგმა" რეგიონის მასშტაბით ავტომომსახურების მაღალი სტანდარტი შექმნა, რომელიც ტრანსპორტის სფეროში ხარისხის საზომად იქცა.

პარალელურად, როგორც პასუხისმგებლობიანი ბიზნესისთვის, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა „თეგეტას“ საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. ვამაყობთ, რომ „თეგეტა ჰოლდინგი“ პირველი ქართული კომპანიაა, რომელმაც 2022 წელს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში კორპორაციული მდგრადობის სტრატეგია შეიმუშავა, რომელმაც მეტი თანმიმდევრულობა და სისტემურობა შესძინა „თეგეტას'' მდგრად ბიზნესმოდელად ჩამოყალიბების გზაზე, ამავდროულად 2030 წლამდე განსაზღვრა მიზნები და დეტალური სამოქმედო გეგმები.

მიგვაჩნია, რომ მდგრადობის ანგარიში, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობით მომზადდა და რომელსაც წელს პირველად ვაქვეყნებთ, ფართო საზოგადოებასთან ჩვენს პასუხისმგებლობიან დამოკიდებულებას ნათლად წარმოაჩენს. ამ გზით ჩვენი პარტნიორებისთვის, ინვესტორებისთვის, მომხმარებლებისთვის, თანამშრომლებისა და საზოგადოებისთვის ვქმნით ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობისა და სანდოობის ტრადიციულად მაღალ სტანდარტს. ანგარიში მოიცავს 2023 წლის მონაცემებს და ეხება თითქმის ყველა სფეროს, რომელზეც გავლენა გვაქვს.

ამასთანავე, ანგარიში არა მხოლოდ ჩვენი საქმიანობის შესახებ ყოვლისმომცველ ხედვას წარმოაჩენს, არამედ გვაძლევს დამატებით შესაძლებლობებს, წლიდან წლამდე დავინახოთ და წარმოვაჩინოთ პროგრესი, გავაანალიზოთ ის გამოწვევები, რომლებსაც „თეგეტა'' მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის გზაზე გადის და შესაბამისად დავგეგმოთ მომავალი წელი.

ანგარიში ნათლად წარმოაჩენს გარემოზე ზრუნვის მიმართულებით კომპანიის კომპლექსურ მიდგომას. „თეგეტა“ აქტიურად მუშაობს მდგრად სატრანსპორტო გადაწყვეტაზე ნულოვანი ემისიების ხელშესაწყობად, ნარჩენების ეფექტურად მართვისა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიმართულებით. ჰოლდინგმა 2023 წელს შექმნა პრეცედენტი მწვანე ობლიგაციების გამოშვებით, რომელიც ქვეყნის ელექტრიფიკაციის გზაზე მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია. ამავე წელს გავხსენით ულტრათანამედროვე საავტომობილო კომპლექსი, რომელიც ენერგოეფექტურობის მხრივ განსაკუთრებით საამაყო პროექტია. „თეგეტა მოტორსისა“ და Volvo-ს ახალი მულტიფუნქციური შენობის სახურავზე 700-ზე მეტი მზის პანელია დამონტაჟებული, რაც ელექტროენერგიის დაახლოებით 40%-იანი ეკონომიის შესაძლებლობას გვაძლევს.

ნარჩენების ეფექტური მართვის ფარგლებში, „თეგეტა გრინ პლანეტის“ მეშვეობით გარემოდან ამოვიღეთ და გადასამუშავებლად პარტნიორებს ჩავაბარეთ 2,885,582 კგ მეორადი საბურავი, 1,158,330 კგ მეორადი აკუმულატორი და 779,687 კგ მეორადი ზეთი. „თეგეტა“ ქვეყნის ერთ-ერთი უმსხვილესი დამსაქმებელია. ჰოლდინგში 2023 წლის მონაცემებით 3000-მდე ადამიანია დასაქმებული. ეს გვაკისრებს დიდ პასუხისმგებლობას, რომ თანამშრომლებისთვის შევქმნათ უსაფრთხო, დაფასებული, ღირსეული სამუშაო გარემო და, ამასთანავე, ვიზრუნოთ მათ მუდმივ განვითარებაზე.

„თეგეტა'' არის ადგილი, სადაც თანამშრომლებისთვის კარიერული განვითარების გზაზე დიდი შესაძლებლობებია. ამას ადასტურებს ტოპ მენეჯმენტში მყოფი „თეგეტელების'' 76%, რომლებისთვისაც კარიერის ძირითადი გზა დაბალი რგოლის პოზიციებიდან მაღალი რგოლის მენეჯერობამდე სწორედ „თეგეტაში'' დაიწყო და დღემდე ასე გრძელდება.

დასაქმებულთა 16%-ს ჰოლდინგში მუშაობის ათ წელზე მეტი გამოცდილება აქვს. „თეგეტა'' მუდმივად ზრუნავს მათ ღირსეულ აღიარებასა და კარიერული განვითარების შექმნის შესაძლებლობებზე, რაც აისახება კიდეც „თეგეტელების'' განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე კომპანიის მიმართ.

„თეგეტას“ განვითარების ისტორია აჩვენებს, რომ საზოგადოების კეთილდღეობასა და უსაფრთხოებაზე ზრუნვა ჰოლდინგის იდენტობის ნაწილია. კომპანიაში მიგვაჩნია, რომ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის გაძლიერებით საკუთარი წვლილი შეგვაქვს ქვეყნის მდგრად განვითარებაში, რაც ჰოლდინგის საქმიანობის წარმატებისა და უკეთესი მომავლის პირდაპირპროპორციულია. საზოგადოების მხარდამჭერ პროექტებში გამორჩეულია ზრუნვის პლატფორმა Tegeta.care, რომელიც მწვავე პრობლემების მოგვარებაზე მზრუნველ ორგანიზაციებს აერთიანებს. 50-ზე მეტი პარტნიორი, 50-ზე მეტი ერთობლივი აქტივობა და საზოგადოების სასიკეთო ცვლილებებისთვის გაცემული 280,000 ლარზე მეტი - ეს 2022-2023 წლებში „თეგეტასა“ და საზოგადოების ჩართულობით მიღწეული შედეგებია. ამავე პერიოდში, საზოგადოებასა და გარემოზე ზრუნვის მიმართულებით „თეგეტამ“ 70-ზე მეტი მსხვილი თუ მცირე პროექტი განახორციელა, პირდაპირი კომუნიკაციის გზით მისწვდა 2500-ზე მეტ ადამიანს ცოდნის გადაცემის, მხარდაჭერისა თუ სხვა გზით.

ჰოლდინგი, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, კიდევ არაერთი მასშტაბური პროექტის წარმმართველია, რომლებსაც ანგარიშში უფრო ვრცლად გაეცნობით. თანმიმდევრულმა ნაბიჯებმა და რეალურმა დადებითმა გავლენებმა „თეგეტას'' სხვადასხვა პრესტიჟული ჯილდო და ადგილობრივი და საერთაშორისო ჟიურის აღიარება მოუტანა.

საამაყო შედეგების კვალდაკვალ მე, როგორც „თეგეტას'' ახალი CEO, მზად ვარ, ჩემს გუნდთან ერთად, კომპანია მდგრადი განვითარების გზაზე წინ და წინ ვატარო. ჩვენი მიზანია, ყოველწლიურად გავაუმჯობესოთ ანგარიშგების პროცესი და კიდევ უფრო მეტად მივუახლოვდეთ საერთაშორისო სტანდარტების უმაღლეს დონეს. გვჯერა, რომ ეს ანგარიშგება კიდევ უფრო მეტად აქცევს „თეგეტას'' მდგრადი ბიზნესპრაქტიკების მქონე სამაგალითო კომპანიად საქართველოსა და მთელ რეგიონში.

ეკატერინე ქავთარაძე
„თეგეტა ჰოლდინგის''
მთავარი აღმასრულებელი ოფიცერი

ოქტომბერი, 2024

ანგარიშის შესახებ

,თეგეტა ჰოლდინგი“ მდგრადობის ანგარიშს პირველად წარადგენს. ის 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდს მოიცავს. ანგარიში ასევე შეიძლება მოიცავდეს 2022 წლის მონაცემებს.

მდგრადობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია აერთიანებს ,,თეგეტა ჰოლდინგის“, მისი შვილობილი და დაკავშირებული კომპანიების მონაცემებს. ანგარიშში კომპანია მოხსენიებულია როგორც ,,თეგეტა ჰოლდინგი“ ან ,,თეგეტა“, რაც თავის მხრივ აერთიანებს ჰოლდინგის დედა კომპანიას - შპს „თეგეტა მოტორსსა“ და შვილობილ კომპანიებს, რომლებიც ძირითადად საქმიანობენ საქართველოში. ჰოლდინგის მასშტაბით ,,თეგეტა მოტორსს“ დომინანტური წილი აქვს. ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები კი კარგად წარმოაჩენს მთლიანად ჰოლდინგის ზეგავლენას. მონაცემების ნაწილი წარმოდგენილია ჰოლდინგის დონეზე, სადაც მათი საფუძვლიანად წარმოჩენა იყო შესაძლებელი. ანგარიშში განხილული პოლიტიკები და მიდგომები მთელ კომპანიას მოიცავს და ჰოლდინგის საქმიანობას სრულად ასახავს.

ანგარიშზე მუშაობის დროს გამოყენებული იყო საერთაშორისო სტანდარტები - ანგარიშგების გლობალური ინიციატივა (GRI) და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები (SDG), რაც მდგრადი ანგარიშგების საერთაშორისოდ აღიარებული ფორმატებია. დოკუმენტი ასევე ფარავს გაეროს გლობალური შეთანხმების „კომუნიკაცია პროგრესის შესახებ“ საჭიროებებს.

ანგარიშის მომზადების პროცესში ,,თეგეტას“ კონსულტაცია გაუწია CSR Agency-მ, რომელიც ასევე აქტიურად იყო ჩართული კომპანიის CSR სტრატეგიის მომზადებაში, რამაც პროცესს მეტი თანმიმდევრულობა და სიზუსტე შემატა.

უკუკავშირის ან ანგარიშთან დაკავშირებულ შეკითხვებთან დაკავშირებით, დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ კომპანიას შემდეგ ელ.ფოსტაზე: sustainability@tegetamotors.ge

1.შესავალი

1.1. თეგეტა ჰოლდინგის ბიზნესსაქმიანობა

1.2. კორპორაციული მდგრადობის სტრატეგია

1.3. ანგარიშის შესახებ

1.4. მდგრადი განვითარების მიზნებში შეტანილი წვლილი

1.1. „თეგეტა ჰოლდინგის“ ბიზნესსაქმიანობა

„თეგეტა ჰოლდინგი“ 29 - წლიანი გამოცდილებით, დღეს ლიდერია საქართველოში საავტომობილო პროდუქტებისა და მომსახურების სფეროში. ასეთივე წარმატებით კომპანია წარმოდგენილია ამიერკავკასიისა და ცენტრალური აზიის ბაზრებზე.

„თეგეტა“ მომხმარებლებისთვის სრულ საავტომობილო ეკოსისტემას ქმნის. ეს არის კომპანია, სადაც ერთმანეთისგან სულ რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით შესაძლებელია მსუბუქი ავტომობილის, სატვირთო და სამშენებლო ტექნიკის სერვისების მიღება. ასევე კომერციულ, სამგზავრო და ინდუსტრიულ ტრანსპორტთან დაკავშირებული ნებისმიერი მომსახურებით სარგებლობა. ეს პროცესი, ერთი ფანჯრის პრინციპით, მარტივად, საერთაშორისო სტანდარტების დაცვით მიმდინარეობს.

ქვეყანაში, სადაც 30 წლის წინ ჯერ კიდევ საბჭოთა ავტომანქანები და საბჭოთა ნაწილები იყო დომინანტი, „თეგეტა“ ავტოინდუსტიის სფეროში გამოჩნდა. სწორედ ამ პერიოდში, 1995 წელს, დაიწყო „თეგეტას“ ისტორია სათადარიგო ნაწილებით მოვაჭრე პატარა მაღაზიით. დღეს კი ჰოლდინგი საავტომობილო ეკოსისტემის სრულ სპექტრს მოიცავს.

კომპანიის ტრანსფორმაციას საუკეთესოდ წარმოაჩენს Bridgestone-თან თანამშრომლობის ისტორიაც - „თეგეტა“ მსოფლიოში საბურავების მწარმოებელი წამყვანი ბრენდის ოფიციალური დილერი 1998 წელს გახდა. „თეგეტასა და Bridgestone-თან თანამშრომლობის დაწყებამ ქვეყანაში ავტოინდუსტრიის განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლას შეუწყო ხელი.

კომპანიის სერვისების ხარისხსა და გამართულობაზე საერთაშორისო ჯილდოებიც მეტყველებს. „თეგეტა“ ავტოინდუსტრიაში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული Groupauto International-ის გლობალური ჯილდოს მფლობელია.

ჰოლდინგი მსოფლიოს 300-ზე მეტი წამყვანი საავტომობილო ბრენდის უმსხვილესი იმპორტიორია. არის Michelin, Bridgestone, Toyota, Porsche, Volvo, Mazda, MAN, Renault, Liebherr, JCB და სხვა ბრენდების ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში. გარდა ამისა, ჰოლდინგი საკუთარ სტანდარტს ამყარებს რეგიონშიც და დამატებით კომერციულ საქმიანობას 4 კონტინენტზე ეწევა.

პარალელურად, ქმნის საავტომობილო ინფრასტრუქტურას, რომელსაც პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ანალოგი არ აქვს და ევროპის მასშტაბითაც გამორჩეულია. 2023 წელს „თეგეტამ“ ახალი, მულტიფუნქციური საავტომობილო კომპლექსი გახსნა. ეს ულტრათანამედროვე სივრცე პირველია რეგიონის საავტომობილო სექტორში, რომელიც მომხმარებელს განახლებული კონცეფციით ემსახურება.

ამასთან, შენობისა და ავტომობილების სადგომის გადახურვაზე 762 მზის პანელია დამონტაჟებული, რომლებიც წლის განმავლობაში ნახევარ მეგავატ ენერგიას გამოიმუშავებს. ამავე წელს „თეგეტამ" ახალი კონცეპტუალური შოურუმი Volvo Retail Experience გახსნა, რომელიც ბრენდის სამშობლოში, შვედეთში, წარმოდგენილი შოურუმის ანალოგია. 2024 წელს კი VRE კონცეფციის სერვისცენტრს აზერბაიჯანში ააშენებს. ასევე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში პირველმა შექმნა Destination Porsche კონცეფციით განახლებული სერვისცენტრი. 2024 წლის დასაწყისში კი Toyota-ს საერთაშორისო გაიდლაინით მოაწყო Toyota Center Tegeta-ს განახლებული შოურუმი.

სრული საავტომობილო ეკოსისტემა ერთ ჰოლდინგში

საავტომობილო ინდუსტრიის წამყვანი კომპანია



ჰოლდინგის ცენტრალურ ფილიალში 16 წელი MAN-ის ავტორიზებული სერვისცენტრი ფუნქციონირებდა. ის სრულად შეესაბამებოდა გერმანული ბრენდის სტანდარტებს, როგორც ინფრასტრუქტურის, ისე შრომის უსაფრთხოების, ინსტრუმენტებისა და დანადგარების თვალსაზრისით. 2024 წელს MAN-ის ახალი სერვისცენტრი კიდევ უფრო მასშტაბური სახით ახალ ლოკაციაზე გეზში (გაფორმების ეკონომიკური ზონა) გაიხსნება.

„თეგეტა“ 2007 წლიდან ბრიტანული უმსხვილესი სამშენებლო ტექნიკის ბრენდის, JCB-ს ოფიციალური დილერია საქართველოსა და კავკასიის სხვა ქვეყნებში.

„თეგეტა ჰოლდინგს“ საკუთარი წვლილი შეაქვს რეგიონში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის პროცესშიც. კომპანიამ ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის განვითარება სტრატეგიულ პრიორიტეტად აქცია და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობასაც უზრუნველყოფს. წლების წინ დაიწყო და მუდმივად აფართოებს დასამუხტი სადგურების ქსელს მთელი ქვეყნის მასშტაბით. ჰოლდინგის შვილობილ კომპანიებს ქვეყანაში აქტიურად შემოჰყავთ ელექტროფიცირებული და ჰიბრიდული ავტომობილები.

ენერგოეფექტურობის სტანდარტებს კომპანია მშენებლობაშიც იცავს და მთელ რიგ სხვა კომპონენტებთან ერთად, მზის პანელების საშუალებით განახლებად ენერგიას გამოიმუშავებს.

აღსანიშნავია, კომპანიის საქმიანობა პროფესიული განათლების მიმართულებითაც. „თეგეტა აკადემიის“ დახმარებით ჰოლდინგი ყოველწლიურად სხვადასხვა სპეციალობის კადრებს ამზადებს და ცოდნის ექსპორტს უკვე რეგიონშიც ახორციელებს.

თეგეტა ციფრებში

უმსხვილესი საავტომობილო კომპანია თანამედროვე ინფრასტრუქტურით ოპერირებს ოთხ კონტინენტზე·

SCOPE

2023 წელს სარეიტინგო სააგენტომ "Scope Ratings" კომპანიას გაუუმჯობესა პერსპექტივა და განახლებული რეიტინგი განისაზღვრა BB- კატეგორიით და სტაბილური პერსპექტივით.

Forbes

2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით, Forbes-ის მონაცემებით, საქართველოს ყველაზე მაღალი შემოსავლის მქონე კერძო კომპანიების რეიტინგში „თეგეტა ჰოლდინგი“ მესამე ადგილს იკავებს.

თეგეტას განვითარების გზა



ბიზნესსაქმიანობა

„თეგეტა ჰოლდინგის“ მთავარი ბიზნესმიმართულებები:

თეგეტა მოტორსი

“თეგეტა მოტორსი” 1995 წლიდან ოპერირებს ბაზარზე მსუბუქი, სატვირთო და სპეციალური დანიშნულების სერვისის მიმართულებით. კომპანია მომხმარებელს ავტომომსახურებისა და საავტომობილო პროდუქციის სრულ სპექტრს სთავაზობს. “თეგეტა მოტორსს” მთელი ქვეყნის მასშტაბით 28 ფილიალი აქვს და 300-მდე მსოფლიო ბრენდის წარმომადგენელია საქართველოში. მათ შორის არის Bridgestone, Michelin, Varta, Shell, Motul და სხვ.

თეგეტა ქარსი

„თეგეტა ქარსი“ ჰოლდინგში შემავალი სტრატეგიული ბიზნესმიმართულებაა, რომელიც ბაზარზე 2010 წლიდან ოპერირებს და რეგიონში ავტოინდუსტრიის განვითარებაზე ზრუნავს. მსოფლიოს წამყვან ბრენდებთან - Porsche, Volvo, Toyota, Mazda, Geely, Zeekr, Polaris - პარტნიორობით, კომპანია მუდმივად ზრდის ხელმისაწვდომობას უსაფრთხო, კომფორტულ და ეკომეგობრულ ტრანსპორტზე. რეგიონში ახალი ბრენდები შემოჰყავს და მომხმარებელს გაყიდვების შემდგომ მაღალი ხარისხის მომსახურებას სთავაზობს.

თეგეტა ბიზნესი

“თეგეტა ბიზნესი” სატვირთო, კომერციული ავტომობილების, მუნიციპალური ტრანსპორტისა და სპეციალური დანიშნულების ტექნიკის მიმართულებებს აერთიანებს. “თეგეტა ბიზნესი” რეგიონის მასშტაბით 10 000-ზე მეტ ორგანიზაციას ემსახურება. კორპორაციული მომხმარებლები პერსონალური გაყიდვების მენეჯერების მომსახურებით სარგებლობენ, რომლებიც ინდივიდუალური მიდგომით უზრუნველყოფენ მათ ბიზნესამოცანებსა და საჭიროებებზე მორგებული პროდუქტებისა და პირობების შეთავაზებას. “თეგეტა ბიზნესი” რეგიონის მასშტაბით ისეთ საერთაშორისო ბრენდებს წარმოადგენს როგორებიცაა: MAN, HINO, XCMG, DONGFENG, JCB, LIEBHERR, BOMAG, MARINI და სხვ.

თეგეტა ინთერნეიშენალი

„თეგეტა ინთერნეიშენალი“ ჰოლდინგისათვის ერთ-ერთი სტრატეგიული ბიზნესმიმართულება, რომელიც 2023 წლიდან ოპერირებს. ლოკალური ფილიალების მეშვეობით, კომპანია წარმატებით ახორციელებს ჰოლდინგში შემავალი ბრენდების საერთაშორისო გაყიდვებს ამიერკავკასიის და ცენტრალური აზიის რეგიონში. აზერბაიჯანისა და უზბეკეთის ბაზრებზე კომპანია წარმოდგენილია სრულყოფილი ავტომომსახურების პორტფელით, რაც მსუბუქი და სატვირთო ავტომობილების, ავტობუსების, სამშენებლო და სპეცტექნიკის დიაგნოსტირებას და შეკეთებას გულისხმობს. სომხეთში კი „თეგეტა” პარტნიორ ორგანიზაცია PMA - სთან ერთად საქმიანობს.

თეგეტა აკადემია

“თეგეტა აკადემია” ავტორიზებული კოლეჯი და მულტიფუნქციური ტრენინგცენტრია, რომელიც 2013 წლიდან ფუნქციონირებს და ტექნიკური და ბიზნესის მიმართულებებით საგანმანათლებლო და საკონსულტაციო საქმიანობას ეწევა. „თეგეტა აკადემია“ კომპანიებსა და ინდივიდებს ეხმარება, გააუმჯობესონ სერვისები, ხელი შეუწყონ თანამშრომლების პროფესიულ განვითარებას, წვლილი შეიტანონ სამუშაო ძალის განვითარებაში, გაუზიარონ ახალი ცოდნა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

თეგეტა ჩენტალსი

„თეგეტა რენტალსი“ 2019 წელს სამშენებლო ბაზრის ხელშეწყობის მიზნით დაარსდა. კომპანია მომხმარებელს სთავაზობს ნებისმიერი სახის სამშენებლო და სპეციალური ტექნიკის იჯარას გამოცდილი ოპერატორებით, როგორც დღიური, ასევე გრძელვადიანი საჭიროებისთვის. კომპანიის საქმიანობაში შედის სპეციალური ტექნიკით მომსახურება მიწის სამუშაოებისა და ინერტული მასალების ტრანსპორტირების მიმართულებით. „თეგეტა რენტალსი“ ბაზარზე მსოფლიო წამყვანი ბრენდების უახლეს მოდელებს წარადგენს. მათ შორის: MAN, JCB.

თეგეტა ლოჯისტიკი

"თეგეტა ლოჯისტიკი" 2007 წელს დაარსდა. კომპანიის ძირითადი საქმიანობა საერთაშორისო გადაზიდვები
და საბაჟო მომსახურებაა. კომპანია ტვირთის გადაზიდვას საჰაერო, სახმელეთო
და სარკინიგზო ტრანსპორტით ახორციელებს.

თეგეტა ლიზინგი

„თეგეტა ლიზინგი“ 2023 წელს შეიქმნა. კომპანია პროცესების გასამარტივებლად და მეტი კომფორტისათვის „თეგეტას“ მომხმარებელს სპეციალურ პირობებს სთავაზობს. „თეგეტა ლიზინგის“ შექმნის მიზანი მომხმარებლებისთვის საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება და მათზე მორგებული გამოცდილების შექმნაა.

ყოველწლიურად საშუალოდ
1700
მონაწილე

ავტორიზებული კოლეჯი
2019
წლიდან

ფილიალები
**თბილისი
ბათუმი
ფოთი**

შვილობილი კომპანიები

2023 წლის მონაცემებით „თეგეტა ჰოლდინგი“ შპს „თეგეტა მოტორსსა" და მის 30-ზე მეტ შვილობილ კომპანიას აერთიანებს.

შპს თეგეტა რითეილი	შპს თეგეტა ქომერშელ ვიიქლს
შპს თეგეტა დისტრიბუცია	შპს თეგეტა რეალ ისთეით
შპს თეგეტა ქონსთრაქშენ ექვიფმენთ	შპს თეგეტა თაიარ იმპორტს
შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს	შპს თეგეტა ეფრუვდ
შპს ტოიოტა ცენტრი თეგეტა	შპს ავტო გალერი
შპს ქონსთრაქშენ მეშინერი ჯორჯია	შპს თეგეტა ინთერნეიშენალი
შპს სკანდინავიან ავტო თეგეტა	შპს კავკასუს ავტომოტივი
შპს თი-ბი-ეი თეგეტა	შპს „კავკასუს მეშინერი"
შპს თეგეტა ავტომოტივ იმპორტი	შპს "თეგეტა ენერჯი"
შპს თეგეტა პრაიმ პროდაქტს	Tegeta Motors Baku LLC (აზერბაიჯანი)
შპს თეგეტა ინდასტრი	Aztech and Tegeta Motors LLC (აზერბაიჯანი)
შპს თეგეტა აკადემია	Tegeta Motors Central Asia LLC (უზბეკეთი)
შპს თეგეტა ლიზინგი	Tegeta Motors Ukraine LLC (უკრაინა)
შპს თეგეტა მოტორსი მესხეთი	Tegeta Motors Kazakhstan LLP (ყაზახეთი)
შპს თეგეტა თრაქ ენდ ბას	Tegeta Motors Dushanbe LLC (ტაჯიკეთი)
შპს თეგეტა ლოჯისტიკი	Tegeta Motors Bishkek LLC (ყირგიზეთი)
შპს თეგეტა კაპიტალი	Tegeta Motors USA LLC

ავტოინდუსტრიის ბაზარი

საქართველო „თეგეტა ჰოლდინგის“ საქმიანობის ძირითადი ბაზარია, სადაც 28 ფილიალია წარმოდგენილი რუკაზე მოცემულ ქალაქებში.

„თეგეტა მოტორსში” მომხმარებლების ძირითად ნაწილს შეადგენენ მამაკაცები (35-45 წელი), ქალები (30-40 წელი). კომპანიის მომსახურება მთელ საქართველოს ფარავს.

მამაკაცები
35 - 45 წელი

ქალები
35 - 45 წელი

ასევე „თეგეტა“ კომერციულ საქმიანობას ახორციელებს კავკასიის რეგიონში, ცენტრალურ აზიასა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებში.

2023 წლის ფინანსური შედეგები

2023 წელი „თეგეტასთვის“ შთამბეჭდავი ფინანსური მაჩვენებლებით გამოირჩეოდა. გაყიდვები 2022 წელთან შედარებით 45%-ით გაიზარდა, ჯამურმა შემოსავალმა კი 1.4 მილიარდი ლარი შეადგინა.

შემოსავლები	საერთო მოგება	EBITDA	წმინდა მოგება
1.4 მლრდ.	297 მლნ.	161 მლნ.	81 მლნ.
+45%	+50%	+66%	+100%

ზრდის ტრენდი შემოსავლებში

სტაბილური მთლიანი მოგების მარჟა



„თეგეტას" ბრუნვა მოიცავს მშობელი კომპანიის „თეგეტა მოტორსისა” და მასში შემავალი შვილობილი კომპანიების რეალიზაციას.

2022 და 2023 წლებში „თეგეტას" გაყიდვები 19%-ით და 45%-ით მეტი იყო წინა წლის პერიოდების შედეგებთან შედარებით.

2023 წელს შემოსავალის ზრდის ძირითადი ფაქტორებია: გაზრდილი საავტომობილო გაყიდვები, ტენდერის შესრულება და სხვა ბიზნესსეგმენტების ორგანული ზრდა.

ბოლო სამი წლის განმავლობაში (2021წ.– 2023წ.), კომპანიამ საერთო მოგების მარჟა შეინარჩუნა 21%-22% დიაპაზონში.

2022 წელს EBITDA 9.8%-ით მეტი იყო წინა წელთან შედარებით. EBITDA-ს ზრდა ძირითადად გაყიდვების ზრდის შედეგია.

2023 წელს EBITDA 66%-ით გაიზარდა გასულ წელთან შედარებით. ებიტდის 1.5% საპროცენტო პუნქტით მარჟის გაუმჯობესების დამსახურებით, ებიტდის ზრდა აჭარბებს შემოსავლის ზრდას.

ინფორმაცია წარმოდგენილია ლარში. მოცემული 2023 წლის ფინანსური მაჩვენებლები შედარებულია 2022 წლის იმავე მაჩვენებლებს. 2023 წლის დეტალური ფინანსური ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია 2023 წლის აუდირებულ ანგარიშგებაში.

https://api.tegeta.ge/storage/statement/30/pdf/1277/c8ec5b56cd0f47eca3c52be1151366d8_1715836210.pdfc8ec5b56cd0f47eca3c52be1151366d8_1715836210.pdf

ობლიგაციები

2023 წელი კომპანიის ისტორიაში გამორჩეული იყო – „თეგეტამ“ სრულიად ახალი განაცხადი გააკეთა კაპიტალის ბაზარზე. „თეგეტა ჰოლდინგის“ სახელს უკავშირდება ეროვნულ ვალუტაში კავკასიაში პირველი მწვანე ფასიანი ქაღალდები, პირველი ფასიანი ქაღალდები ფიზიკური პირებისთვის ლარში და სხვა.

7 ემისიის სახით „თეგეტა ჰოლდინგის“ მიერ განთავსებული ფასიანი ქაღალდების ჯამურმა მოცულობამ 300 მლნ ლარი შეადგინა, ინვესტორთა რაოდენობამ კი 477-ს მიაღწია. „თეგეტა ჰოლდინგს” კორპორაციული და ინსტიტუციური ინვესტორები ჰყავს - ადგილობრივი და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, ასევე რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირები.

7 ემისია | 300 მილიონი ლარი

თეგეტა 2023 კაპიტალის ბაზრებზე

მომწოდებლები

პარტნიორი ბრენდები

„თეგეტა ჰოლდინგს“ 300-ზე მეტი მომწოდებელი ჰყავს. კომპანია გრძელვადიანი ბიზნესურთიერთობების დამყარებაზეა ორიენტირებული. ერთ-ერთი მაგალითია უმსხვილეს იაპონურ ბრენდ BRIDGESTONE-თან 25 - წლიანი პარტნიორობა. კომპანია პარტნიორებს ყოველწლიურად მასპინძლობს, ხოლო „თეგეტას“ პერსონალი მომწოდებლებთან ინტენსიურ მასტერკლასებს გადის.

მომწოდებლების გეოგრაფიული გადანაწილება

მომხმარებლები

„თეგეტას“ მომხმარებელთა სეგმენტი ასე ნაწილდება: საცალო, კორპორაციული, საბითუმო და სახელმწიფო ორგანიზაციები. მათ შორის არიან: საერთაშორისო და ადგილობრივი კომერციული ორგანიზაციები, სადისტრიბუციო კომპანიები, ბანკები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ფარმაცევტული კომპანიები და ა.შ.

მომხმარებლის კმაყოფილება კომპანიისათვის ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია. მათ შორის მაღალი ხარისხის სრული საავტომობილო მომსახურების შეთავაზება, ბიზნესპროცესების გამჭვირვალობა და პერსონალური მონაცემების დაცვა.

„თეგეტა“ მომხმარებელს ეფექტური და დახვეწილი სისტემით ემსახურება, რომელიც კომპანიის ათასზე მეტი თანამშრომლის დახმარებით იმართება. შესაბამისი განყოფილებები დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური გაყიდვების მენეჯერებით. მათი მთავარი ამოცანა მომხმარებლების საჭიროებების ანალიზი და საქმის დროული, ხარისხიანი შესრულებაა. მომხმარებლებს შესაძლებლობა აქვთ შეარჩიონ სასურველი პროდუქტი 300-მდე ბრენდის 100,000 დასახელების პროდუქციის ფართო სპექტრიდან, ისარგებლონ მობილური სერვისით, პერსონალური გაყიდვების მენეჯერის მომსახურებით და სხვა დამატებითი შეთავაზებებით.

„თეგეტა“ მომხმარებლებთან გრძელვადიანი, მეგობრული და ნაყოფიერი ურთიერთობის დამყარებას ცდილობს, რასაც ხარისხიანი და კომფორტული მომსახურებით, ექსკლუზიური შეთავაზებებით, სხვადასხვა ღონისძიებით, აქციით და სხვა აქტივობით უზრუნველყოფს.

კორპორაციული მომხმარებლები

„თეგეტა“ 35 000-ზე მეტ კორპორაციულ მომხმარებელს ემსახურება საქართველოში არსებული ყველა ბიზნესსექტორიდან. კომპანიისათვის ეს უმნიშვნელოვანესი მიმართულება მოიცავს შემდეგ სექტორში მომუშავე კომპანიებს: გზების და ჰესების მშენებლობა, სამთო სამომპოვებლო სამუშაოები, სამშენებლო მასალების, რკინის და მეტალის წარმოება, გაქირავების კომპანიები, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სადისტრიბუციო კომპანიები, IT კომპანიები, სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები, აგრო და სასაწყობე მეურნეობები

მომხმარებლების ჰოლდინგი



საცალო მომხმარებლები

500 000-მდე

აქტიური მომხმარებელი ჰყავს „თეგეტას”.

სახელმწიფო ორგანიზაციები

ჰოლდინგი აქტიურად მონაწილეობს სახელმწიფო ტენდერებში და ამჟამად 1500-მდე საჯარო ორგანიზაციას უწევს მომსახურებას.

საბითუმო მომხმარებლები

„თეგეტა“ აქტიურად მოქმედებს საბითუმო გაყიდვების სფეროში. კომპანიას

4000-ზე

მეტი სავაჭრო პარტნიორი ჰყავს.



მომხმარებელთა გეოგრაფიული არეალი

2022	2023	2024
საქართველო	საქართველო	საქართველო
თურქეთი	თურქეთი	თურქეთი
სომხეთი	სომხეთი	სომხეთი
ისრაელი	ისრაელი	ისრაელი
უკრაინა	უკრაინა	უკრაინა
აზერბაიჯანი	აზერბაიჯანი	აზერბაიჯანი
ბელორუსი	საუდის არაბეთი	საუდის არაბეთი
საუდის არაბეთი	ყაზახეთი	ყაზახეთი
ყაზახეთი	გერმანია	გერმანია
	ინდოეთი	ინდოეთი
	აშშ	აშშ
	ჩინეთი	ჩინეთი
	პოლონეთი	პოლონეთი
	საფრანგეთი	საფრანგეთი
		უზბეკეთი

თანამშრომლები

„თეგეტა“ ერთ-ერთი უმსხვილესი დამსაქმებელია ქვეყანაში. 2023 წლის მონაცემებით კომპანიას 3000-მდე დასაქმებული ჰყავდა. ჰოლდინგისათვის თანამშრომლები ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსია, რომელთა კეთილდღეობაზე ზრუნვა კომპანიის კორპორაციული პასუხისმგებლობის სტრატეგიის (CSR) პრიორიტეტული საკითხია. „თეგეტას“ მიზანია, იყოს კომპანია, სადაც მისი თანამშრომლები უსაფრთხოდ, დაფასებულად და ბედნიერად გრძნობენ თავს. „თეგეტა“, როგორც პასუხისმგებლობიანი კომპანია და დამსაქმებელი, აქტიურად ზრუნავს ორგანიზაციაში თანასწორი და არადისკრიმინაციული კულტურის დამკვიდრებაზე, მრავალფეროვანი, ინკლუზიური და ოჯახთან თავსებადი გარემოს შექმნაზე.

თანამშრომელთა ეფექტური ინტეგრაციისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით, კომპანიამ 2022 წელს, ადამიანური კაპიტალის მართვის დეპარტამენტში „თანამშრომელთა გამოცდილებისა და განვითარების განყოფილება“ შექმნა, რომლის მთავარი მიზანი თანამშრომლებისთვის კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნაა. მისი ფუნქციაა გუნდის ახალი წევრების ადაპტაციის პროცესის კოორდინირება, თანამშრომელთა განწყობების მუდმივი ანალიზი, მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება და აღიარება. მიმართულება აქტიურად მუშაობს პროფესიული და კარიერული განვითარების შესაძლებლობებზე და თანამშრომელებს მრავალფეროვან პროგრამებს სთავაზობს.

თანამშრომლების შესახებ 2023 წლის ზოგადი მონაცემები

სქესის მიხედვით	რაოდენობრივი	%-ული განაწილება
მამრობითი	**2098**	**76%**
მდედრობითი	**675**	**24%**
სულ	**2773**	**100%**

თანამშრომლები რეგიონების მიხედვით	რაოდენობრივი	%-ული განაწილება
თბილისი	**2136**	**77%**
რეგიონები	**637**	**23%**
სულ	**2773**	**100%**

თანამშრომელთა საჭიროებები შიდა კვლევების, ინდივიდუალური შეხვედრებისა და გასაუბრებების საფუძველზე დგინდება. შედეგები ადასტურებს, რომ მათთვის პრიორიტეტი უსაფრთხო და კომფორტული სამუშაო გარემო, სამუშაო პროცესისთვის შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, სტაბილურობა და კარიერული წინსვლაა. შედეგად კომპანიაში შესაბამისი პროექტების განხორციელება დაიწყო. ეს პროექტები შემდეგ მიმართულებებში ერთიანდება:

- თანამშრომლების განვითარება
- თანამშრომლების მხარდაჭერა და ჩართულობა

ვრცლად თანამშრომელთა კეთილდღეობის თავში

ბიზნესასოციაციების, პლატფორმებისა და გაერთიანებების წევრობა

საერთაშორისო ბიზნესასოციაციებთან და პლატფორმებთან ურთიერთობა „თეგეტას“ საშუალებას აძლევს ერთი მხრივ, გაეცნოს ადგილობრივ და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებს, სხვა წევრების გამოცდილებებს და ამასთან ერთად, საკუთარი ცოდნაც გააზიაროს.

- საქართველოს ბიზნესასოციაცია;
- ამერიკის სავაჭრო პალატა (AMCHAM);
- ევროპული ბიზნეს ასოციაცია (EBA);
- გაეროს ქალთა გაძლიერების პრინციპები (WEPs);
- გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი;
- საქართველოს პრო ბონო ქსელი;

2023 წელი გამორჩეული იყო “თეგეტა ჰოლდინგისთვის” მდგრადობასთან დაკავშირებული ჯილდოებისა და კაპიტალის ბაზარში შეტანილი წვლილის დაფასების კუთხით.

ჯილდოები 2023 | ოთხი ჯილდო ეხთ წელიწადში

„საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსი Meliora 2023“
პროექტი „თეგეტა გარემოსთვის“

„კორპორაციული მდგრადობის კონკურსი 2023“
პროექტი „თეგეტა გარემოსთვის“ – SDG 12-ში „მდგრადი მოხმარება და წარმოება“ შეტანილი წვლილისთვის

„კორპორაციული მდგრადობის კონკურსი 2023“
პროექტი „თეგეტა სოციალური საწარმოებისთვის“ – SDG 8-ში „ღირსეული დასაქმება და ეკონომიკური ზრდა“ შეტანილი წვლილისთვის

„კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერის პროგრამა”
ჯილდო და გრანტი ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან დაკავშირებული ხარჯების თანადაფინანსებისთვის

1.2 კორპორაციული მდგრადობის სტრატეგია

„თეგეტა ჰოლდინგი“ პირველი ქართული კომპანიაა, რომელმაც 2022 წელს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კორპორაციული მდგრადობის სტრატეგია შეიმუშავა და საზოგადოებას 2023 წელს წარუდგინა. „თეგეტა ჰოლდინგისთვის“, როგორც პასუხისმგებლობიანი ბიზნესისთვის, CSR სტრატეგია უმნიშვნელოვანესი სახელმძღვანელოა. მან წლების მანძილზე კომპანიის პასუხისმგებლობიან მიდგომებს მეტი თანმიმდევრულობა და სისტემურობა შესძინა.

ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი ეფუძნება „თეგეტას“ სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ზეგავლენების შესწავლას, დაინტერესებული მხარეების ანალიზსა და კომპანიისთვის არსებითი საკითხების კვლევას, რამაც საბოლოო ჯამში, ჰოლდინგის სტრატეგიული მიმართულებების სწორად განსაზღვრას შეუწყო ხელი.

არსებითი საკითხების განსაზღვარა

არსებითობის ანალიზი სტრატეგიული ანალიზის ფორმაა, რომელიც თანამონაწილეობითი პროცესისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების გზით ხორციელდება. მისი მიზანია, განსაზღვროს ორგანიზაციისთვის არსებითი საკითხები მდგრადი განვითარების კონტექსტში, ანუ კომპანიისთვის მნიშვნელოვან სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით ზეგავლენებთან დაკავშირებული საკითხები. ზეგავლენა, შესაძლებელია, იყოს დადებითი ან უარყოფითი. სწორედ, მათი მართვა, უარყოფითი ზეგავლენის შემცირება და დადებითი ზეგავლენის გაზრდა წარმოადგენს კომპანიის კორპორაციული პასუხისმგებლობის არსს. „თეგეტა ჰოლდინგის“ CSR-სტრატეგია სწორედ არსებითი საკითხების ანალიზისა და გამოვლენილი ზეგავლენების საფუძველზეა მომზადებული.

მეთოდოლოგია

არსებითი საკითხების გასაანალიზებლად კვლევის შემდეგი მეთოდები შეირჩა:

01

კორპორაციულ პასუხისმგებლობასა და მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა;

02

ინდივიდუალური ინტერვიუები და კითხვარები „თეგეტა ჰოლდინგის“ მაღალი და შუა რგოლის მენეჯმენტის წარმომადგენლებთან;

03

ავტოინდუსტრიის სექტორისა და საუკეთესო მაგალითების სამაგიდე კვლევა;

04

სამუშაო შეხვედრა კომპანიის შუა რგოლის მენეჯმენტთან.

არსებითობის მატრიცა

აღნიშნული მეთოდოლოგიის გამოყენებით გამოვლინდა „თეგეტა ჰოლდინგის“ ზეგავლენები გარემოზე, საზოგადოებასა და ეკონომიკაზე. ბუნებრივია, ყველას თანაბარი მნიშვნელობის ზეგავლენა არ აქვს კომპანიაზე. პრიორიტეტების დასადგენად შეხვედრა ჰოლდინგის შუა რგოლის მენეჯმენტთან ჩატარდა. შეხვედრას ესწრებოდნენ ის თანამშრომლები, რომლებსაც კომპანიის მნიშვნელოვან დაინტერესებულ მხარეებთან უშუალო კომუნიკაცია აქვთ და ზუსტად იციან, რა ტიპის არსებით საკითხებს აწყდებიან „თეგეტას” თანამშრომლები მათთან ურთიერთობის დროს. აღნიშნული შეხვედრის პარალელურად, გამოვლინდა ჰოლდინგის, როგორც ბიზნესის მნიშვნელოვანი ზეგავლენები. მონაცემების ანალიზის შედეგად კი კომპანიის არსებითობის მატრიცა შეიქმნა.



- შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობა
- თანაბარი შესაძლებლობები
- პროდუქტების/სერვისების ხარისხი
- მომხმარებლების/პროდუქტების/სერვისების უსაფრთხოება
- მომხმარებელზე ზრუნვა
- ადამიანის უფლებების დაცვა
- ენერგოეფექტურობა
- ნარჩენების მართვა
- მომწოდებელთა ჯაჭვის მართვა
- ადგილობრივ თემზე ზეგავლენა
- ბიზნესის ეთიკური მართვა
- ანტიკორუფცია და შესაბამისობა
- ინოვაცია
- პასუხისმგებლიანი მარკეტინგი
- ტრენინგები და განვითარება, ტალანტების მოზიდვა
- გაფრქვევები
- პასუხისმგებლიანი შესყიდვები
- ნედლეულის/მასალის მოხმარება
- წყალი/წყლის მოხმარება
- არაპირდაპირი ეკონომიკური ზეგავლენა
- გამჭვირვალობა და ანგარიშგება
- ეკომეგობრული შენობები
- ხმაური

დაინტერესებული მხარეების ჩართულობა

დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია და თანამშრომლობა, მათი მოსაზრებებისა და საჭიროებების გათვალისწინება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის არსებითი კომპონენტია. ორგანიზაციის დაინტერესებული მხარეები არიან ადამიანები, ადამიანთა ჯგუფები ან ორგანიზაციები, რომლებიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ ორგანიზაციის საქმიანობაზე ან, პირიქით.

„თეგეტა ჰოლდინგის“ დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირების მიზნით, გამოიკითხნენ თანამშრომლები. კითხვარი მოიცავდა „თეგეტას“ პოტენციური დაინტერესებული მხარეების ჩამონათვალს კორპორაციული პასუხისმგებლობის საკითხებთან დაკავშირებით, მათი ზეგავლენების აღწერას კომპანიაზე ან, პირიქით. ასევე, კონკრეტულ დაინტერესებულ მხარესთან კომუნიკაციის სიხშირისა და მექანიზმების იდენტიფიცირებასა და შესაბამისი მაგალითების (უარყოფითისა თუ დადებითის) გაზიარებას.

გამოვლინდა შვიდი მნიშვნელოვანი ჯგუფი, რომლებსაც ყველაზე დიდი ზეგავლენა აქვთ კომპანიის საქმიანობაზე ან, პირიქით:

- თანამშრომლები
- ბიზნესპარტნიორები
- მომხმარებლები
- ინვესტორები
- საჯარო ინსტიტუტები
- მედია
- სამოქალაქო სექტორი

„თეგეტას“ 2023 წელს მჭიდრო კომუნიკაცია ჰქონდა დაინტერესებულ მხარეებთან. მუდმივ რეჟიმში ადგენდა მათ საჭიროებებს, ინტერესებსა და მოსაზრებებს, შესაბამისად გეგმავდა ჩართულობის პროექტებს და შემდგომ აქტიურად აწვდიდა მათ ინფორმაციას მიღწეულ შედეგებზე. დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია მნიშვნელოვანი ნაბიჯია „თეგეტასთვის“ სწორად შეაფასოს და მართოს ბიზნესსაქმიანობა და კორპორაციული პასუხისმგებლობის საკითხები, უკუკავშირების გაზიარების საფუძველზე კი ეფექტურად დაგეგმოს სამომავლო მიზნები.

განსაკუთრებით, აქტიურობდა კომპანია თანამშრომლების ინფორმირების კუთხით, კონკრეტულად შიდა კომუნიკაციების სტრატეგია აღნიშნულ პრიორიტეტს მოარგო. მიმდინარე ცვლილებების, სიახლეების, ახალი პოლიტიკებისა და CSR პროექტებში ჩართულობების შესახებ თანამშრომლებს ყოველდღიურად მიეწოდებოდათ ინფორმაცია შიდა საკომუნიკაციო არხებით (ინტრანეტი, მეილი), იგეგმებოდა მათ საჭიროებებზე მორგებული პროექტები. გარე აუდიტორიასთან „თეგეტა ჰოლდინგის“ სოციალური მედია პროდუქტებით, სტატიებითა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით ყოველკვირეულად ვრცელდებოდა ინფორმაცია.

დაინტერესებული მხარე	კომუნიკაციის სიხშირე	კომუნიკაციის ფორმა	განხილული საკითხები	მოლოდინები ზეგავლენები
თანამშრომლები	ყოველდღიურად	ონლაინ გამოკითხვები შიდა საკომუნიკაციო არხები (Facebook, Intranet, E-mail)	სიახლეები თეგეტაში, ახალი პროექტები და ინიციატივები	ლოიალობა ჩართულობის ხარისხი
ბიზნეს პარტნიორები	ყოველკვირეულად ყოველდღიურად	ტელეფონი ელ.ფოსტა პირისპირ კომუნიკაცია	ბიზნეს პროცესები (ფასები, მიწოდების ვადები, შესყიდვები)	ბიზნეს პროცესების განვითარება
მომხმარებლები	ყოველდღიურად	სოციალური მედია მედია სააგენტოები ტელევიზია სატელეფონო გამოკითხვები	პროდუქტების, სერვისისა და სიახლეების შესახებ ინფორმაცია მომსახურების ხარისხი	მჭიდრო კავშირი „თეგეტასთან"; სერვისებითა და პროდუქტებით სარგებლობა სერვისის მუდმივი გაუმჯობესება
ინვესტორები	ყოველკვირეულად კვარტალურად	ელ.ფოსტა სატელეფონო პირდაპირი და ვირტუალური შეხვედრები	პროექტების დაფინანსება ანგარიშგება ობლიგაციები და ფასიანი ქაღალდები	სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პროექტებისათვის რესურსების აკუმულირება
საჯარო ინსტიტუტები	ყოველდღიურად	ელ.ფოსტა სატელეფონო	ფასები სერვისი ტენდერები	კმაყოფილება თანამშრომლობის გაგრძელების შესაძლებლობები
მედია	ყოველთვიურად	მედია ღონისძიებები მედიის საერთაშორისო ღონისძიებები	ახალი ბრენდების პრეზენტაცია ახალი პროდუქტების წარდგენა	ავტოინდუსტრიით დაინტერესების გაზრდა
სამოქალაქო სექტორი	ყოველთვიურად	ერთობლიივი პროექტების დაგეგმვა-განხორციელება პროექტის ხანგრძლივობის მიხედვით	ახალი ინიციატივები მიმდინარე პროექტები მიღწეული შედეგები	თეგეტას დადებითი გავლენების გაზომვა საზოგადოების კეთილდღეობა

კორპორაციული მდგრადობის სტრატეგიის მიზნები და პრიორიტეტები

„თეგეტასთვის" უმნიშვნელოვანესი გზამკვლევი, სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებების მიხედვით, კომპანიის მიზნებსა და 2030 წლამდე გაწერილ სამოქმედო გეგმებს უყრის თავს. არსებითობის კვლევის საფუძველზე „თეგეტამ" შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები განსაზღვრა:

- თანამშრომელთა კეთილდღეობა
- გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა
- უსაფრთხოება
- საზოგადოების მხარდაჭერა

თანამშრომელთა კეთილდღეობა

ძირითადი მიმართულებები	მიზანი
გენდერი და მრავალფეროვნება სამუშაო ადგილზე	თანამშრომლებისთვის თანასწორი და ინკლუზიური გარემოს შექმნა
პოზიტიური სამუშაო გარემო	ოჯახთან თავსებადი გარემოს შექმნა თანამშრომლებში ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია და მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვა
თანამშრომლების განვითარება და განათლება	თანამშრომლების განათლებასა და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა

უსაფრთხოება

ძირითადი მიმართულებები	მიზანი
მომხმარებლების და პროდუქციის/ მომსახურების უსაფრთხოება და ჯანმრთელობა	უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა „თეგეტა ჰოლდინგის" მომხმარებლებისთვის
თანამშრომლების შრომის უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე	„თეგეტას" თანამშრომლებისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა და მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვა
საგზაო უსაფრთხოება	საქართველოს მასშტაბით ავტოსაგზაო შემთხვევებით გამოწვეული სიკვდილიანობისა და დაზიანებების რაოდენობის შემცირება

გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა

ძირითადი მიმართულებები	მიზანი
ენერგოეფექტურობა	სხვადასხვა ენერგო დამზოგავი ღონისძიებების გატარებით ენერგიის მოხმარების შემცირება „თეგეტა ჰოლდინგის" ფილიალებში
ნარჩენების მართვა	ნარჩენი საბურავების, ზეთებისა და აკუმულატორების მართვა და რეციკლირება
წყლის მენეჯმენტი და მდგრადი მოხმარება	„თეგეტა ჰოლდინგის" ყველა ფილიალში წყლის მოხმარების დაზოგვის/შემცირების სისტემების დანერგვა/დამონტაჟება
გარემოსდაცვითი პოლიტიკის გავრცელება	„თეგეტა ჰოლდინგის" პარტნიორ კომპანიებში გარემოსდაცვითი ღირებულებების და ეთიკური პრინციპების დანერგვა გარემოსდაცვითი ინიციატივების მხარდაჭერა

საზოგადოების მხარდაჭერა

ძირითადი მიმართულებები	მიზანი
საზოგადოებრივი თემის მხარდაჭერა	საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად საერთო პროექტების ინიცირება/ განხორციელება თემის გაძლიერების მიზნით
საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება და ჩართულობა	თემის ინფორმირება და მათი ჩართულობის გაზრდა სხვადასხვა სათემო თუ საზოგადოებრივ ღონისძიებაში; სამომავლო საპარტნიორო გეგმების განსაზღვრა
ქალთა გაძლიერება	თანასწორი და მრავალფეროვანი გარემოს შექმნა; გენდერულად დაყოფილი პროფესიების შესახებ სტერეოტიპების მსხვრევა; ქალთა როლის შესახებ ცნობიერების ამაღლება

1.3 ანგარიშის შესახებ

სფერო

მდგრადობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია აერთიანებს „თეგეტა ჰოლდინგისა“ და მისი შვილობილი კომპანიების მონაცემებს. ანგარიშში კომპანია მოხსენიებულია როგორც „თეგეტა ჰოლდინგი“ ან „თეგეტა“, რაც თავის მხრივ აერთიანებს ჰოლდინგის დედა კომპანიას - შპს „თეგეტა მოტორსსა“ და შვილობილ კომპანიებს, რომლებიც ძირითადად საქმიანობენ საქართველოში. ჰოლდინგის მასშტაბით „თეგეტა მოტორსს“ დომინანტური წილი აქვს. ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები კი კარგად წარმოაჩენს მთლიანად ჰოლდინგის ზეგავლენას. მონაცემების ნაწილი წარმოდგენილია ჰოლდინგის დონეზე, სადაც მათი საფუძვლიანად წარმოჩენა იყო შესაძლებელი. ანგარიშში განხილული პოლიტიკები და მიდგომები მთელ კომპანიას მოიცავს და ჰოლდინგის საქმიანობას სრულად ასახავს.

პერიოდი

„თეგეტა ჰოლდინგი“ მდგრადობის ანგარიშს პირველად წარადგენს. ის 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდს მოიცავს. ანგარიში ასევე შეიძლება მოიცავდეს 2022 წლის მონაცემებს.

მიზანი

ანგარიშის მიზანია დაინტერესებულ მხარეებს მიაწოდოს და გაუზიაროს ინფორმაცია კორპორაციული პასუხისმგებლობის საქმიანობის შედეგებისა და სამომავლო მიზნების შესახებ.

ანგარიშით „თეგეტა“ ადასტურებს თავის მზაობას, იყოს მეტად პასუხისმგებლობიანი, გამჭვირვალე და სანდო პარტნიორი. ამასთანავე აკეთოს საქმე საერთაშორისო სტანდარტებისა და ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის პროცესის შესაბამისად.

რაზრომ

ანგარიშზე მუშაობის დროს გამოყენებული იყო საერთაშორისო სტანდარტები - ანგარიშგების გლობალური ინიციატივა (GRI) და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები (SDG), რაც მდგრადი ანგარიშგების საერთაშორისოდ აღიარებული ფორმატებია. დოკუმენტი ასევე ფარავს გაეროს გლობალური შეთანხმების „კომუნიკაცია პროგრესის შესახებ“ საჭიროებებს.

ანგარიშის მომზადების პროცესში „თეგეტას“ კონსულტაცია გაუწია CSR Agency-მ, რომელიც ასევე აქტიურად იყო ჩართული კომპანიის CSR სტრატეგიის მომზადებაში, რამაც პროცესს მეტი თანმიმდევრულობა და სიზუსტე შემატა.

უკუკავშირის ან ანგარიშთან დაკავშირებულ შეკითხვებთან დაკავშირებით, დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ კომპანიას შემდეგ ელ.ფოსტაზე: sustainability@tegetamotors.ge

1.4 მდგრადი განვითარების მიზნებში შეტანილი წვლილი

„თეგეტას“ კორპორაციული პასუხისმგებლობის საქმიანობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში. მათ შორისაა:

2. ჯოჰოჰაციუჯი მმართველობა და მდგრადობა

2.1. მენეჯმენტი და მართვის სტრუქტურა

2.2. მდგრადი განვითარების მენეჯმენტი

2.3. ადამიანის უფლებების დაცვა

2.4. ბიზნესეთიკა

2. კორპორაციული მმართველობა და მდგრადობა

შპს „თეგეტა მოტორსი“ წარმოადგენს ჰოლდინგურ კომპანიას, რომელიც აერთიანებს 30-ზე მეტ შვილობილ კომპანიას („თეგეტა მოტორსი“ და მისი შვილობილი კომპანიები ერთობლივად მოხსენიებულია როგორც „თეგეტა/თეგეტა ჰოლდინგი“). ჰოლდინგში შემავალ თითოეულ კომპანიას დამოუკიდებელი მართვის სისტემა აქვს.

„თეგეტას“ კორპორაციული მართვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით და ის სრულად შესაბამისობაშია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებულ „საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის კორპორაციული მართვის კოდექსთან“ და მის საფუძველზე კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ „კორპორაციული მართვის კოდექსთან“ („სებ-ის მიერ დადგენილი კოდექსი“). კოდექსით დადგენილია „თეგეტას“ მართვის ძირითადი პრინციპები, კონტროლის ერთიანი სისტემა, მმართველ ორგანოებს შორის უფლებებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილების წესი, გადაწყვეტილებების მიღებისა და კომპანიის საქმიანობის მონიტორინგთან დაკავშირებული წესები და პროცედურები.

„თეგეტაში“ დანერგილია შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა, რაც უზრუნველყოფს ზუსტი და სარწმუნო ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესს. კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებულ შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო კომპანიისა და შვილობილების მაღალი რგოლის მენეჯერები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების, მათი მართვის სფეროში არსებულ კომპანიებში, დანერგვა და ეფექტიანი შესრულება.

2.1 მენეჯმენტი და მართვის სტრუქტურა

„თეგეტაში“, განვითარების კვალდაკვალ, სხვადასხვა დროს ორგანიზაციული სტრუქტურული ცვლილებები ახალ ბიზნესამოცანებთან, საჭიროებებთან და განახლებულ სტრატეგიებთან შესაბამისობაში მოსაყვანად მიმდინარეობდა. თუმცა, კორპორაციული მართვის სტრუქტურა ძირითადად შემდეგ მმართველ ორგანოებს ეყრდნობოდა: პარტნიორთა კრება, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორები (ამჟამად ოფიცრები).

2023 წელს „თეგეტას“ მენეჯმენტმა ახალი ბიზნესამოცანების შესაბამისად, დაიწყო ფიქრი კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურის განახლებაზე. კერძოდ, დადგა საჭიროება, რომ შეცვლილიყო „თეგეტას“ კორპორაციული მართვის სტრუქტურა და შპს „თეგეტა მოტორსის“ მართვაზე, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელი ერთი პირი განსაზღვრულიყო, რომელსაც დაექვემდებარებოდნენ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები - ოფიცრები, რომელთა კომპეტენციის ფარგლები სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განისაზღვრებოდა.

კორპორაციული მართვის ახალ მოდელზე კომპანია 2024 წლის 1 ივლისიდან გადავიდა. შესაბამისად, ქვემოთ, თეგეტას კორპორაციული მმართველობის შესახებ ინფორმაცია 2024 წლის ივლისის მდგომარეობითაა მოცემული.

მართვის პროცესის გასაუმჯობესებლად კომპანია დაიყო სტრატეგიულ ბიზნეს მიმართულებებად - დივიზიებად, რომელსაც შესაბამისი ოფიცრები ხელმძღვანელობენ. კერძოდ, შპს „თეგეტა მოტორსი“ დაიყო აღმასრულებელ, ფინანსურ, კომერციულ, მსუბუქი ავტომობილების და სატვირთო და სპეციალური დანიშნულების ტექნიკის დივიზიებად, რომელთა ოფიცრებიც კომპანიის საქმიანობას შესაბამისი მიმართულებით ხელმძღვანელობენ, რაც, მათ შორის, „თეგეტა მოტორსისა“ და შესაბამის სფეროში მოქმედი მისი შვილობილი კომპანიების საქმიანობის კოორდინაციასაც მოიცავს.

კორპორაციული მართვის ახალი მოდელით შპს „თეგეტა მოტორსის“ მმართველი ორგანოებია: **პარტნიორთა კრება, სამეთვალყურეო საბჭო და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული ოფიცრები.**

პარტნიორთა საერთო კრება

კომპანიის მართვის უმაღლესი ორგანოა, რომლის მუშაობას წარმართავენ კომპანიის პარტნიორები, საქართველოს კანონმდებლობითა და კომპანიის წესდებით განსაზღვრული წესით. შპს „თეგეტა მოტორსს“ ჰყავს ორი პარტნიორი, კერძოდ, 98,78%-იანი წილის მესაკუთრეა შპს „თი ჯი ემ ჯგუფი“, ხოლო 1,22 %-იანი წილის მესაკუთრეა ფიზიკური პირი, თემურ კოხოძე. პარტნიორთა უფლებები და კომპეტენციის ფარგლები განსაზღვრულია კომპანიის წესდებითა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით. პარტნიორთა კრება, წესდებით განსაზღვრულ სხვა საკითხებთან ერთად, პასუხისმგებელია ისეთი საკითხების გადაწყვეტაზე, როგორიცაა კომპანიის ქონების პარტნიორთა შორის განაწილება, სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა/გაუქმება, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის დანიშვნა/გამოწვევა, მათი უფლებამოსილების ვადის განსაზღვრა, საბჭოს წევრების ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრა, კომპანიის სადამფუძნებლო შეთანხმებაში და წესდებაში ცვლილებების შეტანა. პარტნიორთა მორიგი რიგგარეშე მოწვევის უფლება აქვს: პარტნიორს/პარტნიორებს, სამეთვალყურეო საბჭოს ან/და მთავარ აღმასრულებელ ოფიცერს.

პარტნიორთა გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების ნახევარზე მეტი, თუ კომპანიის წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. პარტნიორის ხმების რაოდენობა გამოითვლება შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიის კაპიტალში ამ პარტნიორის წილის მიხედვით.

სამეთვალყურეო საბჭო

კომპანიის მართვის უმაღლესი ორგანოს - პარტნიორთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით განსაზღვრული შემადგენლობით მოქმედი ორგანოა, რომელიც შექმნილია კომპანიის ხელმძღვანელი პირების საქმიანობის კონტროლის განხორციელების მიზნით და საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობით, კომპანიის წესდებითა და სამეთვალყურეო საბჭოს დებულებით დადგენილი წესების შესაბამისად წარმართავს. ამჟამად სამეთვალყურეო საბჭო შედგება 8 (რვა) წევრისგან, რომელთაგან 2 (ორი) დამოუკიდებელი პირია. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი საერთო კრების მიერ კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უმრავლესობით აირჩევა.

სამეთვალყურეო საბჭოს ყოველი წევრი აირჩევა არაუმეტეს 3 წლის ვადით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა მისი ამოწურვის შემდეგ ავტომატურად გრძელდება საერთო კრების ჩატარებამდე და ამ კრებაზე ახალი წევრების არჩევამდე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა შესაძლოა ახალი ვადით.

საბჭოს შემადგენლობა, მათი კომპეტენციები, უნარები და გამოცდილება ადეკვატურია საზედამხედველო მოვალეობების შესრულებისათვის, კომპანიის მიმართულების და სტრატეგიის შესამუშავებლად. საბჭოს თითოეულ ინდივიდუალურ წევრს გააჩნია საჭირო ექსპერტული გამოცდილება, ცოდნა, კვალიფიკაცია და პატიოსნება, რომ ეფექტურად განახორციელოს საბჭოს წევრის მოვალეობები და გააუმჯობესოს საბჭოს უნარი, ემსახუროს კომპანიის და მისი პარტნიორების გრძელვადიან ინტერესებს. საბჭოს ხელმძღვანელობს წევრთა მიერ არჩეული თავმჯდომარე, რომელსაც წევრთა მიერ არჩეული მოადგილე ჰყავს.

სამეთვალყურეო საბჭო ასევე პასუხისმგებელია შემდეგი საკითხების გადაწყვეტაზე:

- რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემების დამტკიცება და მათი ეფექტური ფუნქციონირების ზედამხედველობა;
- ინფორმაციის გამჟღავნების პოლიტიკის განსაზღვრა;
- ფინანსური დაგეგმარების და ანგარიშგების საერთო სტანდარტების დამტკიცება;
- კომპანიის კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების დამტკიცება, ოფიცერთა კომპეტენციის სფეროების გამიჯვნა და ამ მიზნით შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტაციის შემუშავება, დამტკიცება და ოფიცრებს შორის კომპეტენციის განაწილებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა;
- კომპანიის წლიური ბიუჯეტის დამტკიცება;
- წლიური ანგარიშის განხილვა და დასამტკიცებლად წარდგენა საერთო კრებისათვის, ასევე მოგების განაწილების წინადადების წარდგენა საერთო კრებისათვის;
- ოფიცრების დანიშვნა და გამოწვევა, მათთან ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა. ასევე მათი ანგარიშების დამტკიცება, ოფიცრების საქმიანობის ზედამხედველობა და ამ მიზნით, კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ანგარიშების გამოთხოვა;
- კომპანიის ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

ამჟამად, სამეთვალყურეო საბჭოს ფარგლებში შექმნილია აუდიტის კომიტეტი 3 (სამი) წევრის შემადგენლობით, რომელსაც დამოუკიდებელი წევრი თავმჯდომარეობს.

მთავარი აღმასრულებელი ოფიცერი და სხვა ოფიცრები არიან

კომპანიის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელი პირები, რომლებიც ინიშნებიან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და ახორციელებენ საქართველოს კანონმდებლობით, კომპანიის წესდებით, პარტნიორთა საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, აგრეთვე, მათთან გაფორმებული სასამსახურო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს.

თითოეული ოფიცერი კომპანიის იმ სტრატეგიულ ბიზნეს მიმართულებას/დივიზიას, ხელმძღვანელობს, რომლის უფლებამოსილება მიენიჭება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და წარმოადგენს კომპანიას სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრულ შვილობილ კომპანიებში, მათი წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით პარტნიორისათვის მინიჭებული სრული უფლებამოსილებით, დამოუკიდებლად.

თითოეული ოფიცერი, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სამეთვალყურეო საბჭოსთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ამტკიცებს მისი მართვის სფეროში არსებული სტრატეგიული ბიზნეს მიმართულების/დივიზიის საშტატო განრიგს მთავარი აღმასრულებელი ოფიცრის მიერ დამტკიცებული კომპანიის მართვის სტრუქტურის შესაბამისად. იღებს და მართავს კომპანიის თანამშრომლებს, წყვეტს მათი წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს. თითოეული ოფიცერი ვალდებულია შპს „თეგეტა მოტორსში“ ან მის შვილობილ კომპანიაში დირექტორის ან ნებისმიერ სხვა მაღალ მენეჯერულ პოზიციაზე დანიშვნის, აგრეთვე, კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურის დამტკიცების/ცვლილების საკითხი სამეთვალყურეო საბჭოსთან წინასწარ შეათანხმოს.

2024 წლის ივლისის მდგომარეობით შპს „თეგეტა მოტორსს“ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული ექვსი ოფიცერი ხელმძღვანელობს:

01 მთავარი აღმასრულებელი ოფიცერი

02 აღმასრულებელი ოფიცერი

03 მთავარი ფინანსური ოფიცერი

04 მთავარი კომერციული ოფიცერი

05 მსუბუქი ავტომობილების მთავარი ოფიცერი

06 სატვირთო და სპეციალური დანიშნულების ტექნიკის მთავარი ოფიცერი

მესამე პირების წინაშე კომპანიის სრული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მინიჭებული აქვს მთავარ აღმასრულებელ ოფიცერს, რომელიც:

- განკარგავს კომპანიის ქონებას (წესდების შესაბამისად);
- გასცემს მინდობილობებს (პროკურის გარდა);
- კომპანიის სახელით დებს ხელშეკრულებებს;
- ხსნის ანგარიშს/ანგარიშებს ბანკში და ახორციელებს საბანკო ოპერაციებს;
- სამეთვალყურეო საბჭოსთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ადგენს და ამტკიცებს კომპანიის მართვის სტრუქტურას და კომპანიის მართვის სტრუქტურაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაციას სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენს;
- წყვეტს კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სხვა საკითხებს, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც კომპანიის პარტნიორთა კრების, სამეთვალყურეო საბჭოს ან სხვა ოფიცერთა კომპეტენციას განეკუთვნება.

2.2 მდგრადი განვითარების მენეჯმენტი

„თეგეტაში“ მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები სხვადასხვა შიდა პოლიტიკის საფუძველზე იმართება. მაგალითად, კორპორაციული პასუხისმგებლობის სტრატეგია, ქცევისა და ეთიკის კოდექსი, კორპორაციული მართვის კოდექსი, გარემოს დაცვის სახელმძღვანელო, გარემოსდაცვითი პოლიტიკა და სხვ.

თითოეული პოლიტიკა მხარდაჭერილი და დამტკიცებულია კომპანიის უმაღლესი რგოლის ჩართულობით.

მდგრადი განვითარების საკითხებს კომპანიაში სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი მართავს, რომლის შემადგენლობაშიც შედის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) მიმართულება. CSR მენეჯერი პასუხისმგებელია დეპარტამენტის ხელმძღვანელის წინაშე. უშუალოდ დეპარტამენტი კი აღმასრულებელ ოფიცერსა და მთავარ აღმასრულებელ ოფიცერს ექვემდებარება. მდგრადობის/CSR საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები სწორედ სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის ინიცირებითა და აღმასრულებელი რგოლის მხარდაჭერით მიიღება.

უფრო კონკრეტულად, CSR მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობებია:

- კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგიის აღსრულება;
- არსებული CSR პროექტების იდენტიფიცირება და განვითარების გეგმის შემუშავება სტრატეგიის შესაბამისად;
- CSR აქტივობების ინიცირება და მართვა;
- კომპანიის კორპორაციული პასუხისმგებლობის ვალდებულებების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;
- შვილობილ კომპანიებთან თანამშრომლობა;
- შიდა კომუნიკაციის გამოყენება კომპანიის კორპორაციული პასუხისმგებლობის პოლიტიკის განმტკიცების მიზნით;
- კორპორაციული პასუხისმგებლობის პროექტების შესახებ ანგარიშების მომზადება;

სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის გარდა, CSR სტრატეგიის განხორციელებაში ჩართულები არიან: შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვის დეპარტამენტი, ადამიანური კაპიტალის მართვის დეპარტამენტი, ადმინისტრაციული მიმართულება. თითოეული დეპარტამენტი, სტრატეგიის შესაბამისად, თავად განსაზღვრავს ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმას, რომელსაც აღმასრულებელ და მთავარ აღმასრულებელ ოფიცრებს უთანხმებს. გარემოსდაცვითი დეპარტამენტი გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და მართვის სისტემის დანერგვასა და ფუნქციონირებას, ასევე სამუშაო გარემოში უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს ზედამხედველობს.

თანამშრომელებისთვის თანასწორი და დისკრიმინაციისგან თავისუფალი, უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნის მიზნით, ადამიანური კაპიტალის მართვის დეპარტამენტი და მასში შემავალი - ადამიანთა განვითარებისა და გამოცდილების განყოფილება კომპანიაში სხვადასხვა პოლიტიკის, პროცედურისა და ინიციატივის დანერგვას უზრუნველყოფს. ადმინისტრაციული მიმართულება რესურსების მდგრადი მოხმარების, ასევე სხვადასხვა ენერგოდამზოგავი ღონისძიებების გატარების საკითხებს ზედამხედველობს.



2.3 ადამიანის უფლებების დაცვა

ადამიანის უფლებების დაცვა და პატივისცემა „თეგეტას“ ერთ-ერთი ფუნდამენტური ღირებულებაა. ამ მიმართულებით კომპანიის მიდგომა საერთაშორისო სტანდარტებსა და გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ დამტკიცებულ ადამიანის უფლებების პრინციპებს ეფუძნება. კომპანია ადასტურებს თავის ვალდებულებას, პატივი სცეს გაეროს დეკლარაციით, შრომის ფუნდამენტური პრინციპების შესახებ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) დეკლარაციითა და მისი ფუნდამენტური კონვენციებით განსაზღვრულ ადამიანის საყოველთაო უფლებებს.

„თეგეტა“ მოითხოვს ადამიანის უფლებების დაცვას თანამშრომლებისგან, პარტნიორებისგან, მომწოდებლებისგან და მომხმარებლებისგან. ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პრინციპები კომპანიის **ქცევის და ეთიკის კოდექსშია** გათვალისწინებული.

სფეროები, სადაც „თეგეტა“ ადამიანის უფლებების დაცვას უზრუნველყოფს:

ღირსეული დასაქმება

„თეგეტა“ უზრუნველყოფს სამართლიან და ხელსაყრელ სამუშაო პირობებს, ღირსეულ დასაქმებას, დასვენებისა და თავისუფალი დროის უფლების გარანტიას, შრომის კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია პატივს სცემს თანამშრომლების ძირითად შრომით უფლებებს და აძლევს მათ გარანტიას შრომის უსაფრთხოებაზე, მუდმივად აუმჯობესებს სამუშაო პირობებს და უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო გარემოს ქმნის.

კომპანია ემხრობა სამართლიან და ადეკვატურ ანაზღაურებას, რომელიც დაფუძნებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის პრაქტიკაზე, თანამშრომელთა კვალიფიკაციაზე, გამოცდილებასა და პასუხისმგებლობებზე.

იძულებითი შრომა და ბავშვთა შრომა

„თეგეტა“ არ იყენებს ბავშვთა შრომას. არასრულწლოვანი პირების დასაქმების შემთხვევაში, მათი შრომის პირობები კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად მკაცრად კონტროლდება.

დისკრიმინაციისგან თავისუფალი სამუშაო გარემო

„თეგეტა“ უარყოფს ნებისმიერ დისკრიმინაციას რასის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური შეხედულების, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, ოჯახური მდგომარეობის, ეკონომიკური მდგომარეობის, ქმედუუნარობის ან სხვა პიროვნული მდგომარეობის საფუძველზე.

კომპანია თანაბრად, სამართლიანად და პატივისცემით ეპყრობა ყველა თანამშრომელსა თუ სამუშაოს მაძიებელს. ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია ან შევიწროება, სამუშაო ადგილზე, სათანადოდ იქნება გამოძიებული და გადაწყვეტილი კომპანიის მენეჯმენტის მიერ.

კომპანია ეწინააღმდეგება ნებისმიერი სახის ძალადობას, შევიწროებას ან შეურაცხყოფას სამუშაო ადგილზე. ამ მიზნით „თეგეტაში“ 2023 წლიდან მოქმედებს **სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკა,** რომელიც ჰოლდინგში შემავალ თითოეულ კომპანიაზე და თითოეულ თანამშრომელზე ვრცელდება. ასევე „თეგეტა“ ზედმიწევნით იცავს **შრომის შინაგანაწესს,** რომელიც თანამშრომლების უფლებების პატივისცემას გულისხმობს.

ჩამოთვლილი პოლიტიკისა და შიდა დოკუმენტების გარდა, 2023 წელს კომპანიამ **მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის პოლიტიკაზე დაიწყო მუშაობა,** რომელიც უახლოეს პერიოდში დაინერგება. პოლიტიკის მიხედვით განისაზღვრება და დაინერგება სათანადო მექანიზმები, რათა კომპანიაში დაცული იყოს ადამიანის ფუნდამენტალური უფლებები. დამატებით იგეგმება თანამშრომლებისთვის ადამიანის უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების გეგმის შემუშავება.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებების დაცვა კომპანიის მიერ მიღებულ არაერთ დოკუმენტში/პოლიტიკაშია გათვალისწინებული, „თეგეტა“ **ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ** ერთიანი პოლიტიკის შემუშავებაზეც მუშაობს, რომელიც კომპანიის ძირითად პრინციპებს, ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით, კიდევ უფრო დეტალურად განსაზღვრავს. პოლიტიკაში გათვალისწინებული იქნება საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებათა ფართო სპექტრი, მათ შორის, სიცოცხლის უფლება, დისკრიმინაციისგან თავისუფლება, გაერთიანების თავისუფლება და სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის უფლება. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება დაინტერესებულ მხარეებზე. შემუშავებული პოლიტიკა გავრცელდება და სავალდებულოდ შესასრულებელი იქნება შპს „თეგეტა მოტორსსა“ და ჰოლდინგში შემავალი ყველა კომპანიისთვის. განსაზღვრული იქნება ადამიანის უფლებების დარღვევის გამოვლენისა და ანონიმური მხილების ეფექტური მექანიზმები, ასევე, ინციდენტების მართვისა და განხილვის პროცედურები. გარდა ამისა, დარღვევის ფაქტებზე შესაბამისი სადამსჯელო ღონისძიებები დადგინდება.

პოლიტიკის გაცნობა ან პოლიტიკის კომუნიკაცია თანამშრომლებისთვის სხვადასხვა ფორმით განხორციელდება. კერძოდ, გავრცელდება კომპანიის ოფიციალურ ვებგვერდზე საჯაროდ. პარალელურად, დაიგეგმება შესაბამისი პრეზენტაციები, სასწავლო პროგრამები, ტრენინგები და ყველა შესაძლო არხის მეშვეობით გავრცელება.

2.4 ბიზნეს ეთიკა

„თეგეტას“ საქმიანობა მომხმარებლებთან, პარტნიორებთან, პერსონალთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან გრძელვადიანი თანამშრომლობის პრინციპებს ეფუძნება. მომხმარებლებისა და პარტნიორების ნდობის მოსაპოვებლად და წარმატების მისაღწევად, კომპანია თანამშრომელთა ქცევისა და ბიზნეს გადაწყვეტილებების, ქცევისა და ეთიკის უმაღლეს სტანდარტებთან შესაბამისობას უზრუნველყოფს.

კომპანიის ეთიკის პრინციპები დაფუძნებულია შემდეგზე:

1. საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის, აგრეთვე, ნებისმიერი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტის დებულებების დაცვა და პატივისცემა
2. ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა და მათი დაცვა
3. ბიზნესის წარმართვა ღირებულებებზე დაყრდნობით, მიუკერძოებლად და სამართლიანად, მექრთამეობაზე და კორუფციაზე ან მსგავს მიუღებელ ბიზნესპრაქტიკაზე უარის თქმა
4. ორმხრივი ნდობის შექმნა კომპანიის ბიზნესპარტნიორებთან
5. იმ საზოგადოებისა და გარემოს მიმართ პატივისცემის გამოხატვა, სადაც კომპანია საქმიანობს
6. ქმედებების განხორციელება კომპანიის, ინვესტორების, პარტნიორების და მომხმარებელთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით

კომპანია მოტივირებულია, რომ ბიზნესის ყველა ასპექტში ეთიკის მაღალი სტანდარტების დაცვით იმოქმედოს. შპს „თეგეტა მოტორსის“ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულია ქცევის და ეთიკის კოდექსი, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://tegeta.ge/. კოდექსი გადაიხედება და განახლდება რეგულარულად.

კოდექსის მიღებით კომპანია ღიად აფიქსირებს ნებას, მოიპოვოს პარტნიორების, თანამშრომლების, ინვესტორების და ზოგადად საზოგადოების მაღალი ნდობა და გახდეს სამაგალითო ბიზნესსუბიექტი. კომპანიის მენეჯმენტმა მაქსიმალური ძალისხმევა გასწია იმისათვის, რომ შეექმნა დოკუმენტი, რომელიც სრულ შესაბამისობაშია კომპანიის მისიასთან, მის აღიარებულ და დეკლარირებულ მიზნებთან და ღირებულებებთან. პროცესი არსებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით წარიმართა. შესაბამისად, შემუშავებული დოკუმენტი გასცდა სამართლებრივ და მარეგულირებელ ფარგლებს, რომლებიც დღეს გავრცელებულია საქართველოში და მოიცავს ეროვნულ და საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებს და საუკეთესო პრაქტიკებს.

კოდექსი „თეგეტა ჰოლდინგის“ კომპანიების ყველა თანამშრომელზე ვრცელდება, მათ შორის, მმართველობითი ორგანოების წევრებზე და ეხმარება მათ, საქმიანობის პროცესში, სწორი და ეთიკურად გამართლებული გადაწყვეტილებები მიიღონ. კომპანიის მმართველობით ორგანოებსა და თანამშრომლებს ესმით კოდექსი, როგორც თავიანთი ვალდებულება და მისი არსისა და დებულებების პრაქტიკაში განხორციელებას უზრუნველყოფენ.

როგორც შიდა, ისე საქმიან ურთიერთობებში, კომპანია აჩვენებს თავის ერთგულებას შემდეგი ღირებულებებისადმი:

1. ადამიანი, როგორც ყველაზე დიდი ღირებულება და პრიორიტეტი
2. საქმიანობის გამჭვირვალობა და მკაფიო შიდა და გარე კომუნიკაცია
3. მაღალი ხარისხის პროდუქტისა და სერვისის მიწოდება, უწყვეტი განვითარება და ბიზნესის ზრდა.

კომპანია მოტივირებულია, სრულად დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა ფულის გათეთრების წინააღმდეგ და ბიზნესი აწარმოოს მხოლოდ კარგი რეპუტაციის მქონე მიმწოდებლებთან, ბიზნესმომხმარებლებთან და სხვა პარტნიორებთან, რომლებიც ჩართულები არიან ლეგიტიმურ ბიზნესში და რომელთა თანხები ლეგიტიმური წყაროებიდან მომდინარეობს.

3.თანამშრომელთა კეთილდღეობა

3.1. თანამშრომლების განვითარება

3.2. თანამშრომელთა მხარდამჭერი და ჩართულობის პროექტები

3.თანამშრომელთა კეთილდღეობა

„თეგეტასთვის“ თანამშრომლები ყველაზე ღირებული აქტივია. მათი უსაფრთხოება და თანასწორი ორგანიზაციული კულტურის დამკვიდრება კი ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი. დისკრიმინაციის, ჩაგვრისა და სექსუალური შევიწროებისგან თავისუფალი გარემოს შექმნის იდეით, კომპანიამ სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკა დანერგა. „თეგეტა“ პირველი კომპანიაა ქართულ ბიზნესსექტორში, რომელმაც საერთაშორისო პროექტი **„მამაკაცური საუბრები“** დაიწყო, რომლის მიზანია საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების მსხვრევა და გენდერულ თანასწორობაზე ცნობიერების ამაღლება. „თეგეტა“ ერთ-ერთი პირველი ჩაერთო კამპანიაში **„პროფესიას არ აქვს გენდერი“,** რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციის „მოძრაობა ცვლილებისთვის“ ინიციატივით ხორციელდებოდა და გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრას ითვალისწინებდა. სწორედ ჰოლდინგის ხელშეწყობით, პირველად საქართველოში ქალებმა სატვირთოსა და მსუბუქი ავტომობილის მექანიკოსის პროფესია შეიძინეს და კომპანიაში დასაქმდნენ. „თეგეტა“ ზრუნავს პოზიტიური სამუშაო გარემოს შექმნაზე, სთავაზობს თანამშრომლებს ისეთ ინიციატივებს, რომლებშიც ენთუზიაზმით ერთვებიან. მათ შორისაა, **„ზრუნვის კედელი“,** როდესაც კომპანიის გუნდის წევრები საახალწლოდ ბავშვებისა და მოხუცებისთვის ერთიანდებიან, ასევე სპორტული და შემეცნებითი აქტივობები, ტრენინგები, ჩართულობის კამპანიები და ა.შ.

„თეგეტაში“ სჯერათ, რომ ბიზნესის წარმატება თანამშრომლებზეა დამოკიდებული. კომპანიის პასუხისმგებლობაა შექმნას ისეთი სამუშაო გარემო, რომელიც მოიზიდავს როგორც ტალანტებს, ისე შეინარჩუნებს და ხელს შეუწყობს არსებული თანამშრომლების კარიერულ წინსვლასა და პროფესიულ განვითარებას.

მდგრადი მიდგომებით, უსაფრთხო გარემოს შენებით, ახალი ინიციატივებითა და ჩართულობის პროექტებით, „თეგეტა“ თანამშრომლებისთვის თანაბარ და სამართლიან გარემოში განვითარების შესაძლებლობას ქმნის, მხარს უჭერს მათ კარიერულ წინსვლას, აძლევს დისკრიმინაციისა და შევიწროებისგან თავისუფალ გარემოს და სთავაზობს სამუშაო სივრცეს, სადაც ყველა თანამშრომელს აფასებენ, პატივს სცემენ და თანაბრად ეპყრობიან განურჩევლად რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, სოციალური ან ქონებრივი მდგომარეობის, პროფესიის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნების, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახის/ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის, შეზღუდული შესაძლებლობების, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებებისა.

პოლიტიკა და მიდგომა

ურთიერთობები სამსახურში რეგულირდება ქცევისა და ეთიკის კოდექსით, სხვადასხვა პოლიტიკითა და პროცედურით. „თეგეტაში“ მოქმედებს სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკა, შინაგანაწესი, შეფასებისა და მოტივაციის სისტემები, თანამშრომელთა აყვანის, პოზიციის ცვლილების, გათავისუფლების პოლიტიკა, თანამშრომელთა ანაზღაურების ბიუჯეტირების პროცესების პოლიტიკა, დასაქმებულთათვის და მათი ოჯახის წევრებისათვის ფულადი დახმარების გაცემის წესი და შრომის უსაფრთხოების მიმართულებით არსებული რეგულაციები. შესაბამისი პროცედურები და ინსტრუქციები თანამშრომლების დასაქმების, შვებულების, სხვა ბიზნესსაქმიანობებში ჩაბმის, თანამშრომლებისთვის სწავლების თანადაფინანსებისა და სხვა პროცედურებს მოიცავს. ჰოლდინგში არსებული ადამიანური კაპიტალის მართვის (HC) წესები და პროცედურები უზრუნველყოფს თანამშრომელთა ურთიერთობების შესაბამისობას ადგილობრივ კანონმდებლობასთან, შრომის კოდექსთან, შრომის უსაფრთხოების სტანდარტებთან, პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან, საერთაშორისო სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან. ადამიანის უფლებების პატივისცემასთან დაკავშირებული პოლიტიკები საერთაშორისო სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს ეფუძნება. ის შესაბამისობაშია გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ დამტკიცებულ ადამიანის უფლებების პრინციპებთან და გლობალურ შეთანხმებებთან.

სექსუალური შევიწროვების შესახებ კომპანიის პოლიტიკა

„თეგეტა ჰოლდინგისთვის“ თანამშრომლების უსაფრთხოების უზრუნველყოფა ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია. დისკრიმინაციის, ჩაგვრისა და სექსუალური შევიწროებისგან თავისუფალი გარემოს შექმნის იდეით, კომპანიაში სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკა 2023 წელს დაინერგა და მოქმედებს. ამ მექანიზმის დანერგვის პროცესში, გადამზადდნენ „თეგეტა ჰოლდინგის“ მაღალი და შუა რგოლის მენეჯერები და ადამიანური კაპიტალის მართვის დეპარტამენტის თანამშრომლები. ასევე, საჩივრების განმხილველი კომისიის წევრები. პოლიტიკის განაცხადით, „თეგეტა ჰოლდინგი“ იღებს ვალდებულებას, ინდივიდუალურად მიუდგეს სავარაუდო სექსუალური შევიწროების ყველა შემთხვევას, დროულად გამოიძიოს თითოეული მათგანი და დაიცვას კონფიდენციალურობა აღნიშნული ფაქტის შესახებ.

პოლიტიკა გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) რეკომენდაციების გათვალისწინებით, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკებზე დაყრდნობითა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სახელმძღვანელოს მიხედვით მომზადდა.

გამარტივებული კომუნიკაციის მიზნით, თანამშრომლებისთვის შემუშავდა პოლიტიკის გზამკვლევი, რომელიც პოლიტიკის არსს, გასაჩივრების მექანიზმებსა და პროცედურებს მოიცავს.

კომპანიაში დასაქმებულთა ცნობიერების ასამაღლებლად „თეგეტა“ UN Women-თან და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან თანამშრომლობით, 2024 წელს მისი გუნდის წევრებს მინიმუმ 6 ტრენინგს შესთავაზებს. ამასთან, დაგეგმილია აქტიური საინფორმაციო კამპანია შიდა საკომუნიკაციო არხების მეშვეობით. შედეგად ჰოლდინგის თანამშრომლები მიიღებენ ინფორმაციას სექსუალური შევიწროების პოლიტიკის, მისი ბენეფიტებისა და აღსრულების მექანიზმების შესახებ.

3.1 თანამშრომელთა განვითარება

„თეგეტა ჰოლდინგი'' მუდმივად ზრუნავს თანამშრომელთა გამოცდილების გაუმჯობესებაზე და მათ სხვადასხვა ტიპის ბენეფიტებს სთავაზობს. მათ შორისაა, როგორც სტანდარტული კორპორაციული სარგებელი, მაგალითად, ჯანმრთელობის დაზღვევა კომპანიის მიერ დაფინანსების სხვადასხვა პირობით, ასევე, თანამშრომელთა გამოცდილების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული პროექტები. ჰოლდინგის გუნდის წევრებთან პერიოდულად იგზავნება „გამოცდილების გზამკვლევები", რომელთა მიზანი, სასარგებლო ტექნიკებისა და პრაქტიკების გაზიარების გზით უკეთესი სამუშაო გამოცდილების ხელშეწყობაა.

თანამშრომელთა ტრენინგები

„თეგეტასთვის" წინა ხაზის (FRONT) მიმართულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. შესაბამისად, წინა ხაზის თანამშრომლები მუდმივად გადიან ტექნიკური მიმართულების სავალდებულო, ან მათთვის საინტერესო ტრენინგებს.

მხარდამჭერი (BACK) თანამშრომლებისთვის, ადამიანური კაპიტალის მართვის დეპარტამენტი ტრენინგების საჭიროების კვლევის (Training Needs Analysis - TNA) საფუძველზე გამოვლენილი შედეგების მიხედვით, წლიურ ტრენინგებს გეგმავს. ამის შემდგომ, ორგანიზების პროცესში, „თეგეტა აკადემია" ერთვება, რომელიც სიტუაციის გათვალისწინებით იწვევს ვენდორს. კონკრეტული საჭიროების შესახებ ინიციატორი თანამშრომლი/მენეჯერია, კომპანია კი შესაბამისი ან მსგავსი ტრენინგის სრულად დაფინანსებას ან თანადაფინანსებას უზრუნველყოფს. სწავლება ეხება როგორც რბილი, ისე ტექნიკური უნარების განვითარებას, მათ შორის საოფისე პროგრამებს, ენების გაუმჯობესებას, პროექტების მენეჯმენტს და სხვა. რაც შეეხება პროფესიულ ტრენინგებს, ეს ნაწილი სრულად „თეგეტა აკადემიის" მიერაა უზრუნველყოფილი.

2023 წლის განმავლობაში „თეგეტა აკადემიამ" 300-მდე ჯგუფისთვის 5620 სატრენინგო საათი ჩაატარა, 2022 წლის მონაცემებით კი 270 ჯგუფისთვის 4613 სატრენინგო საათი ჩატარდა. მონაწილეთა ჯამური რაოდენობა აკადემიის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებზე, 2023 წლის მონაცემებით 2829 მსმენელს, ხოლო 2022 წლისათვის კი - 2714 მსმენელს შეადგენს. ყველაზე პოპულარული სასწავლო კურსი ეფექტური მომსახურება და გაყიდვების ტრენინგები იყო.

ტრენინგები თანამშრომლებს



თანამშრომელთა პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, „თეგეტა" Coursera-ს ონლაინ სწავლების საერთაშორისო პლატფორმასთან თანამშრომლობს. კომპანიის გუნდის წევრებს შესაძლებლობა აქვთ თავად აირჩიონ და სრული დაფინანსებით გაიარონ მათთვის სასურველი ონლაინ სასწავლო კურსები და აიმაღლონ კვალიფიკაცია. შესაბამისი ინფორმაცია თანამშრომლებს პერიოდულად შიდა საკომუნიკაციო არხებით ეგზავნებათ.

2023 წელს Coursera-ს პლატფორმაზე სწავლება შვიდმა თანამშრომელმა გაიარა. აღსანიშნავია, რომ შესაბამისი დაფინანსების წესის მიხედვით, „თეგეტა" დასაქმებულთათვის უცხო ენების შესწავლასაც უზრუნველყოფს.

კარიერული წინსვლა

- **2009-2010** - აღრიცხვის ოპერატორი, შპს „თეგეტა მოტორსი"
- **2010-2011** - სერვისის მენეჯერი, შპს „თეგეტა მოტორსი"
- **2011- 2013** - სერვისის მრჩეველი, შპს "თეგეტა პრემიუმ ვიიქელს"
- **2013-2017** - გაყიდვების შემდგომი მომსახურების მენეჯერი, შპს "თეგეტა პრემიუმ ვიიქელს"
- **2017-2020** - გაყიდვებისა და მარკეტინგის ხელმძღვანელი, შპს "თეგეტა პრემიუმ ვიიქელს"
- **2020- დღემდე** - დირექტორი, შპს "თეგეტა პრემიუმ ვიიქელს"
- **2023 - დღემდე** - მსუბუქი ავტომობილების მთავარი ოფიცერი, შპს „თეგეტა მოტორსი"

პებრე წაქაძე

მსუბუქი ავტომობილების მთავარი ოფიცერი

„ჩემი კარიერა „თეგეტაში" 2009 წელს იწყება. მას შემდეგ ძალიან სწრაფი ნაბიჯებით გაიზარდა „თეგეტა" და მეც მაქსიმალურად ვუწყობდი ფეხს. 2011 წელს პირველი მსუბუქი ავტომობილების სადილერო გაიხსნა, კერძოდ „პორშე", სადაც სერვისის მრჩევლის პოზიციაზე გადავედი. მიუხედავად სერვისის კუთხით 3-წლიანი გამოცდილებისა, საერთაშორისო ბრენდებთან ურთიერთობის შედეგად ბევრი ნაბიჯის თავიდან გადადგმა მომიხდა.

მიმაჩნია, რომ თუ ყურადღებას მოადუნებ და კომფორტის ზონაში გადახვალ, აუცილებლად თავის შესაბამის უკუკავშირს დაგიბრუნებს კარიერა. ვფიქრობ ჯერ გაჩერებაზე ფიქრი, ჩემთვის ძალიან ადრეა. თუმცა, თუ ამბიცია და შესაძლებლობა არ ემთხვევა კომპანიის განვითარების სტრატეგიას, ის მხოლოდ ყოველდღიურ რუტინაში გადაიქცევა.

„თეგეტაში" კი ერთადერთი რუტინა არსებობს, გზა სახლიდან „თეგეტამდე" და უკან. ჩემს კარიერაში, განვითარების შესაძლებლობები მაშინ ჩნდებოდა, როდესაც საჭირო იყო ახალ გამოწვევებთან შეჭიდება და სწორედ ეს საინტერესო გზა გავიარე ოპერატორობიდან „თეგეტა ქარსის" მთავარი ოფიცრის პოზიციამდე. აქ კი, უკვე პოზიციას მნიშვნელობა არ აქვს და ყოველ დღეს შენ თვითონ ქმნი. ვფიქრობ, მნიშვნელოვანია იმ განვლილი გზის ირიბად გაზიარება გუნდის წევრებისთვის, რომლებიც თვალებანთებულები ერთი მიმართულებით უსვამენ იმ გემის ნიჩბებს, რომელსაც „თეგეტა" ჰქვია."

დასაქმებულთა კარიერული ზრდის დაგეგმვის მიზნით, 2022 წლიდან, ჰოლდინგის ბაზაზე ადაპტირებული შეფასების ინსტრუმენტით, მაღალი პოტენციალის მქონე თანამშრომლების (High Potential Employees) კვლევა ტარდება. მთავარი მიზანი როგორც არამენეჯერულ, ისე მენეჯერულ პოზიციებზე მაღალი პოტენციალის მქონე თანამშრომლთა გამოვლენა და სამომავლო ხელშეწყობაა.

2023 წელს ჩატარებულ HIPO-ს კვლევაში 448 არამენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებული თანამშრომელი და 118 მენეჯერი შეფასდა. კვლევა ყოველწლიურად ტარდება და ამ პრაქტიკის გაგრძელება მომავალშიც იგეგმება.

ამასთან, კომპანია, როგორც მაღალი პასუხისმგებლობის მქონე დამსაქმებელი, ქმნის კარიერულ შესაძლებლობებს ახალაზრდებისთვის. „თეგეტა“ აქტიურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, მართავს სამუშაო შეხვედრებს უნივერსიტეტებთან და პროფესიულ კოლეჯებთან, მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ ინიცირებულ, ახალგაზრდების დასაქმებაზე ორიენტირებულ პროექტებში. 2023 წლის მონაცემებით, ჰოლდინგმა თანამშრომლობა დაიწყო წამყვან უნივერსიტეტებთან და ჩაერთო პროექტებში **“1000 ქალი ტექში“ და TBC & USAID & TEGETA.**

დაიწყე კარიერა „თეგეტაში“

2023 წელს კომპანიამ წარმატებით დაიწყო და განახორციელა პროექტი **„დაიწყე კარიერა თეგეტაში“,** რომლის ფარგლებშიც სამუშაოს მაძიებლებს ეძლევათ შანსი, შეისწავლონ პროფესია მოკლე დროში და დაიწყონ კარიერა ავტოინდუსტრიის ლიდერ კომპანიაში. პროექტის განმავლობაში კანდიდატები გადიან ინტენსიურ თვენახევრიან სასწავლო კურსს და იძენენ საბაზისო ცოდნას ავტომობილის აგებულების შესახებ. სწავლის დასრულების შემდეგ წარმატებული მონაწილეები კომპანიისგან იღებენ სტიპენდიას და „თეგეტა მოტორსის“ სხვადასხვა ფილიალში საქმდებიან.

2023 წლის მონაცემებით, ორი ნაკადი შედგა, რომელსაც აერთიანებდნენ სტუდენტები ხუთი უნივერსიტეტიდან. პირველ ნაკადში 526 დაინტერესებული კანდიდატი იყო. მათგან 20 სტუდენტი სრული განაკვეთით, ხოლო 25 სტუდენტი ნახევარი განაკვეთით შეირჩა. შემდგომ ნაკადში კი 516 დაინტერესებული აპლიკანტიდან სრული განაკვეთით 19 სტუდენტი შეარჩიეს.

პროექტი ძირითადად წინა ხაზის (Front office) სპეციალობებს ფარავდა, თუმცა შედეგმა მხარდამჭერ (Back office) პოზიციებზეც მაღალი მოთხოვნა აჩვენა. სწორედ ამიტომ „თეგეტამ“ 2024 წელს დაიწყო პროექტი **„თეგეტა სტუდენტებისთვის“,** რომელიც დაინტერესებულ ახალგაზრდებს სტაჟირების მრავალფეროვან შესაძლებლობას სთავაზობს. ამ მიმართულებით კომპანია სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან მჭიდრო პარტნიორობის დამყარებას აპირებს.

1042
კანდიდატი

39
სტუდენტი სრული განაკვეთით

25
სტუდენტი ნახევარი განაკვეთით

თანამშრომელთა აღიარება

თანამშრომელთა მოტივაციისა და აღიარების მიმართულებით, „თეგეტას“ ინიციატივებს შორისაა: „ლიდერების ჟურნალი” და „ერთი დღე დეპარტამენტში“.

„ლიდერების ჟურნალი” არის პლატფორმა, რომლის საშუალებითაც გუნდის წევრები ჰოლდინგის ახალ და დაწინაურებულ მენეჯერებს ეცნობიან. პროექტის ფარგლებში, მხოლოდ 2023 წელს, „თეგეტას“ შიდა აუდიტორიას 115 ლიდერზე, მათ განვლილ გზასა და სამომავლო გეგმებზე მიეწოდა ინფორმაცია.

„ერთი დღე დეპარტამენტში” – ვიდეო-სერიების საშუალებით სხვადასხვა მიმართულების გუნდები კოლეგებს თავიანთი საქმიანობის შიდა სამზარეულოს და ყოველდღიურობას უზიარებენ. პროექტის მიზანი, ერთი მხრივ, თანამშრომლებს შორის ლოიალობის გაზრდა, ხოლო მეორე მხრივ, კონკრეტული გუნდის სათანადოდ წარმოჩენა და აღიარებაა. კომპანიაში მიაჩნიათ, რომ თითოეული ფილიალის, დეპარტამენტის წარმატება ცალ-ცალკე და მათი ერთიანი, კოორდინირებული მუშაობაა ის, რაც „თეგეტას“ ქმნის. პროექტის ფარგლებში 2023 წელს ვიდეო მასალა ხუთი დეპარტამენტის შესახებ მომზადდა.

115 ლიდერი

„თეგეტას“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი სტაბილური დამსაქმებლის სტატუსია. 2023 წლის მონაცემებით, დასაქმებულთა 16%-ს ჰოლდინგში მუშაობის ათ წელზე მეტი გამოცდილება ჰქონდა. თავის მხრივ, კომპანია მუდმივად ზრუნავს ხანგრძლივი სტაჟის მქონე თანამშრომლების ღირსეულ აღიარებაზე. დაჯილდოება ყოველწლიურად სხვადასხვა ფორმატში იმართება და კომპანია მისი გუნდის წევრებს მრავალფეროვან სასაჩუქრე პაკეტს გადასცემს.

თანამშრომელთა 16% მუშაობის 10 წელზე მეტი გამოცდილება

სტაჟი	რაოდენობა	%
0-1	438	16%
1-3	884	32%
3-5	411	15%
5-10	581	21%
10-15	289	10%
15-20	170	6%

თანამშრომელთა სტაჟის მიხედვით განაწილება, 2023

თამარ ჩევაზოვი

კომერციული ტექნიკისა და ავტობუსების მიმართულების მარკეტინგის ხელმძღვანელი

“მეგობრული გარემო - ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, რომელმაც „თეგეტასთან“ ჩემი 10 - წლიანი თანამშრომლობა განაპირობა. წლების განმავლობაში ძალიან ბევრი მეგობარი შევიძინე, ეს კი სამუშაო პროცესს კიდევ უფრო სასიამოვნოს ხდის.
მეორე ფაქტორი - კარიერული განვითარების საშუალებაა. 10 წლის განმავლობაში 6 თუ 7 სხვადასხვა პოზიციაზე ვიმუშავე, სწორედ ამიტომ სამუშაო პროცესი მუდამ საინტერესო და გამოწვევებით სავსე იყო.“

ნიკა მაღრაძე

ფიღიადის მმართველი

„თეგეტა“ ჩემი პირველი სამსახურია. აქ მუშაობის 12 წლის განმავლობაში საშუალება მომეცა სხვადასხვა პოზიცია შემეცვალა და ბევრი რამ მესწავლა, რადგან გუნდურობა და სირთულეების ერთად გადალახვა თეგეტას ყოველდღიურობის ნაწილია. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ გავიზარდე კომპანიასთან ერთად, რომელიც არასდროს ჩერდება.“

ნიკოლოზ გვანცელაძე

მექანიკოსი

„16 წელია „თეგეტას“ გუნდის ერთგული წევრი ვარ. სწორედ აქ შევძელი, რომ ჩემს სფეროში თავი დამემკვიდრებინა და ჰობი პროფესიად მექცია. ეს არის კომპანია, რომელმაც მომცა საშუალება მემუშავა ისეთ პრემიუმ ბრენდებზე, როგორებიცაა Porsche, Lamborghini, Bentley. გუნდი, რომელიც „თეგეტას“ უკან დგას, გამორჩეულია მიზანდასახულობითა და ერთგულებით, სწორედ ამიტომ მე არასდროს მიფიქრია მათი დატოვება.“

მუხმან წაქაძე

სამეუხნეო საკითხების მენეჯერი

„თეგეტა“ ჩვენი პერსონალის თითოეული წევრის მოკრძალებული წვლილით, სწორი სტრატეგიით და ტაქტიკით, ჩვენ თვალწინ ჩამოყალიბდა ლიდერ კომპანიად, ბრენდად, რომელიც მუდმივად ზრუნავს განვითარებაზე, უახლესი ტექნიკის და ტექნოლოგიების დანერგვაზე, ხარისხის ამაღლებაზე. მართვის რგოლი განათლებული, მოტივირებული გუნდის წევრებს აერთიანებს, რომელთაც შეუძლიათ ურთულესი გამოწვევების წარმატებით გადაწყვეტა. 15 წელზე მეტია ვამაყობ ასეთი გუნდის წევრობით.“

სტუმრად „თეგეტაში"

თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლებისა და განვითარების მიზნით, „თეგეტა" გარკვეული პერიოდულობით სხვადასხვა სფეროს პროფესიონალებს მასპინძლობს. შეხვედრები პროექტის „სტუმრად თეგეტაში" ფარგლებში იმართება. 2023 წელს ჰოლდინგის სტუმრები იყვნენ ფილოსოფოსი ანდრო დგებუაძე, ფილოლოგი ლევან ბერძენიშვილი და ბიზნეს კონსულტანტი ალექსანდრე ჯეჯელავა. საუბრის მთავარი თემები პიროვნულ განვითარებაში თვითმოტივაციის როლი, წარმატების მისაღწევად საჭირო უნარ-ჩვევები და დამსწრეთათვის საინტერესო სხვადასხვა საკითხი იყო.

სტუმრებსა და თემებს კომპანია რეგულარული უკუკავშირის გათვალისწინებით და დასაქმებულთა გამოკითხვის (Typeforms.ge) შედეგად არჩევს. კმაყოფილების ინდიკატორი კი საკმაოდ მაღალია. შეხვედრების სერიას, საშუალოდ 100-მდე თანამშრომელი ესწრება.
2023 წელს, 3 შეხვედრას ჯამში 300-მდე თეგეტელი დაესწრო.

ონბორდინგის ტრენინგი ახალი თანამშრომლებისთვის

„თეგეტა ჰოლდინგი" მსხვილი ბიზნეს ეკოსისტემაა და დასაქმებულთა დიდი რაოდენობიდან გამომდინარე, ახალი თანამშრომლების ეფექტური ინტეგრაცია სამუშაო გარემოში, პრიორიტეტული საკითხია. 2023 წელს კომპანიამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა და შექმნა ონბორდინგის ინსტრუქცია, რომლის მიზანი ღია სამუშაო გარემოს შექმნაა, იმისთვის, რომ გუნდის ახალმა წევრმა ორგანიზაციულ კულტურაში ინტეგრაცია და სამუშაო პროცესში პროდუქტიულად ჩართვა სწრაფად და ეფექტურად შეძლოს.

ამავე წელს, ჰოლდინგში ონბორდინგის ტრენინგების სერიაც დაინერგა. ინიციტივა ახალი თანამშრომლებისთვის „თეგეტას" ისტორიის, კულტურისა და მიღწევების გაცნობას, ასევე იმ ბენეფიტების წარდგენას ემსახურება, რომლებსაც კომპანია უზრუნველყოფს. ტრენინგის განმავლობაში, მონაწილეები წარმატებული თანამშრომლების ისტორიებს ისმენენ და კომპანიაში არსებულ საავტომობილო ცენტრებს სტუმრობენ.

თანამშრომლები ასევე ეცნობიან კომპანიის CSR სტრატეგიის პრიორიტეტულ მიმართულებებს, განხორციელებულ და მიმდინარე CSR ინიციატივებსა და პროექტებს, რომლებშიც ჩართვის შესაძლებლობა თავადაც აქვთ. მათ შორისაა, ნარჩენი პლასტმასასა და მეორადი ქაღალდის შეგროვება მწვანე ყუთებში, მწვანე მოხალისეობა და დასუფთავების აქციებში მონაწილეობა, საზოგადოებაზე ზრუნვის მასშტაბურ დონაციის პლატფორმაში - Tegeta.care თანამონაწილეობა და სხვ.

ამ კუთხით, 2023 წლის მონაცემებით, ჩატარდა 12 ტრენინგი, რომლებსაც კომპანიის 210 ახალი თანამშრომელი დაესწრო.

2024 წელს კომპანია გეგმავს განახორციელოს მნიშვნელოვანი ინიციატივები, რომლებიც უპასუხებს როგორც წინა ხაზის (FRONT), ასევე მხარდამჭერი (BACK) მიმართულებების საჭიროებებს, ადაპტაციის ეფექტური პროცესის დანერგვის ჭრილში. საბოლოოდ, განხორციელებული ინიციატივები დადებითად აისახება ერთ წლამდე სტაჟის მქონე თანამშრომლების გადინების მაჩვენებელზე.

პირველადი დახმარების ტრენინგები

უსაფრთხოება „თეგეტას“ CSR სტრატეგიის მნიშვნელოვანი მიმართულებაა. შესაბამისად, კომპანია დასაქმებულებს პირველადი დახმარების ტრენინგებს სთავაზობს. სწავლება იმ მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული ინფორმაციის გაზიარებას მოიცავს, რომლის ცოდნაც ყველა თანამშრომლისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია.

2023 წელს პირველადი დახმარების ოთხი ტრენინგი ჩატარდა, რომელთაც ჯამში 100-მდე მონაწილე დაესწრო. თანამშრომლები პროცესში სურვილის მიხედვით, წინასწარი რეგისტრაციის საშუალებით ერთვებიან.

შეფასება

„თეგეტა ჰოლდინგში“ შესრულებაზე დაფუძნებული ბონუსური სისტემა მოქმედებს, რა დროსაც თანამშრომელი უშუალო მენეჯერის მიერ დასახული ამოცანების შესრულების ძირითადი ინდიკატორებით (KPI) ფასდება.

კომერციული ნაწილის თანამშრომლები კვარტლურად ბიზნეს გეგმების შესრულების მაჩვენებლებით, ხოლო მხარდამჭერი დეპარტამენტების თანამშრომლები წელიწადში ორჯერ ფასდებიან. წელიწადში ერთხელ ფასდებიან წინა ხაზის თანამშრომლები. ამ შემთხვევაში გათვალიწინებულია ისეთი კრიტერიუმები, როგორებიცაა - პროფესიული ატესტაცია, მომსახურების ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობა და უშუალო მენეჯერის შეფასება. C-level-ის თანამშრომლები კი კომპანიის მოგების სხვადასხვა პარამეტრით ფასდებიან.

უახლოეს მომავალში ამ სქემაში პოზიციისთვის განსაზღვრული კომპეტენციების შეფასების დამატებაც იგეგმება, რაც გარკვეულწილად ტრენინგების საჭიროების კვლევას დაფარავს და თანამშრომელთა ინდივიდუალური განვითარების გეგმების შესაქმნელად იქნება გამოყენებული.

3.2 თანამშრომელთა მხარდაჭერა და გარითულობის ჯროექტები

ოჯახთან თავსებადი სამუშაო გარემო

პირად ცხოვრებასთან დაბალანსებული გარემო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია თანამშრომელთა კეთილდღეობისათვის. ოჯახთან თავსებადი სამუშაო გულისხმობს ორგანიზაციაში ისეთი სამუშაო პირობების შექმნას, რომლებიც თავსებადია თანამშრომელთა ოჯახურ პასუხისმგებლობებთან, პირად ცხოვრებასთან და თანაბარ პირობებს უქმნის ორგანიზაციაში დასაქმებულ კაცებსა და ქალებს.

„თეგეტა“ აცნობიერებს, რომ ოჯახთან თავსებადი სამუშაო გარემოს პოლიტიკა მნიშვნელოვანია თანამშრომელთა ოჯახების კეთილდღეობისთვის; ის ხელს შეუწყობს, ტალანტების მოზიდვასა თუ შენარჩუნებას სამუშაო ადგილებზე, ასევე, ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას.

ოჯახთან თავსებადი გარემოს პოლიტიკის შემუშავება CSR სტრატეგიით განსაზღვრული ერთ-ერთი ვალდებულებაა, რომელზე მუშაობაც ჰოლდინგში 2023 წელს დაიწყო საერთაშორისო პარტნიორების (UNFPA Georgia) საუკეთესო პრაქტიკების გაზიარებითა და ინტეგრირებით და 2024 წელს დამტკიცდება.

„თეგეტაში“ ყველა თანამშრომელს აქვს უფლება ისარგებლოს საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრული დეკრეტული შვებულებით. დასაქმებულის ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან პირველი ოთხი თვე ანაზღაურებადია, რომელსაც დასაქმებული სახელმწიფოს მიერ გაცემულ დახმარებასთან ერთად იღებს.

დეკრეტული შვებულება	რაოდენობა
2023	
ქალი	25
კაცი	1
სულ	26

მრავალფეროვნების, თანასწორობისა და ინკლუზიურობის პოლიტიკა

„თეგეტაში“ მიაჩნიათ, რომ მრავალფეროვნება მნიშვნელოვანია, აღიარებს და აფასებს თანამშრომელთა განსხვავებებს, ეხმარება მათ გამოიყენონ თავიანთი ნიჭი, პოტენციალი და უნარები სრულყოფილად. ჰოლდინგში სჯერათ, რომ გამოცდილებისა და უნარების მრავალფეროვნება ხელს უწყობს ახალ იდეებსა და ინოვაციას, რაც კომპანიას კონკურენტულ უპირატესობებს ანიჭებს. ინკლუზიური სამუშაო გარემო ზრდის თანამშრომელთა ჩართულობას, რაც განაპირობებს ადამიანური კაპიტალის შენარჩუნებას. მრავალფეროვნება ზრდის „თეგეტას“ მიმზიდველობას, რაც ხელს უწყობს ახალი თანამშრომლის შერჩევის პროცესის ეფექტიანობას. მრავალფეროვნების წახალისებითა და უზრუნველყოფით კი შიდა შრომითი ურთიერთობების ხარისხი უმჯობესდება.

კომპანია იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს მრავალფეროვანი, თანასწორი და ინკლუზიური სამუშაო გარემოს შექმნა ყველა თანამშრომლისთვის. ასევე მიზნად ისახავს ისეთი კორპორატიული კულტურის ჩამოყალიბებას, რომელიც ეფუძნება „თეგეტას“ თანამშრომელთა ეროვნულ და კულტურულ მრავალფეროვნებას, მათ გენდერულ შემადგენლობას, სხვადასხვა ასაკობრივ და უმცირესობათა ჯგუფს, მათ გამოცდილებასა და უნარებს.

მრავალფეროვნების, თანასწორობისა და ინკლუზიურობის პოლიტიკის შემუშავება CSR სტრატეგიით განსაზღვრული ერთ-ერთი ვალდებულებაა, რომელზე მუშაობაც 2023 წელს დაიწყო საერთაშორისო პარტნიორების (UN Women, ADB) საუკეთესო პრაქტიკების გაზიარებითა და ინტეგრირებით და 2024 წელს დამტკიცდება.

ჯანმრთელობის ფონდი თანამშრომლებისთვის

„თეგეტა“ თანამშრომელთა დაზღვევის თანადაფინანსებას უზრუნველყოფს. ამასთან ერთად, განსაკუთრებული შემთხვევებისთვის არსებობს ფონდი, 10 000 ლარის ოდენობით. კომპანია ზრუნვის ფონდის კონცეფციაზეც მუშაობს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, თანამშრომლებისთვის გადაუდებელი დახმარების გაწევის მიზნით შეიქმნება.

პრო ბონო მოხალისეობა

კორპორაციული მოხალისეობა, იგივე პრო ბონო, საზოგადოების კეთილდღეობაზე ზრუნვის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც ერთი კომპანიის მიერ სხვა ორგანიზაციის თანამშრომლების გაძლიერებას გულისხმობს საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების უსასყიდლოდ გაზიარებით.

„თეგეტა ჰოლდინგმა“ პრო ბონო აქტივობებში ჩართულობა უკვე ორი წელია ტრადიციად აქცია. 2022 წლიდან კომპანია „საქართველოს პრო ბონო ქსელის“ წევრია და სამოქალაქო ორგანიზაციებისა და სოციალური საწარმოების მხარდასაჭერად არაერთი აქტივობა განახორციელა.

ორი წლის განმავლობაში, „თეგეტას“ 20 თანამშრომლის ჩართულობით, საზოგადოების სასარგებლოდ, ჯამში 150 საკონსულტაციო საათზე მეტი ჩატარდა.

20
თანამშრომელი

150
საკონსულტაციო სათი

პრო ბონო აქტივობა	თანამშრომლების რაოდენობა	საკონსულტაციო საათები
2022	11	67
2023	6	53
სულ	20	150

საგანმანათლებლო კუსი სოციალური საწარმოებისთვის

„თეგეტას“ თანამშრომლებმა შეიმუშავეს 2-თვიანი სასწავლო პროგრამა სოციალურ მედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯმენტში და კორპორაციული მოხალისეობით 50-მდე სოციალურ მეწარმეს ცოდნა გაუზიარეს. პროექტი „სოციალურ საწარმოთა ალიანსის“ წევრი ორგანიზაციებისთვის დაიგეგმა და მისი მიზანი მეწარმეების ცოდნისა და უნარების გაუმჯობესება იყო, შემდგომში თავიანთი საქმიანობის ეფექტურად სამართავად.

ჩვენს სოციალურ საწარმოში, ჰომელშიც შრომითი ინტეგრაციის სივრცეა განსაკუთრებული საჭიროების მქონე ადამიანებისთვის, ვქმნით ხის სათამაშოებსა და ნაკეთობებს, რაც ბავშვებს წარმოსახვისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაში ეხმარება. კურსები კარგი შესაძლებლობაა ჩვენთვის ახალი ცოდნის მისაღებად. ლექტორების მიერ გაზიარებულმა გამოცდილებამ საშუალება მოგვცა, სწორად და ეფექტურად წარმოგვეჩინა ჩვენი ორგანიზაცია. „დადარის“ გვერდი სოციალურ ქსელში უკვე განვაახლეთ და ვცდილობთ, ყოველი ახალი კომუნიკაცია სწორი არხითა და ფორმით წარვმართოთ“,- სოციალური საწარმო „დადარის“ გაყიდვების მენეჯერი, ნინო გელაშვილი.

ინდივიდუალური პრო ბონო სერვისი „ორბის ბუდესთვის“

სოციალური საწარმო „ორბის ბუდე“ სოფელ სამშვილდეში მდებარეობს. საწარმო თავს იმკვიდრებს, როგორც ადგილობრივი ტურისტული ობიექტი, რისთვისაც მნიშვნელოვანია გამართული მარკეტინგული სტრატეგია და საკომუნიკაციო არხები. „თეგეტას“ პრო ბონო კონსულტაცია მიზნად ისახავდა, „ორბის ბუდესთვის“ ონლაინ მედია მარკეტინგის სტრატეგიის შემუშავებასა და ონლაინ მედია არხების შექმნაში დახმარებას. საწარმომ განაახლა და გააუმჯობესა მომხმარებლებთან ურთიერთობის მიდგომები, რაც მის ეკონომიკურ და სოციალურ გავლენაზე გრძელვადიან პერსპექტივაში აისახება.

პრო ბონო მარათონი 2023

„თეგეტა“ რიგით მეხუთე პრო ბონო მარათონში ჩაერთო, რომლის ფარგლებშიც ცოდნა და გამოცდილება საზოგადოებრივ ორგანიზაციას „დავიცვათ საქართველოს სისუფთავის“ თანამშრომლებს გაუზიარა. ჰოლდინგის თანამშრომლის ჩართულობით შეიქმნა ორგანიზაციის საიმიჯო გრაფიკული ვიდეორგოლი, მათ საქმიანობაზე ცნობიერების გაზრდის მიზნით.

სათემო ლიდერთა ფორუმი 2023

გამორჩეულია, პრო ბონო აქტივობა სათემო ლიდერთა ფორუმისთვის. ბიზნეს კომპანიებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების მედიაციის პროცესი კონკურსის “საუკეთესო სათემო ინიციატივა“ ნომინანტების მომზადებას გულისხმობდა. სამოქალაქო აქტივისტები, აუდიტორიის წინაშე მათ მიერ განხორციელებული ინიციატივებით წარდგნენ. „თეგეტას“ წარმომადგენლები კი ერთ-ერთ მონაწილეს „ლომეკს“ პრეზენტაციის ორიგინალური ხერხით წარმოჩენაში დაეხმარნენ.

ჰოლდინგის თანამშრომელთა ექსპერტული ცოდნის გაზიარებისა და ჩართულობის დამსახურებით, „ლომეკმა“ ორივე ჯილდო მოიპოვა:

1 2021 — 2022 წლის საუკეთესო სათემო ინიციატივა;

2 „ლომეკის“ პროექტი “თრუსოს ხეობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შენარჩუნება” სათემო ორგანიზაციებისა და აუდიტორიის რჩეულიც გახდა.

გამარჯვებით „ლომეკმა“ საქმიანობის გასაფართოებლად მიიღო ფულადი დახმარება. თრუსოს ხეობაში, საქმიანობისთვის ხშირად უწევთ მათ მანქანით გადაადგილება. თეგეტამ მათ ასევე ავტომობილის ტექნიკური შემოწმების მხარდაჭერის შესაძლებლობა მისცა.

გამარჯვება და დაფასება

საზოგადოების საკეთილდღეოდ „თეგეტას“ პრო ბონო მხარდაჭერამ 2023 წელს აღიარება და დაფასება მოუტანა კომპანიას. 2023 წლის ნოემბერში, თანამშრომლების დამსახურებით, **კომპანიამ გაიმარჯვა გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის მიერ ორგანიზებულ კონკურსში „კორპორაციული მდგრადობის ჯილდო 2023“, პროექტით „თეგეტა სოციალური საწარმოებისთვის“, რომელიც პრო ბონო მოხალისეობის აქტივობებს აერთიანებდა.**

პრო ბონო მოხალისეობით სოციალური საწარმოების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ „თეგეტას“ თანამშრომელთა ლოიალობა გაიზარდა. ამასთან, საკუთარი ცოდნისა და ექსპერტიზის გაზიარებით, აუმაღლდათ მოტივაცია და სურვილი, მეტად ჩაერთონ მსგავს აქტიობებში. საბოლოოდ, გაჩნდა საჭიროება, შეიქმნას პრო ბონო მოხალისეთა კლუბი, რომელიც მოტივირებულ თანამშრომლებს გააერთიანებს. პროექტი 2024 წელს განხორციელდება.

მამაკაცური საუბრები



გენდერულად თანასწორი სამუშაო გარემოს შექმნა ის მნიშვნელოვანი ღირებულებაა, რომელიც “თეგეტას” კორპორაციული კულტურის განუყოფელი ნაწილია. იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიაში 70%-ს მამაკაცები შეადგენენ, ჰოლდინგისათვის მნიშვნელოვანია, თანამშრომლებში თანასწორი სამუშაო გარემოს შექმნა. გენდერული თანასწორობის მიღწევაში, ქალების გაძლიერების გარდა, კაცების აქტიურ ჩართულობაა აუცილებელი.

სწორედ ამიტომ „თეგეტა ჰოლდინგმა“ ორგანიზაციასთან „ვიზრუნოთ ერთად“ და გაეროს მოსახლეობის ფონდთან (UNFPA Georgia) აქტიური თანამშრომლობა დაიწყო. შედეგად, კომპანიაში დაინერგა მაიკლ კაუფმანის მიერ შემუშავებული საერთაშორისო ტრენინგ-მოდული „მამაკაცური საუბრები“, რომელიც გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას ისახავს მიზნად.

სემინარის დროს კაცები პროფესიონალ ფასილიტატორებთან ერთად ისეთ საკითხებს განიხილავენ, როგორიც არის მამის როლი ბავშვის აღზრდაში, საოჯახო საქმეების გადანაწილება, სტერეოტიპები და მათი დაძლევა, ძალადობა, ტოქსიკური მასკულინობა, თანასწორი სამუშაო გარემო. ეს არის სივრცე, რომელიც ადამიანებს შესაძლებლობას აძლევს, დაფიქრდნენ თავიანთ ღირებულებებსა და მოსაზრებებზე. მამაკაცები, რომლებიც მაღალ მგრძნობელობას ავლენენ დისკრიმინაციული ნორმების მიმართ, ხდებიან უკეთესი ლიდერები, თანამშრომლები და მზრუნველები ოჯახის წევრებისა და გარშემომყოფების მიმართ.

მოდულში ჩართვა ნებაყოფლობითია და მას ჰოლდინგში მომუშავე სხვადასხვა პოზიციის თანამშრომლები ესწრებიან.

„თეგეტა“ პირველი კომპანიაა კერძო სექტორიდან, სადაც „მამაკაცური საუბრები“ ორი წელია აქტიურად მიმდინარეობს. მონაწილეების მიერ გაზიარებული უკუკავშირების შედეგად, გამოვლინდა, რომ **დამსწრე კაცების 97% დადებითად აფასებს პროექტის შედეგებს.** უკუკავშირის შედეგად, მათ გადააფასეს ღირებულებები და სრულიად განსხვავებულად აღიქვეს მათი როლები ბავშვის აღზრდის, პარტნიორებთან თუ თანამშრომლებთან ურთიერთობის დროს.

შეხვედრების სერია 2022 წლის ივნისში დაიწყო და დღემდე გრძელდება. ჯამში, ექვს შეხვედრაში, 120-ზე მეტი თანამშრომელი ჩაერთო. 2023 წლიდან ტრენინგები რეგიონების მასშტაბით გაფართოვდა.

მამების დღე

კაცების როლის მხარდაჭერა და მათი ჩართულობა ბავშვების აღზრდაში, გენდერულად თანასწორი გარემოს მისაღწევად მნიშვნელოვანი ნაწილია. „თეგეტა“ აქტიურადაა ჩართული მამის დღის აღნიშვნასა და პოპულარიზაციაში, რომლის მიზანიც კაცების როლის მხარდაჭერა, ოჯახურ საქმეებში როლების გადანაწილების შესახებ ცნობიერების ამაღლება, პოზიტიური მშობლობისა და გენდერული თანასწორობის საკითხების მხარდაჭერაა.

მამის დღე გაეროს მოსახლეობის ფონდის ინიციატივით, კამპანიის “კაცები ზრუნავენ” ფარგლებში აღინიშნება, რომელსაც 2022-2023 წლებში ჰოლდინგი სხვადასხვა ფორმატით შეუერთდა. მათ შორისაა, შემეცნებით-გასართობი თამაში **„მამაენა“** „თეგეტას“ მამებისა და შვილების მონაწილეობით. მეორე მხრივ, კომპანიამ თანამშრომელებსა და საზოგადოებას გააცნო ის თეგეტელი მამები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ შვილების აღზრდის პროცესში და საკუთარი ყოველდღიურობით მამობასთან დაკავშირებული სტერეოტიპების დარღვევას ცდილობენ. დეკრეტში მყოფი ერთ-ერთი პირველი „თეგეტელი“ მამის ისტორიის გაზიარებით კომპანიამ თანამშრომელი მამაკაცები კიდევ ერთხელ წაახალისა.

შეხვედრა მშობლებთან

„თეგეტამ“ 2023 წელს Unicef-ისა და BISC Partners-ის ერთობლივი პროექტს imshoble.ge უმასპინძლა. შეხვედრის **„როგორ ვიმშობლოთ უკეთ, ვიდრე გუშინ?“** ფარგლებში თანამშრომლებმა პოზიტიური მშობლობის პრინციპებსა და მიდგომებზე მიიღეს ინფორმაცია. საჩუქრებად კი წიგნი ‘‘მშობლების დედაენა” დაურიგდათ. შეხვედრას 100-მდე თანამშრომელი ესწრებოდა.

პროფესიას არ აქვს გენდერი

ქალთა გაძლიერება „თეგეტასთვის“ პრიორიტეტული მიმართულებაა. კომპანია ახალი ინიციატივებით ამსხვრევს სტერეოტიპებს, რომ საავტომობილო სფერო მხოლოდ მასკულინური არ არის. ამ მიზნით, „თეგეტას“ შვილობილი კომპანია, Tegeta Truck & Bus ქალთა გაძლიერების მხარდამჭერ კამპანიაში – **„პროფესიას არ აქვს გენდერი“** ჩაერთო. ჰოლდინგის ფარგლებში, პირველად საქართველოში, „თეგეტა აკადემიაში“ მექანიკოსის პროფესიით დაინტერესებული ხუთი ქალი გადამზადდა. თავდაპირველად მათ თეორიული სწავლება „თეგეტა აკადემიაში“ გაიარეს, შემდეგ პრაქტიკული ცოდნა სატვირთო მანქანების სერვისცენტრში მიიღებს და საბოლოოდ, Tegeta Truck & Bus -ში დასაქმდნენ. „თეგეტა“ ქალთა გაძლიერების მდგრად პრაქტიკას 2023 წელსაც განაგრძობს.

ქალთა პროფესიული განვითარების მიზნით, პროექტის მეორე ეტაპზე დაიწყო მუშაობა. პროექტი სახელწოდებით **„თეგეტა ქალებისთვის“** ქალი მოსწავლე-მექანიკოსების მოსამზადებელ პროგრამას მოიცავს, რომლის მიზანიც მსუბუქი ავტომობილების სერვისში ქალების მომზადებასა და დასაქმებას ითვალისწინებს. სწავლა სრულად დაფინანსებულია, ანაზღაურებადი სტაჟირებითა და დასაქმების პერსპექტივით. 2024 წელს ჯამში ათი ქალი გაივლის მოსამზადებელ პროგრამას, ხუთი კი დასაქმდება.

გაიღე სისხლი - გახდი დონორი

ჰოლდინგის თანამშრომლები წელიწადში რამდენჯერმე გასცემენ სისხლს ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემების მქონე ადამიანებისთვის. ქირურგიის ეროვნული ცენტრის სისხლის ბანკთან თანამშრომლობით, **2023 წელს, ზრუნვის იდეით, 100-მდე თანამშრომელი გაერთიანდა და სისხლის დონორი გახდა.**

სპორტულ - შემეცნებითი ღონისძიებები

„თეგეტაში“ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სპორტს. ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის მიზნით, თანამშრომლებისთვის არაერთი აქტივობაც იგეგმება, მათ შორისაა კალათბურთი და ფეხბურთი.

„თეგეტას თასი 2023“

2023 წლის ზაფხულში მინი ფეხბურთის რიგით მეშვიდე ჩემპიონატი **„თეგეტას თასი 2023”** გაიმართა. ეს პროექტი კომპანიაში განსაკუთრებით პოპულარულია. ტურნირის მთავარი მიზანი დადებითი ემოციების გაზიარებაა. **2023 წლის ტურნირში ჰოლდინგის ფილიალების, დეპარტამენტებისა და შვილობილი კომპანიების 400-მდე თანამშრომლით დაკომპლექტებული 36 გუნდი მონაწილეობდა.**

„QUIZZ თეგეტა“

„თეგეტამ“ ფილიალების თანამშრომლების მოტივაციისა და ჩართულობის ასამაღლებლად პროექტი „Quiz თეგეტა“ განახორციელა. მასშტაბური ონლაინ თამაში ცოდნის სახალისო გზით შემოწმების შესაძლებლობას იძლევა.
პროექტს ჯამში, 600-მდე უნიკალური მონაწილე შეუერთდა. დასაჩუქრდა 15 ადამიანი, სამი მთავარი გამარჯვებული კი უცხოეთში პარტნიორი ბრენდების გამოფენებზე გაემგზავრა.

Wings for Life

2023 წელს „თეგეტა“ მერვედ შეუერთდა საერთაშორისო საქველმოქმედო მარათონში Wings for Life World Run, რომლის მიზანი ზურგის ტვინის დაზიანების სამკურნალოდ ფინანსების მობილიზება და მძიმე დაავადების მქონე ადამიანების მხარდაჭერაა. **საქველმოქმედო პროექტში, 200-მდე თეგეტელი ჩაერთო.**

4.გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა

4.1. პოლიტიკა და მენეჯმენტი

4.2. გარემოსდაცვითი რისკების მართვა

4.3. გარემოსდაცვითი პრიორიტეტები

4.4. რესურსების მოხმარება

4.5. ნარჩენების მართვა

4.6 ტრანსპორტირებით გარემოზე ზემოქმედების შემცირება

4.6.1. ელექტროტანსპორტის პოპულარიზაცია

4.6.2. ავტოპარკი

4.გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა

„თეგეტა“ აცნობიერებს, რომ ოპერირების დროს შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს გარემოზე, ბუნებრივი რესურსების გამოყენების, ენერგიის მოხმარების, ნარჩენების წარმოქმნის, ჰაერის, ნიადაგისა და წყლის დაბინძურების გზით. შესაბამისად, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა ჰოლდინგის CSR სტრატეგიით განსაზღვრული პრიორიტეტია.

კომპანია კომპლექსურად უდგება გარემოზე ზრუნვას. ამ მიმართულებით არაერთი ინიციტივა და პროექტი ხორციელდება, რომლებიც ბუნებრივი რესურსების მართვისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით იგეგმება. ამასთანავე „თეგეტა“, აქტიურად მუშაობს მდგრად სატრანსპორტო გადაწყვეტაზე ნულოვანი ემისიების მისაღწევად, ნარჩენების ეფექტურად მართვისა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიმართულებით.

ჰოლდინგის პორტფელში 30-ზე მეტი შვილობილი კომპანიაა, რომლებიც საერთო კონცეფციით იმართება და მოიცავს როგორც თანამედროვე, ნოვატორულ მიდგომებსა და შეთავაზებებს, ისე ექსკლუზიურ და თამამ გადაწყვეტებს ჰოლდინგის განვითარების

პროცესში. მათ შორის არის ეკომეგობრული ინიციატივები, რომლებსაც „თეგეტას“ თითოეული ბიზნესმიმართულება მისი საქმიანობის შესაბამისად გეგმავს და ახორციელებს.

გარემოზე ზრუნვის მიზნით, უკვე წლებია „თეგეტაში“ ქაღალდის მოხმარება შემცირდა, რაშიც კომპანიას ციფრული პროდუქტები ეხმარება. საჭირო დოკუმენტაცია მომხმარებელს ელექტრონულად ეგზავნება. რაც შეეხება ჰოლდინგის საქმიანობას, შიდა მიმოწერები სრულად ხორციელდება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის „Docflow”-ს მეშვეობით. შედეგად ყოველწლიურად ტონაზე მეტი ქაღალდი იზოგება.

„თეგეტა“ შიდა გადაადგილებისა და გადაზიდვისთვის ელექტრო სატვირთო ავტომობილებს იყენებს. სამუშაოების შესრულებისას, სერვისცენტრებში, კომპანია მუდმივად ეკოინოვაციების დანერგვას ცდილობს და თანამედროვე ტენდენციებს ერგება.

ჰოლდინგის გარემოსდაცვითი საქმიანობა შესაბამისობაშია ეროვნულ კანონმდებლობასთან. ითვალისწინებს საერთაშორისო სტანდარტების, ინვესტორების, ფინანსური ინსტიტუტების, საზოგადოების, დასაქმებულებისა და სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ინტერესებსა და მოთხოვნებს.

4.1 პოლიტიკა & მენეჯმენტი

გარემოზე ზემოქმედების შემცირების, მოსალოდნელი რისკების მართვისა და ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენის მიზნით, „თეგეტა ჰოლდინგს“ შემუშავებული აქვს გარემოსდაცვითი პოლიტიკა, რომელიც შეიქმნა ISO 14001:2015-ის სტანდარტისა და ადგილობრივი საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად. კომპანიამ ISO 14001:2015 სტანდარტის მიხედვით გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემა 2018 წელს დანერგა. მას შემდეგ ჰოლდინგი გარე საკონტროლო აუდიტებს სერტიფიკატის შენარჩუნებისა და განახლების მიზნით ყოველწლიურად წარმატებით გადის. გარემოსდაცვითი პოლიტიკა შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის დეპარტამენტმა, კომპანიის უმაღლესი რგოლის ჩართულობით შეიმუშავა.

„თეგეტას“ გარემოსდაცვითი მისიაა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედების რისკის თავიდან ასაცილებლად და/ან შესამცირებლად სათანადო ზომების მიღება, ბიზნესპროცესების დაგეგმვა და განხორციელება ისეთი ტექნოლოგიების შერჩევით, რომლებიც ნარჩენების შემცირებას უზრუნველყოფს. კომპანია ასევე უპირატესობას ანიჭებს ხელმეორედ გამოყენებად ან გადამუშავებად, ბიოლოგიურად დეგრადირებად ან გარემოსათვის უვნებლად დაშლად ნივთიერებებს, მასალებსა და ქიმიურ ნაერთებს.

პოლიტიკის შესაბამისად **„თეგეტას“ მიზნებია:**

- გარემოსდაცვითი საფრთხეების აღმოფხვრა ან/და შემცირება;
- გარემოსდაცვითი რისკების შეფასება და კონტროლი;
- დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება;
- შიდა მოხმარების ბუნებრივი რესურსების დაზოგვა/შემცირება;

- ეკოლოგიური ასპექტების კონტროლი და მონიტორინგი;
- ტექნიკური ინფრასტრუქტურისა და შიდა პროცესების განახლება;
- არსებული შედეგების შეფასება და მუდმივ გაუმჯობასებაზე ზრუნვა.

გარემოსდაცვითი პოლიტიკის სრულყოფილად განსახორციელებლად შემუშავდა სხვადასხვა შინაარსის სტანდარტული სამუშაო და მეთოდური ინსტრუქციები, რომლებიც შემდეგ მიმართულებებს მოიცავს:

- ტექნიკური ინფრასტრუქტურისა და შიდა პროცესების მუდმივი გაუმჯობესება;
- პერსონალის ცნობიერების ამაღლება გარემოსდაცვითი მართვის, რისკების მართვის, დაგეგმვის და ანალიზის სფეროში;
- ეკოლოგიური რისკების იდენტიფიცირება, პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;
- მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად გარემოს დაცვის კონტროლის და მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება;
- გარემოსდაცვითი მართვის სისტემის გაუმჯობესება.

პოლიტიკის დოკუმენტი ხელმისაწვდომია დასაქმებულთათვის და დაინტერესებული მხარეებისთვის. არსებობს როგორც ელექტრონული, ასევე ბეჭდვითი ვერსია, რომელიც თვალსაჩინო ადგილას არის განთავსებული.

ასევე აღსანიშნავია, რომ კომპანიაში დამტკიცებულია გარემოს დაცვის სახელმძღვანელო, რომელიც განსაზღვრავს, როგორც საკანონმდებლო და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს, ისე მმართველი რგოლის პასუხისმგებლობას, კომპანიის კონტექსტს, შიდა პროცედურულ საკითხებსა და მუდმივ გაუმჯობესებაზე ზრუნვას.

თანამშრომელთა ჩართულობა პოლიტიკის დანერგვაში

ჰოლდინგს „თეგეტა აკადემიასთან“ ერთად შემუშავებული აქვს სასწავლო პროგრამა, რომელშიც კონკრეტული სამუშაო პოზიციებისთვის განსაზღვრულია თემატიკა უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით საკითხებზე. სწავლების გამარტივების მიზნით შექმნილია სასწავლო ვიდეორგოლები. პარალელურად, დასაქმებულებთან აქტიურად მიმდინარეობს უშუალო, ვერბალური კომუნიკაცია (არანაკლებ წელიწადში ერთხელ), რა დროსაც ხორციელდება ინფორმაციის გაცვლა, უკუკავშირის მიღება და დასაქმებულთა ინტერესების გათვალისწინება კომპანიის მიზნებთან თავსებადობისთვის.

შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის თემებზე 2023 წელს ინსტრუქტაჟი 1500-ზე მეტმა თანამშრომელმა გაიარა.

მენეჯმენტის მიდგომა

„თეგეტა ჰოლდინგში“ გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები სხვადასხვა დონეზე მიიღება. კერძოდ, როგორც შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის დეპარტამენტის, ისე უსაფრთხოების დეპარტამენტის, ადმინისტრაციისა და ოფიცრების / დირექტორების მიერ.

კომპანიის მენეჯმენტი გარემოსდაცვით საკითხებს კანონთან და მარეგულირებელ ნორმებთან სრულ შესაბამისობაში მართავს. ამასთან უზრუნველყოფს საჭირო რესურსების ხელმისაწვდომობას, თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებას, „თეგეტას“ გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ ეფექტურ კომუნიკაციას, გარემოსდაცვითი პრაქტიკების მუდმივ გაუმჯობესებასა და ინოვაციური გადაწყვეტების ინიცირებას.

4.2 გარემოსდაცვითი რისკების მართვა

“თეგეტა ჰოლდინგს” შემუშავებული აქვს ეკოლოგიური ასპექტების რისკების შეფასების მეთოდური ინსტრუქცია, რომელშიც განისაზღვრება გაზომვადი, მიღწევადი და რეალური მიზნები. რისკების მართვის პროცესში ჩართულია სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული სამუშაო სპეციფიკის გათვალისწინებით.

გარემოსდაცვითი რისკები იმართება მოსალოდნელი საფრთხეების იდენტიფიცირებისა და გარემოზე გავლენის შეფასების საფუძველზე. გარემოზე შედეგების სიმძიმის შესაბამისად იგეგმება და ხორციელდება პრევენციული ხასიათის შემარბილებელი ღონისძიებები.

აღსანიშნავია, რომ 2022 - 2023 წლებში არ ყოფილა რაიმე სახის გადაცდომა ან ზიანი გარემოზე.

ISO სერტიფიცირება

„თეგეტასთვის“, როგორც შედეგების მუდმივ გაუმჯობესებაზე ორიენტირებული კომპანიისთვის, მნიშვნელოვანია საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად საქმიანობა. ჰოლდინგი აცნობიერებს, რომ ISO სერტიფიცირება ზრდის კომპანიის რეპუტაციას, ხელს უწყობს დაინტერესებული მხარეების ნდობას და ხშირად წარმოადგენს გადამწყვეტ საკითხს გლობალურ ვაჭრობასა და მიწოდების ჯაჭვში ჩართვისთვის. ამ მიზნით, კომპანიაში ISO-ს სხვადასხვა სტანდარტია დანერგილი.

„თეგეტა მოტორსს“ 2018 წლიდან აქვს დანერგილი გარემოს დაცვის (ISO 14001:2015) სტანდარტი, რომელსაც დღემდე წარმატებით ინარჩუნებს. ასევე მოქმედებს შრომის უსაფრთხოებისა (OHSAS 18001:2007/ISO 45001:2018) და ხარისხის მენეჯმენტის სისტემების (9001:2015) სტანდარტები ამასთან, თეგეტას შვილობილი კომპანია Tegeta Truck & Bus -ი სერტიფიცირებულია გარემოს დაცვის (ISO 14001:2018) და ხარისხის მენეჯმენტის სისტემების (9001:2015) სტანდარტებით. ISO სერტიფიცირების მიზანი იყო, დახმარებოდა ჰოლდინგს მმართველობითი, გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების პროცესების მართვის დანერგვასა და შედეგების გაუმჯობესებაში.

„თეგეტა მოტორსში“ სერტიფიცირება ოთხ წელიწადში ერთხელ ხდება. სერტიფიკატის შენარჩუნებისთვის ყოველწლიურად გარე აუდიტი ტარდება. კომპანია მინიჭებულ სერტიფიკატებს მუდმივად წარმატებით ინარჩუნებს.

„თეგეტა მოტორსმა“ გარემოს დაცვის სტანდარტის (14001:2015) რესერტიფიცირების გარე აუდიტი წარმატებით გაირა 2023 წელს და 2024 წლისთვის განახლებულ სერტიფიკატს ელოდება. ISO 14001:2015 ადასტურებს ორგანიზაციის ერთგულებას მდგრადი მომავლისადმი, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შერწყმას ბიზნესის სტრატეგიულ ზრდასთან. ის უზრუნველყოფს კომპანიაში გარემოსდავითი მართვის სისტემის შემუშავებას, აღნიშნული სისტემის ჩარჩოს შემუშავებასა და მის მუდმივად გაუმჯობესებას. ამ სტანდარტის დაცვით, კომპანია აცხადებს, რომ იღებს პროაქტიულ ზომებს გარემოზე მავნე ზემოქმედების შესამცირებლად, შესაბამისი სამართლებრივი მოთხოვნების დაცვით და გარემოსდაცვითი მიზნების მისაღწევად.

4.3 გარემოსდაცვითი პრიორიტეტები

„თეგეტა ჰოლდინგის“ გარემოსდაცვითი სტრატეგია სამ მიმართულებას ეფუძნება:

1. გარემოს დაბინძურების პრევენცია და შემცირება;
2. რესურსების მდგრადი გამოყენება;
3. გლობალურ დათბობაზე ზემოქმედების შემცირება / კლიმატის ცვლილებების ზემოქმედების შემცირება.

ეს მიმართულებები აერთიანებს „თეგეტას“ რესურსების მოხმარების, ნარჩენების მართვისა და ტრანსპორტირებით გარემოზე ზემოქმედების შემცირებისკენ გადადგმულ ნაბიჯებს.



4.4 რესურსების მოხმარება

„თეგეტა“ აცნობიერებს, რომ საქმიანობის მასშტაბების გათვალისწინებით მოიხმარს ისეთ ბუნებრივ რესურსებსა და მასალებს, როგორიცაა ენერგია, წყალი, ბუნებრივი აირი, ქაღალდი, საწვავი.

ენერგოეფექტური მშენებლობა

„თეგეტა“ მცირე, საშუალო თუ დიდ სამშენებლო პროექტებს თანამედროვე სტანდარტით ახორციელებს, რა დროსაც ხარისხის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი ენერგოეფექტურობაა. თითოეული მიმდინარე და ახლად ინიცირებული სამშენებლო პროექტი მორგებულია ყველაზე თანამედროვე, ნოვატორულ სამშენებლო ხედვებსა და სტანდარტებს. მაგალითად, უმაღლესი ხარისხის თბოიზოლაცია, რომელიც ენერგოეფექტურობას უზრუნველყოფს, მზის ელექტროსადგურების მონტაჟი, ეკოლოგიური სამშენებლო მასალები და სხვ.

„თეგეტას“ სამშენებლო მოდელი და გეგმა, თუ რა სტანდარტებით უნდა აშენდეს ენერგოეფექტური შენობები, შესაბამისობაშია საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის (IFC-ს) მიერ შემუშავებულ EDGE-ის კრიტერიუმებთან, რომელიც მწვანე შენობების, ენერგო და რესურსეფექტურობის ინოვაციური შეფასების ინტრუმენტია. EDGE წარმოადგენს მსოფლიო ბანკის ჯგუფში შემავალი ინსტიტუტის მიერ შემუშავებულ სასერტიფიკატო სტანდარტს და იშიფრება როგორც სრულყოფილება დიზაინში უკეთესი ეფექტიანობისათვის (Excellence in Design for Greater Efficiencies). EDGE-ს მიზანია შენობების მიერ გარემოზე ნეგატიური ზეგავლენების შერბილება შემდეგი სამი მიმართულებით: ელექტროენერგიის მოხმარება, წყლის გამოყენება და სამშენებლო მასალების ენერგოეფექტურობა.

ენერგოეფექტური შენობების რაოდენობა თეგეტას ფილიალებში



ელექტროენერგიის მოხმარება

მზის პანელები და განახლებადი ენერგია „თეგეტაში“

განახლებადი ენერგია ძალიან პოპულარული და სწრაფად მზარდია მთელ მსოფლიოში. საქართველოსა და ევროპაში ბევრი წარმატებული კომპანიაა, რომლებსაც ინდუსტრიასა თუ წარმოებაში ელექტროენერგია სჭირდება და რომლებიც, თანამედროვე ტენდენციებიდან გამომდინარე, მზის ელექტროსადგურების მშენებლობაზე აქტიურად გადადიან.

ენერგოეფექტურობაზე ზრუნვა „თეგეტა ჰოლდინგისთვისაც” ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ავტოინდუსტრიის ლიდერი კომპანია განახლებად ენერგიას აქტიურად მოიხმარს. გადაწყვეტილებას რამდენიმე ძირითადი ფაქტორი განსაზღვრავს: შეამციროს ნეგატიური ზეგავლენა გარემოზე - მზის ელექტროსადგური არ გამოყოფს მხუთავ აირებს, არ აზიანებს ატმოსფეროს, არ აქვს რადიაცია და სრულიად უსაფრთხოა.

„თეგეტას” ყველაზე მსხვილი პირველი პროექტი, რომელიც ენერგორესურსების დაზოგვისა და გარდაქმნისთვის დაიწყო, „თეგეტა მოტორსისა“ და „Volvo”-ს ახალ მულტიფუნქციურ კომპლექსში მზის პანელების მონტაჟი იყო.

ორივე პროექტში ელექტროსადგურები 500-კილოვატიანია, რაც ერთ მისამართზე განსათავსებელი ობიექტის მაქსიმალური სიმძლავრეა და მას კომპანია სრულად ითვისებს. შედეგად, კომპანიას ელექტროენერგიის დაახლოებით 40%-იანი ეკონომია შეუძლია.

აღსანიშნავია ისიც, რომ „თეგეტას“ ცენტრალური ფილიალის საპარკინგე ზონაში ასევე, დამონტაჟებულია 12 ცალი სანათი მზის პანელი, რომელიც ელექტრო ენერგიას 100%-ით ზოგავს.

„თეგეტა მოტორსისა“ და Volvo-ს ახალ მულტიფუნქციურ ცენტრში, რომელიც 2023 წლის დეკემბერში გაიხსნა, ჯამში დამონტაჟებულია 762 ერთეული მზის პანელი, აქედან 627

სახურავზეა განთავსებული, 135 კი ავტოსადგომის კონსტრუქციაზე (65 - „თეგეტას“ , 70-Volvo-ს საპარკინგე სივრცე). ასევე ტერიტორიაზე დამონტაჟებულია გარე სანათები მზის პანელით. სადგური გამოიმუშავებს წელიწადში 465,500 კილოვატს, რაც ჯამური ელექტროენერგიის მოხმარების 75%-ს შეადგენს. გარე სანათები კი მზის პანელით ელექტროენერგიას 100%-ით ზოგავს. პროექტი USAID-ის საქართველოს ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა.

2023 წელს ბიზნესსაქმიანობის შედეგად კომპანიამ (გაგრილება, გათბობა, დანადგარები, შენობები) 465,500 კილოვატი ელექტროენერგია მოიხმარა.

ბუნებრივი აირი

ბუნებრივ აირს „თეგეტა“ ძირითადად შენობების გასათბობად იყენებს. 2023 წელს ბუნებრივი აირის მოხმარებამ 366916.9 მ3 შეადგინა.

საწვავი

„თეგეტაში“ საწვავი ძირითადად იხარჯება ავტომობილებისთვის, დამატებით გენერატორებისთვის, დამტვირთველებისთვის და ბიზნესსაქმიანობისთვის სხვა საჭირო მიმართულებებში.

საწვავის (ავტომობილების, ბიზნესმივლინებების) მოხმარება ჰოლდინგის მასშტაბით ყველაზე მოცულობითი შესყიდვების მქონე რვა კომპანიის მიხედვით:



■ საწვავის მოხმარება 2022 წელს
■ საწვავის მოხმარება 2023 წელს

წყლის მოხმარება

„თეგეტა“ თავისი საქმიანობის მასშტაბით, ფილიალების რაოდენობითა და სერვისის კუთხით წყალს აქტიურად მოიხმარს. თუმცა წყლის მენეჯმენტი და მდგრადი მოხმარება 2030 წლისთვის კომპანიის CSR სტრატეგიით პრიორიტეტულ მიზნად განისაზღვრა. ეტაპობრივად ეს მოიცავს „თეგეტას“ ფილიალებში დაზოგვის სისტემების დანერგვას, წყლის მოხმარების აღრიცხვასა და გადასახადის მონიტორინგს, ავტომობილების სამრეცხაო უბანზე დახურული წყლის მიმოქცევის სისტემის მოწყობას და სხვ.

ამ კუთხით მნიშვნელოვანია „თეგეტას“ მიერ გადადგმული ნაბიჯი 2023 წლისთვის. „თეგეტა მოტორსის“ და Volvo-ს განახლებულ მულტიფუნქციურ სივრცეში, ობიექტზე გერმანული წარმოების, ავტომობილის სარეცხი ორი ინოვაციური პორტალია დამონტაჟებული. რეცხვა შესაძლებელია წყლის ჭავლით, ლაზერულად ან თანამედროვე ჯაგრისებით აღჭურვილი რობოტი დანადგარით. **ამავე სივრცეში მოწყობილი არტეზიული ჭაბურღილი, ულტრათანამედროვე წყლის გაფილტვრის სისტემის მეშვეობით, წლიურად მოსახმარი წყლის რესურსის 60%-ს დაზოგავს.**

მნიშვნელოვანია, რომ სამრეცხაოს მიერ მოხმარებული წყალი იფილტრება და სანიაღვრეში ეკოლოგიურად სუფთა და მავნე მინერალებისგან დაცლილი ჩაედინება.

2022-დან 2023 წლის პერიოდში წყლის მოხმარება შემცირდა 2,3%-ით.

წყლის მოხმარება:

2022 წელი

37 560 კუბური მეტრი

2023 წელი

36 699 კუბური მეტრი

4.5 ნარჩენების მართვა

„თეგეტა“ საქმიანობისას სხვადასხვა ტიპის ნარჩენს წარმოქმნის. გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ფარგლებში, კომპანია ხელს უწყობს ნარჩენების ეფექტურად მართვასა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების მინიმიზაციას. ნარჩენების მართვის ეფექტური გეგმა ითვალისწინებს მათ სეპარირებულ შეგროვებას, ტრანსპორტირებას, გადამუშავებას/რეციკლირებას, პროდუქტის უტილიზაციას და მისი სასიცოცხლო ციკლის ბოლომდე მიყვანას.

ნარჩენების სეპარირება და გატანა შესაბამისი ნებართვების მქონე კომპანიების მიერ ხორციელდება. ესენია:

- ააიპ „თეგეტა გრინ პლანეტი“
- შპს “ბლექსი ვეისტ მენეჯმენტ”

„თეგეტა გრინ პლანეტი“

აკუმულატორები, ზეთები და საბურავები პირველადი გამოყენების შემდეგ მთლიანად სპეციფიკურ/სახიფათო ნარჩენებად გადაიქცევა. ამ საფრთხის მინიმუმამდე შესამცირებლად, 2022 წელს დაფუძნდა ააიპ „თეგეტა გრინ პლანეტი“, რომელიც მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ) შესრულებაზეა პასუხისმგებელი. ეს გულისხმობს მწარმოებლის/იმპორტიორის ვალდებულებას საკუთარ პროდუქტზე, ამ პროდუქტის მოხმარების შემდეგ ეტაპზეც - პროდუქტის სრული სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში.

2022 წელს ორგანიზაციამ მიიღო ავტორიზაცია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან, ნარჩენი ზეთების, აკუმულატორებისა და საბურავების გადასამუშავებლად. ორგანიზაცია უზრუნველყოფს ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით, ნარჩენების შეგროვებას შესაბამისად მოწყობილ პუნქტებში, ტრანსპორტირებას ნებართვების მქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებებით და გადაცემას, აღდგენა-გადამუშავების მიზნით, შესაბამისი ნებართვების მქონე კომპანიებზე.

საქართველოს მასშტაბით „თეგეტა გრინ პლანეტის“ 45-ამდე შეგროვების პუნქტი ფუნქციონირებს, მათ შორის თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ყაზბეგში, თელავში, გორსა და ფოთში.

ორგანიზაცია სრულად ითვალისწინებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და დამატებით მისი მიზანია სპეციფიკური ნარჩენების გადაყრა/გადაღვრის შემცირება, საქართველოში ცირკულარული ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა, მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლება, გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა.

„თეგეტა გრინ პლანეტი“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ნარჩენების კოდექსის და კანონმდებლობის შესაბამისად ყოველწლიურ ანგარიშს წარადგენს.

2023 წელს კომპანიამ გარემოდან ამოიღო და გადასამუშავებლად პარტნიორებს ჩააბარა:

ნარჩენის სახეობა:	რაოდენობა:
მეორადი საბურავი	2,885,582 კგ
მეორადი აკუმულატორი	1,158,330 კგ
მეორადი ზეთი	779,687 კგ

ამავდროულად ორგანიზაცია, საკუთარი საქმიანობის ფარგლებში, „თეგეტა ჰოლდინგთან“ ერთად გარემოსდაცვით საკითხებზე არაერთი ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების ინიციატორია, მათ შორის არის საინფორმაციო კამპანიები, შეხვედრები, გარემოსდაცვითი კონკურსები ახალგაზრდებისთვის, დასუფთავების აქციები და სხვ. 2023 წელს, ჯამში 10-მდე აქტივობა თუ პროექტი განახორციელა, რომელთა შესახებ ვრცლად საზოგადოების მხარდაჭერის თავში იხილავთ.

თბილისის შემოვლითი გზის გაწმენდა

„თეგეტა გრინ პლანეტი“ საზოგადოებამ 2023 წელს, მასშტაბური კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის აქტივობით გაიცნო, როდესაც თბილისის შემოვლით გზაზე, გლდანთან ახლოს, მინდორში გადაყრილი ათასობით საბურავისგან გარემო გაწმინდა.

შეგროვებაც და ტრანსპორტირებაც სრულად “თეგეტას” რესურსით სამ დღეში განხორციელდა.

საავტომობილო ნარჩენი ორგანიზაციამ პარტნიორ ლიცენზირებულ ქარხნებში ჩააბარა, სადაც საბურავების გადამუშავება ნარჩენების მართვის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად მოხდა.

გადამამუშავებელმა საწარმოებმა ნარჩენისაგან რეზინის გრანულები მიიღეს, რომელიც სტადიონების ან სკვერების კეთილმოსაწყობად გამოიყენება. ასევე, საბურავების გადამუშავებისას მიიღება მეტალი, რომელსაც რუსთავის მეტალურგიული ქარხანა იბარებს და მისგან ქართულ არმატურას აწარმოებს. მზადდება რეზინის პუდრიც, რომელიც ევროპაში გზის საფარისთვის, ხოლო საქართველოში რეზინის სხვადასხვა პროდუქტის საწარმოებლად გამოიყენება.



სამომავლო გეგმები

ორგანიზაციას გაწერილი აქვს სამომავლო გეგმები და ინიციატივები, რომელთა შესრულება მომდევნო რამდენიმე წელზეა გათვლილი.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში არსებული გადამამუშავებელი ქარხნების სიმძლავრე და ხარისხი არ შეესაბამება ევროპაში (და ,,თეგეტაში'') არსებულ სტანდარტებსა და რეალობას, „თეგეტა გრინ პლანეტი“, 2025-2027 წლისათვის, თანამედროვე ტექნოლოგიებითა და მიდგომებით, გადამამუშავებელი ინდუსტრიის მეტად განვითარებას გეგმავს.

ამასთანავე, ორგანიზაცია საქართველოში არსებული გადამამუშავებელი ქარხნების წარმადობის სიმცირის შემთხვევაში, შეგროვებული ნარჩენების ექსპორტზე გატანას აპირებს.

„გრინ პლანეტი“ ასევე გეგმავს ნარჩენების სექტორის ინფრასტრუქტურაში კერძო ინვესტიციების მოზიდვას, ლიცენზირებული გადამამუშავებელი ქარხნებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოძიებას და მათთან მჭიდრო თანამშრომლობას; შეგროვების პუნქტების მოძიებას, მოწყობას, ლეგალიზების სამუშაოების განხორციელებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

ქაღალდის მოხმარება

ქაღალდი ის ნარჩენია, რომელიც ,,თეგეტაში“ აქტიურად გამოიყენებოდა. იქნებოდა ეს მომხმარებლებთან ურთიერთობისას, თუ შიდა საოფისე პირობების უზრუნველყოფისთვის.

28 სერვისცენტრში მისული მომხმარებელი პროდუქციის შეძენისას მთელ რიგ პროცედურებს გადიოდა, რაც ქაღალდის ხშირ გამოყენებას გულისხმობდა. 2022 წლიდან მომხმარებლები მობილურ ტელეფონზე შეტყობინების სახით იღებენ საჭირო დოკუმენტაციას, რაც პირველი ნაბიჯი იყო ქაღალდის მოხმარების შესამცირებლად. 2023 წლიდან კი საჭირო დოკუმენტაცია მათ სრულად ელექტრონულად ეგზავნებათ.

2022 წლიდან ჰოლდინგის შიდა დოკუმენტბრუნვა სრულად ელექტრონული გახდა. შიდა მიმოწერები დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის „Docflow”-ს მეშვეობით ხორციელდება.

პროცესების გაციფრულებით წლიურად 50 ბაინდერის ამოღება გახდა შესაძლებელი, რაც დაახლოებით ტონაზე მეტი ქაღალდის დაზოგვას ნიშნავს.

წლიურად
50 ბაინდერი = 1000 კგ
ქაღალდის დაზოგვა

თანამშრომლობა მაკულიტერატურასთან

ქაღალდის გადამუშავება ხელს უწყობს სათბური აირების ემისიების შემცირებას. მის გადამუშავებას 70%-ით ნაკლები ენერგია და წყალი სჭირდება, ვიდრე ხეებიდან ახალი ქაღალდის პროდუქტების შექმნას. მაგალითად, მხოლოდ ერთი ტონა ქაღალდის გადამუშავება ზოგავს 17 ხეს და ასევე 3,3 კუბურ მეტრს ნაგავსაყრელზე.

ამასთან, ,,თეგეტაში“ აცნობიერებენ, რომ წიგნის წარმოება არა ხეების მოჭრით, არამედ მეორადი ქაღალდის გამოყენებით, გარემოზე ზრუნვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. სწორედ ამიტომ, კომპანია 2022 წლიდან თანამშრომლობს პალიტრა L-ის პროექტ „მაკულიტერატურასთან“, რათა ქაღალდის ნაკლებ მოხმარებაში საკუთარი წვლილი შეიტანოს.

ჰოლდინგის სათაო ოფისსა და სერვისცენტებში 20-ზე მეტ მწვანე ყუთში, თანამშრომლების მიერ, მაკულატურა გროვდება და შემდგომში გადამამუშავებელ საწარმოს გადაეცემა. ყუთებში მოგროვებული მეორადი ქაღალდის სანაცვლოდ თეგეტა პალიტრა L-ისგან იღებს წიგნებს, რომლებიც საქართველოს რეგიონებში მცხოვრებ ბავშვებსა და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტს ხმარდება. **პროექტის დაწყებიდან 2023 წლის ბოლომდე მეორადი ქაღალდის შეგროვება „თეგეტაში“ 40%-მდე გაიზარდა.**



პლასტმასას მოხმარება

პლასტმასის ნარჩენებით გარემოს დაბინძურება, მსოფლიოში ერთ-ერთ უმწვავეს საკითხად იქცა, რადგან სწრაფად მზარდი ერთჯერადი პლასტმასის პროდუქტების წარმოებას, მათი შემდგომი გადამუშავება მნიშვნელოვნად ჩამორჩება.

„თეგეტასთვის“ ნარჩენების მართვა ძალიან მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ, ორი წელია კომპანია თანამშრომლობს პოლიეთილენისა და პლასტმასის ბოთლების გადამამუშავებელ საწარმოსთან “პოლივიმი”.

„პოლივიმი“ გადამუშავების მიზნით ნედლეულის სახით მოიხმარს პოლიეთილენ-ტერეფტალატის (PET) მეორად ბოთლებს. კომპანიის ოფისებსა და სერვისცენტრებში დღეისათვის განთავსებულია 20-მდე მწვანე ყუთი, სადაც შეგროვებული მეორეული პლასტმასის ბოთლებისგან, „პოლივიმის“ საწარმოში გადამუშავებული ნედლეული მზადდება. საწარმო „თეგეტასგან“ ჩაბარებულ პლასტმასას გარდაქმნის მაღალი ხარისხის სუფთა ფანტელებად, რომელსაც სხვა შესაბამისი პროდუქციის მწარმოებელ კომპანიებს გადასცემს პოლიესტერის სინთეზური ბოჭკოსა თუ სხვა პროდუქციის დასამზადებლად.

„თეგეტას“ თანამშრომლებისა და მომხმარებლების ჩართულობით 2022-2023 წლებში 150 კგ-ზე მეტი პლასტმასის ბოთლი ჩაბარდა, რაც 3 220 830 კილოვატი ენერგიის დაზოგვას, 3 565 ლიტრით ნაგავსაყრელის შემცირებასა და ნახშირბადის ემისიების დაახლოებით 232.5 კგ. CO2-ით შემცირებას ნიშნავს.

წელი	რაოდენობა	შედეგები
2022	82.90 კგ.	3 220 830 კილოვატი ენერგიის დაზოგვა 3,565 ლიტრით ნაგავსაყრელის შემცირება 232.5 კგ. CO2-ით ნახშირბადის ემისიების შემცირება
2023	49 კგ.	
2024 (H1)	21.5 კგ.	
სულ	150 კგ	

2024 წლისთვის, დაგეგმილია სხვადასხვა აქტივობა თანამშრომელთა ცნობიერების მეტად გაზრდისა და ჩართულობის უზრუნველსაყოფად, მათ შორის „მწვანე გამოწვევების“ ფორმატი. ეს გულისხმობს ყველაზე ეკო მეგობრული ფილიალებისა და დეპარტამენტების გამოვლენას, მაკულატურისა და პლასტმასას შეგროვების წასახალისებლად.

4.6 ტრანსპორტირებით გარემოზე ზემოქმედების შემცირება

ჰაერის დაბინძურება თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი დიდი გამოწვევაა. „თეგეტა“ მუდმივად ცდილობს ამ პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლაში საკუთარი წვლილი შეიტანოს. ჰაერის დაბინძურების შემცირების ყველაზე ეფექტიანი გზა – ბაზარზე ელექტრომობილების ჩანაცვლებით ნულოვანი ემისიის პროცესის წახალისებაა.

ეკოლოგიური ტრანსპორტის სეგმენტის განვითარების მიმართულებით „თეგეტას“ უკვე დიდი გამოცდილება აქვს – ერთი მხრივ, ჰოლდინგში შემავალ კომპანიებთან ერთად, კომპანია წლებია ცდილობს, ხელი შეუწყოს ელექტრომობილების პოპულარიზაციას ქვეყანაში და მეორე მხრივ, კომპანია ზრუნავს დასამუხტი სადგურების ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მთელი ქვეყნის მასშტაბით.

4.6.1 მწვანე ობლიგაციები

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები დიდ კორპორაციებს ისეთი მიდგომებისკენ გადასვლას სთავაზობს, რომელიც როგორც ბიზნესინტერესებზე, ისე გარემოსა და საზოგადოებაზე საკეთილდღეოდ იმოქმედებს. ამ მიზნით „თეგეტა“ აქტიურად მუშაობს ტრანსპორტირებით გარემოზე მოხდენილი ზეგავლენის შემცირებაზე.

2023 წელს „თეგეტამ” 20 000 000 ლარის მწვანე ობლიგაციები გამოუშვა, რომელიც ეროვნულ ვალუტაში განხორციელებული პირველი მწვანე ემისიაა და ის სრულად კომპანიის მწვანე ინიციატივებს ხმარდება - სწორედ ტრანსპორტირებით გარემოზე ზეგავლენის შესამცირებლად.

ESG თემატიკის მატარებელი ობლიგაციები განსაზღვრავს და მიზნად ისახავს განავითაროს კაპიტალის ბაზრის როლი ისეთი პროექტების დაფინანსებაში, რომელთაც წვლილი შეაქვთ გარემოსდაცვითი მდგრადობის უზრუნველყოფაში. მწვანე ობლიგაციის გამოშვების შემთხვევაში ემიტენტი იღებს პასუხისმგებლობას, რომ მოზიდულ ინვესტიციას ისეთი პროექტების დაფინანსებისთვის მიმართავს, რომლებიც გარემოს მდგრად განვითარებას უწყობს ხელს. მნიშვნელოვანია, ქართული კომპანიები ESG თემატიკის ობლიგაციების მზარდი ტენდენციის მონაწილეები იყვნენ იმისთვის, რომ მომავალში როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ინვესტორები კიდევ უფრო აქტიურად დაინტერესონ ქართული კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტებით.

„თეგეტა“ პირველი კომპანია გახდა საავტომობილო ინდუსტრიის ისტორიაში რეგიონის მასშტაბით, რომელმაც მწვანე სტატუსის ობლიგაციები გამოუშვა. მწვანე სტატუსის მინიჭება საერთაშორისო კომპანიების დადებითი შეფასების საფუძველზე მოხდა. მათი დასკვნის მიხედვით დადგინდა, რომ „თეგეტა“ ამ ინიციატივით შეძლებს გარემოსდაცვითი აქტივობების სრულყოფას და ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

20 მილიონის ღირებულების მწვანე ობლიგაციების ემისია „თეგეტას“ პირველი ESG თემატიკის ობლიგაციაა, რომლის მეშვეობით კომპანიამ მოიზიდა პირველი პირდაპირი უცხოური რესურსი. მწვანე ემისიით დაფინანსებული საშუალებები არა მხოლოდ კომპანიის კეთილდღეობას ან მიზნებს მოხმარდება, არამედ უზრუნველყოფს ქვეყანაში ნახშირორჟანგის გაფრქვევების ელიმინაციას, საზოგადოებაში ელექტროტრანსპორტის პოპულიზაციას და მარტივ ადაპტაციას. მნიშვნელოვანი ფაქტორია ასევე ხელმისაწვდომობის გაზრდა, რაც ძველი ტრანსპორტის ჩანაცვლებას გაამარტივებს.

მოზიდული ინვესტიცია სრულად დაიხარჯება ელექტრო (ნულოვანი ემისიის) ტრანსპორტის, როგორც მსუბუქი ასევე მძიმე (მ.შ. ავტობუსები, ექსკავატორები..) იმპორტსა და ქვეყნის მასშტაბით ელექტროავტომობილების დასატენი სადგურების ფართო ქსელის მოწყობაში. შედეგად, შეიქმნება ხელმისაწვდომი ელექტრო ეკოსისტემა ადეკვატური დასატენი ინფრასტრუქტურით.

გარდა მწვანე სტატუსისა, აღნიშნული ობლიგაციები სოციალურ ელემენტებსაც ატარებს და მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობისა და ქალების გაძლიერების ხელშეწყობას. ნაკისრი ვალდებულებების მიხედვით, „თეგეტა“ ასევე უზრუნველყოფს ქალთა გაძლიერებას, საავტომობილო ინდუსტრიაში მათი როლის წარმოჩინებისა და არსებული სტერეოტიპის მსხვრევის ხელშეწყობას ისეთ სფეროში, როგორიცაა მოწინავე (front) პოზიციის სერვისის თანამშრომლები (კონსულტანტი, მექანიკოსი და ა.შ.). დაგეგმილი აქტივობები მოემსახურება ქალთა როლის გაძლიერებასა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას ეფექტური და მდგრადი განვითარების შედეგების მისაღწევად.

მწვანე ობლიგაციების ფარგლებში განსახორციელებელი ინიციატივები მდგრადი განვითარების მიმართ „თეგეტას“ გრძელვადიან ინტერესს უსვამს ხაზს.

შედეგები

ემისია 2023 წლის 29 ივნისს განხორციელდა.

2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით მოზიდული რესურსი ემისიით ნაკისრი მიზნობრივი ვალდებულებების შესაბამისად მიემართა. კერძოდ, კომპანიამ შეიძინა:

70 ეკონომიური დასატენი სადგური

127 სრულად ეკონომიური მსუბუქი ავტომობილი

20 სრულად ეკონომიური საგზაო და არასაგზაო მძიმე ტექნიკა

ობლიგაციების ვადის ფარგლებში დამატებით მოხდება მოზიდული რესურსის რეინვესტირება, 2025 წლის ჩათვლით.

2024 წლისთვის მუშავდება მწვანე თემატიკის ფინანსური რესურსის მოსაზიდად ობლიგაციებისა და სესხების ახალი პროექტები, რომელთა ფარგლებში მიმდინარეობს მოლაპარაკებები ადგილობრივ და საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან.

ელექტროდამტენები

წამყვანი საავტომობილო ბრენდები უკვე აქტიურად გადადიან ელექტრიფიცირებული ავტომობილების წარმოებაზე. ეს თავის მხრივ შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნასა და გაფართოებას მოითხოვს.

„თეგეტა“ აქტიურად ზრუნავს ეკოსისტემის განვითარებაზე და ცდილობს, მომხმარებელს ელექტრომობილის ფლობის სრული კომფორტი შეუქმნას. „თეგეტა“ ერთადერთი კერძო კომპანიაა საავტომობილო სექტორში, რომელმაც ქვეყანაში დასამუხტი სადგურების ქსელის მოწყობა-გაფართოების ვალდებულება აიღო. ეს პროცესი წლების წინ დაიწყო. ამის დასტურია ის 50-მდე დამტენი, რომლებიც კომპანიამ ბოლო წლების განმავლობაში თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განათავსა.

დამტენების ქსელის განვითარებაში აღსანიშნავია თეგეტას შვილობილი კომპანიის - Porsche Center Tbilisi-ის კონტრიბუცია. კომპანია რეგიონის მასშტაბით ელექტრომობილების სერვისის პირველი ჰაბია.

კომპანიამ ელექტრიფიცირებული მანქანებისთვის ინფრასტრუქტურის მოწყობისა და დასამუხტი სადგურების დამონტაჟებისთვის დიდი ინვესტიცია განახორციელა. 2022 წლის მონაცემებით, დამტენების ქსელისთვის ჯამში 1 000 000 ლარზე მეტი დაიხარჯა. შედეგად, დასამუხტი სადგურები საქართველოს ხუთ რეგიონს დაემატა და ჯამში საქართველოს მასშტაბით პორშეს ელექტრო დამტენები 11 ლოკაციაზე განთავსდა.

ელექტრო დამტენებს მომხმარებელი ასევე შეხვდება „თეგეტა მოტორსის” ფილიალებსა და Tegeta Cars-ში შემავალ კომპანიებში - Toyota Center Tegeta, Volvo Car Sakartvelo და Porsche Center Tbilisi.

ელექტრო დამტენების ქსელის გაფართოებას 2023-დან კიდევ უფრო მასშტაბური სახე მიეცა და 2024 წლის ბოლომდე დედაქალაქსა და რეგიონებში 150 დამტენის მონტაჟი იგეგმება.

„თეგეტას“ წვლილი დამტენების ქსელის გაფართოებაში:

2023
50 დამტენი

2024
150 დამტენი

4.6.2. ელექტროტრანსპორტის გაყიდვების მაჩვენებლები

2023 წელს ქვეყნის მასშტაბით დაახლოებით 15 000 ახალი ავტომობილი გაიყიდა, მათგან 550 – ელექტრო. ეს ციფრი, 2022 წელს გაყიდულ ახალ ელექტრომობილებთან შედარებით, 37%-ით მეტია. მართალია, საქართველოს მაჩვენებლები საერთაშორისო სურათზე საკმაოდ მცირეა, მაგრამ პროგრესი თვალსაჩინოა, რაც ძირითადად კერძო ბიზნესის, მათ შორის განსაკუთრებით „თეგეტა ჰოლდინგის“ აქტიურობას უკავშირდება.

ელექტროტრანსპორტის გაყიდვებში, დიდი წვლილი შეაქვს „თეგეტა ჰოლდინგის“ ორ სტრატეგიულ ბიზნესმიმართულებას:

01 **„თეგეტა ქარსი” (Tegeta Cars) - მსუბუქი ავტომობილების მიმართულება**

02 **„თეგეტა ბიზნესი” - სატვირთო, კომერციული ავტომობილების, მუნიციპალური ტრანსპორტისა და სპეციალური დანიშნულების ტექნიკის მიმართულებები**

„თეგეტა ქარსი"

„თეგეტა ქარსი" ჰოლდინგში შემავალი სტრატეგიული ბიზნესმიმართულებაა, რომელიც ბაზარზე 2010 წლიდან ოპერირებს და რეგიონში ავტოინდუსტრიის განვითარებაზე ზრუნავს. მსოფლიოს წამყვან ბრენდებთან - Porsche, Volvo, Toyota, Mazda, Geely, Zeekr, Polaris, NIU - პარტნიორობით, კომპანია მუდმივად ზრდის ხელმისაწვდომობას უსაფრთხო, კომფორტულ და ეკომეგობრულ ტრანსპორტზე.

PORSCHE

პორშემ 2019 წელს გამოუშვა პირველი სრულად ელექტრო მოდელი Porsche Taycan-ი, რომელიც დღემდე განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს.
ელექტროფიცირებული ავტომობილების შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიებს აქტიურად ახორციელებს „თეგეტას" შვილობილი Porsche Center Tbilisi-ც. ამ მხრივ გამორჩეული იყო 2023 წლის კამპანია, რომელიც მოიცავდა ელექტრო პორშესა და მისი სარგებლის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას ბილბორდებით, საინფორმაციო ვიდეორგოლებით, სტატიებითა და სხვ.

VOLVO

ერთ-ერთი პირველი ბრენდია, რომელიც ელექტრომობილების და plug-in ჰიბრიდების პოპულარიზაციას უწყობს ხელს მთელ მსოფლიოში. უფრო მეტიც კომპანიის მიზანია 2030 წლისთვის სრული სამოდელო სპექტრის ელექტროფიცირება განახორციელოს. ამ გლობალურ ტენდენციას მიჰყვება „თეგეტას" შვილობილი „ვოლვო ქარ კავკასიაც" და აქტიურად უწყობს ხელს საქართველოში ელექტო ავტომობილების პოპულარიზაციას.
2020 წელს, „ვოლვო ქარ საქართველომ" დაიწყო თანამშრომლობა National Geographic-თან. მათთან ერთად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში plug in ჰიბრიდებით მოგზაურობს. იწერება სტატიები, გარემოზე ზიანის შემცირების მნიშვნელობაზე. აქტიური მარკეტინგული კამპანიები მიმდინარეობს სრულად ელექტრო EX40-ისა და EC40-ის მიმართულებით. 2024 წელს კომპანიამ სრულად ახალი ელექტრო მოდელი EX30-ი წარადგინა.

AUTO GALLERY

„თეგეტას" მულტიბრენდულ კომპანია Autogallery-ის სხვადასხვა ბრენდის ელექტრო ავტომობილები შემოჰყავს, ასევე არის ATV ტექნიკის მსოფლიო ლიდერი ბრენდის Polaris-ისა და ელექტო სკუტერების ბრენდის NIU-ს ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში. "ავტო გალერი" მთავარ მიზნად ისახავს ეკომეგობრული ტრანსპორტის რეალიზაციას. სწორედ ამ სტრატეგიის ფარგლებში მომხმარებლებს მუდმივად მიეწოდება ზუსტი ინფორმაცია ელექტროავტომობილების მახასიათებლების შესახებ. მაგალითად, მითებთან და რეალობასთან დაკავშირებული კამპანია ეხებოდა იმ არასწორ ინფორმაციას, რომელიც საზოგადოებაში ამ მიმართულებით არსებობს. გაკეთდა TBC Talks ელექტროავტომობილებზე, სადაც არსებულ მდგომარეობაზე პანელური დისკუსიის ფარგლებში მსჯელობდნენ და სხვ.

2022 წელს კომპანიის მიერ რეალიზებული 399 ერთეული ავტომობილიდან 54%-ს სწორედ ელექტრომობილები შეადგენდა, მაშინ როდესაც 2021 წელს გაყიდული ელექტრომობილების რაოდენობა მხოლოდ 11.4% იყო.

Autogallery-ს მიერ გაყიდული ავტომობილების სტატისტიკა



mazda

Mazda Center Tegeta ქართულ ბაზარზე 2011 წლიდან ოპერირებს. კომპანია იაპონური ბრენდის ერთადერთი ავტორიზებული იმპორტიორია საქართველოში. კომპანია მომხმარებელს, Mazda-ს ბრენდის ახალი ავტომობილების გარდა, ორიგინალ ნაწილებსა და საგარანტიო სერვისსაც სთავაზობს. Mazda Center Tegeta მომწოდებელთან აქტიურად მუშაობს, რათა სამოდელო რიგს 2024 წლიდან ჰიბრიდ ავტომობილები შემატოს.

ZEEKR

ელექტრომობილების რეალიზაციის გაზრდის კუთხით, მნიშვნელოვანია, რომ Tegeta cars-ი 2024 წლიდან საქართველოში ავტოინდუსტრიის გიგანტის Geely Holding-ის კიდევ ერთი ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური საავტომობილო ბრენდის „ZEEKR" ოფიციალური წარმომადგენელი გახდა. ჩინური პრემიუმ ბრენდი, რომელიც მხოლოდ ელექტრომობილებს აწარმოებს, პირველ მოდელებს საქართველოში სწორედ „თეგეტა ჰოლდინგის" მხარდაჭერით შემოიყვანს.

25 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც Toyota-მ თავისი პირველი ელექტრიფიცირებული ავტომობილი, Prius-ი წარადგინა და მას შემდეგ არ შეუწყვეტია ამ მიმართულებით განვითარება.

ამ ეტაპზე ტოიოტა მომხმარებელს სთავაზობს ელექტრიფიცირებული ავტომობილების დიდ არჩევანს - ჰიბრიდებს, Plug-In ჰიბრიდებს, ელექტრო და წყალბადზე მომუშავე ავტომობილებს. წლიდან წლამდე სულ უფრო მეტი მომხმარებელი ცდილობს, შიგაწვისძრავიანი მანქანა ეკომეგობრული ავტომობილით ჩაანაცვლოს. ამ მიმართულებით ფართო არჩევანია Toyota Center Tegeta-სა და Toyota Center Batum-ში. 2024 წლისთვის კომპანიები სამოდელო რიგის კიდევ უფრო გაფართოებას გეგმავენ.

Toyota Center Tegeta-ში ბოლო სამი წლის განმავლობაში კომპანიის მიერ გაყიდული ავტომობილებიდან 20%-მდე ჰიბრიდულია. აღსანიშნავია ბოლო წლის ტენდენცია.

2023 წელს გაყიდული 438 ერთეული, რომელიც საერთო გაყიდვების 19,93%-ს შეადგენდა, 2024 წლის პირველი ნახევრისთვის ეს მაჩვენებელი თითქმის გაორმაგებულია და 38,91%-ს შეადგენს. სავარაუდოა, რომ 2024 წლის ბოლომდე, პროცენტულად კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდება.

„ტოიოტა ცენტრი თეგეტას" მიერ გაყიდული ჰიბრიდული მანქანების სტატისტიკა

	2021	2022	2023	2024 (H1)
ჰიბრიდული მანქანები	305	221	438	235
%	36,27%	19,32%	19,93%	38,91%

„ტოიოტა ცენტრი ბათუმის" მიერ გაყიდული ჰიბრიდული მანქანების სტატისტიკა

	2022	2023
ჰიბრიდული მანქანები	97	77
%	27,87%	20%

ელექტრომობილების გაყიდვების ჯამური მაჩვენებლები:

	2020	2021	2022	2023	2024 (H1)
ელექტრომობილების რაოდენობა	8	49	260	151	100
პროცენტული მაჩვენებლები	0,54%	2,52%	9%	4%	5.85%

ელექტრომობილების და plug-in ჰიბრიდ მანქანების გაყიდვები კომპანიების მიხედვით:

	2021	2022	2023	2024 (H1)
Autogallery	30	213	106	43
Volvo	-	4	3	27
Porsche	19	30	35	20
Mazda	-	17	-	-
Toyota	305	221	438	235

განახლებული სტრატეგიებისა და მიდგომების შესაბამისად, „თეგეტაში" 2024 წლის ბოლოსთვის, ელექტრომობილების გაყიდვების მაჩვენებლების ზრდა არის მოსალოდნელი.

„თეგეტა ბიზნესი"

„თეგეტა ბიზნესი" აერთიანებს სატვირთო, კომერციული ავტომობილების, მუნიციპალური ტრანსპორტისა და სპეციალური დანიშნულების ტექნიკის მიმართულებებს. კომპანია რეგიონის მასშტაბით 10 000-ზე მეტ ორგანიზაციას ემსახურება და ისეთ საერთაშორისო ბრენდებს წარმოადგენს, როგორებიცაა: MAN, HINO, XCMG, DONGFENG, JCB, LIEBHERR, BOMAG, MARINI და სხვ.

სახელმწიფო ტენდერში გამარჯვების შემდეგ „თეგეტამ" დედაქალაქის მუნიციპალური ავტოპარკი გერმანული ავტოგიგანტის MAN-ის ავტობუსებითა და სხვა ცნობილი ბრენდების სატრანსპორტო საშუალებებით მოამარაგა.

თანამედროვე ავტობუსები ევრო 6 სტანდარტის, ეკოლოგიურად სუფთა, დიზელისა და კომპრესირებული ბუნებრივი აირის ძრავაზე (CNG) მომუშავე ტრანსპორტია. ხელს უწყობს CO2-ის ემისიის შემცირებას და შესაბამისად, გაცილებით უსაფრთხოა გარემოსთვის.

2023 წლამდე „თეგეტამ" 460 ავტობუსით მოამარაგა საქართველოს დედაქალაქი. 2024 წლის ბოლომდე კიდევ 200 ახალი ერთეულის ჩამოყვანა იგეგმება.

აღსანიშნავია რეგიონული მიღწევებიც. 2022 წელს „თეგეტამ" საერთაშორისო ტენდერში გაიმარჯვა და MAN-ს 87 ერთეული, ევრო 6 სტანდარტის ავტობუსი, სომხეთის დედაქალაქში ჩაიყვანა.

BYD-ის პირველი ელექტროავტობუსი თბილისში

2023 წლის ბოლოს თბილისში ერთთვიან სატესტო რეჟიმში „თეგეტა ჰოლდინგის“ მიერ შემოყვანილი BYD-ის ბრენდის ელექტროავტობუსი გადაადგილდებოდა. ჩინური ავტოგიგანტი და ელექტრომიმართულებით ნოვატორი კომპანია BYD, ჩინეთის გარდა, ფარავს ამერიკისა და ევროპის კონტინენტებს და მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში წარმატებით ოპერირებს.

ელექტროავტობუსი აღჭურვილია სწრაფი დამტენით, რომლის საშუალებითაც ოთხ საათში სატრანსპორტო საშუალება 0%-იდან 100%-ამდე ელექტროენერგიით ივსება. სრული დამუხტვის შემთხვევაში ავტობუსი 450 კილომეტრს ფარავს.

ელექტროავტობუსებით მუნიციპალიტეტის პარკის გამრავალფეროვნება განსაკუთრებით დიდ ინფრასტრუქტურულ მომზადებას, ასევე მართვისა და დაგეგმვის განსხვავებული სპეციფიკის დანერგვას მოითხოვს. ელექტროავტობუსის სატესტო რეჟიმში გაშვება კი წინ გადადგმული ნაბიჯია იმისთვის, რომ სამომავლო პერსპექტივაში „თეგეტა“ მსგავსი პროექტებისავის სათანადოდ მოემზადოს.

4.6.3 ავტოპარკი

ავტოპარკის შემადგენლობის განსაზღვრის პროცესში „თეგეტა“ გარემოზე შესაძლო ზემოქმედებას ითვალისწინებს და ცდილობს ელექტრო და ჰიბრიდული ავტომანქანების წილი მაქსიმალურად გაზარდოს. **2023 წლის მდგომარეობით ჰოლდინგის ავტოპარკის ჯამური რაოდენობა 232 ავტომობილს შეადგენს.**

აქედან:

1 ჰიბრიდია - 35 ერთეული (ავტოპარკის 15%).

2 სრულად ელექტროა - 18 ერთეული (ავტოპარკის 8%).

ელექტრომობილები „თეგეტას“ შიდა ბიზნესპროცესებისთვის

გარემოზე ზრუნვის მიზნით, შიდა ბიზნესპროცესებს „თეგეტა“ ეკომეგობრული ტრანსპორტით მართავს. 2021 წლიდან სასაწყობე მეურნეობისთვის, შიდა გადაადგილებისა და გადაზიდვისთვის კომპანია ათ ელექტრომობილს (7 ეკოსატვირთო, 3 ელექტრომანქანა) იყენებს. ცენტრალური ფილიალის ტერიტორიაზე კომპაქტური ზომის ეკოსატვირთოები შიდა პერიმეტრზე ავტონაწილების გადასატანად და მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად არის გათვალისწინებული.

ნულოვანი ემისიის მქონე ავტომანქანები არამხოლოდ ჰაერის დაბინძურების, არამედ არანაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტორის, ე.წ. „ხმაურის დაბინძურების“ (Noice Pollution) შემცირებასაც უწყობს ხელს, რაც „თეგეტას“ მომხმარებლისთვის დამატებითი კომფორტია.

ელექტროსატვირთოები სამ საათში იმუხტება და 80 კმ–ის გავლა შეუძლია. ეკოსატვირთოები მაქსიმუმ 400 კგ ტვირთის გადაზიდვას უზრუნველყოფს და მომხმარებლის მომსახურებას უფრო მეტად კომფორტულსა და ოპერატიულს ხდის.

ელექტრომობილებისა და ელექტროსკუტერების გამართული მუშაობისთვის კი „თეგეტამ“ სათავო ოფისის ტერიტორიაზე 5-პოსტიანი დამტენები მოაწყო.

5.პასუხისმგებლობა მომხმარებლის მიმართ

5.1. მომხმარებლებთან ურთიერთობის სტრატეგია

5.2. მომხმარებლებთან კომუნიკაცია

5.3. პერსონალურ მონაცემთა დაცვა

5.4. მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინება

5. პასუხისმგებლობა მომხმარებლების მიმართ

„თეგეტა“ მომხმარებლების კმაყოფილებაზეა ორიენტირებული და შესაბამისად, ჰოლდინგში შემავალი ყველა კომპანია მათთან ურთიერთობისას ინდივიდუალურ მიდგომას იყენებს.

„თეგეტას“ მომხმარებლები არიან საცალო, კორპორაციული, საბითუმო და სახელმწიფო ორგანიზაციები. მათ შორის: საერთაშორისო და ადგილობრივი კომერციული ორგანიზაციები, სადისტრიბუციო კომპანიები, ბანკები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ფარმაცევტული კომპანიები და ა.შ.

ახალი მასშტაბური მულტიფუნქციური სივრცე, რომელიც 2023 წლის დეკემბერში გაიხსნა, პირველია რეგიონის საავტომობილო სექტორში, რომელიც მომხმარებელს ახალი კონცეფციით - ერთი ფანჯრის პრინციპით ემსახურება. კომფორტულ გარემოში მომხმარებელი მსუბუქი ავტომობილისათვის საჭირო სრულ სერვისს იღებს, მათ შორის – ელექტრომობილებისთვის.

გამორჩეულია სერვისებისა და მომხმარებელთან ურთიერთობის გამოცდილების გასაუმჯობესებლად განხორციელებული პროექტები:

- **ონლაინ რეზერვაცია,** რომელიც წინასწარ ჩაწერას გულისხმობს და მომხმარებელს საშუალებას აძლევს დაჯავშნოს ვიზიტი სწრაფი სერვისის ან სერვისების მისაღებად.
- **თეგეტა ქარდი** (Classic, Silver, Gold, VIP) ავტომფლობელთათვის განკუთვნილი ლოიალობის ბარათია. ნებისმიერი პროდუქტის/მომსახურების შეძენისას „თეგეტა ქარდზე“ გროვდება ქულები, რომლებიც სპეციალური აქციებისას გამოიყენება (მაგ. გამოცხადებული გათამაშებები, ქულების გაორმაგება და ა.შ.).
- **თეგეტა კომფორტი** - ეს არის სერვისი, რომელიც მომხმარებელს ავტომობილის შეკეთებას სერვისცენტრში მისვლის გარეშე სთავაზობს. პერსონალური მენეჯერი მიდის მომხმარებლისთვის სასურველ მისამართზე, გადაიბარებს ავტომობილს, რომელზეც მთლიანად იღებს პასუხისმგებლობას და უზრუნველყოფს მის ტრანსპორტირებას.
- **ონლაინ მაღაზია** - მრავალფუნქციური პორტალის shop.tegetamotors მიზანია მომხმარებლებს მაქსიმალურად გაუმარტივოს საავტომობილო პროდუქტებისა თუ აქსესუარების მოძიება-შეძენის პროცესი და სწრაფადვე მიაწოდოს მათთვის მოსახერხებელ ლოკაციაზე. ონლაინ მაღაზიაში 20 000-ზე მეტი დასახელების პროდუქტია განთავსებული.
- **Tegeta App** - აპლიკაცია, რომელიც კიდევ უფრო გაამარტივებს კომუნიკაციას მომხმარებელსა და მის საავტომობილო პარტნიორს შორის. აპლიკაციის მეშვეობით მომხმარებელი შეძლებს: ონლაინ რეზერვაციას; პერსონალური მენეჯერის გამოძახებას; მიღებული სერვისების ისტორიის კონტროლს; სასურველი ფილიალის მარტივად შერჩევას; სხვადასხვა შეთავაზების მიღებას. „თეგეტას“ ციფრული ტრანსფორმაციის გუნდი აქტიურად განაგრძობს პროდუქტის განვითარებაზე მუშაობას, რათა მომხმარებელს ავტომობილის ფლობის უნიკალური გამოცდილება შესთავაზოს.

5.1. მომხმარებლებთან ურთიერთობის სტრატეგია

მომხმარებლის გამოცდილებაზე ზრუნვა არა უშუალოდ მომსახურების მიღების ან პროდუქციის ყიდვის პროცესში, არამედ უფრო ადრე, საჭიროების გააზრებისთანავე იწყება. „თეგეტა მოტორსის“ უმთავრესი სტრატეგიული მიზანი მომხმარებლისთვის საუკეთესო მომსახურების შეთავაზებაა. ამ მიზნით, კომპანია საერთაშორისო სტანდარტსა და გამოცდილებას ეყრდნობა. ამასთან ერთად, ცდილობს მომხმარებელთან ურთიერთობის პროცესი მათთან მუდმივი კომუნიკაციისა და უკუკავშირების გათვალისწინებით გააუმჯობესოს.

„თეგეტას“ მომხმარებელს კომპანიასთან დაკავშირება შეუძლია, როგორც ფილიალებსა და შოურუმებში ვიზიტით, ასევე დისტანციურად, ქოლ ცენტრის ან ონლაინ საკომუნიკაციო არხების მეშვეობით. „თეგეტა“ იკვლევს მომხმარებელთა გამოცდილებასა და კმაყოფილებას, ყურადღებას აქცევს უკუკავშირს სხვადასხვა პლატფორმაზე (QR, Social Media, Call-Center, Google Review და ა.შ.) და ამის გათვალიწინებით შეიმუშავებს რეაგირების მექანიზმებსაც. ამასთანავე მონიტორინგს უწევს თანამშრომელთა მომსახურების ხარისხს და შესაბამისად გეგმავს სასწავლო პროცესებსა თუ ინიციატივებს, მომხმარებლისთვის საუკეთესო გამოცდილების შექმნის მიზნით.

„თეგეტამ“ მომხმარებელთან ურთიერთობის სტანდარტები (გზამკვლევი) ყველა საკომუნიკაციო არხისთვის შექმნა:

- „თეგეტა მოტორსის“ ფილიალებისთვის (წინა ხაზის თანამშრომლებისთვის);
- ქოლ ცენტრის ოპერატორებისთვის;
- ონლაინ საკომუნიკაციო არხისთვის (facebook chat, Instagram, online shop, E-mail).

ამასთან შემუშავებულია კრიზისული კომუნიკაციის სახელმძღვანელო პრინციპი განსაკუთრებული შემთხვევების და საჩივრების (Claim Management) ეფექტური მართვისთვის.

მომხმარებელთან ურთიერთობის საფუძვლები

„თეგეტა მოტორსში“ მომხმარებელთან ურთიერთობის საფუძველი ხუთი მთავარი პრინციპია, რომელთა საშუალებითაც „თეგეტას“, როგორც ბრენდის, ღირებულებები მომხმარებლამდე მიდის.

კეთილგანწყობა: განწყობა გამოიხატება ყველაფერში - სიტყვებში, ქცევაში, მიმიკებში. „თეგეტა მოტორსში“ განწყობა სამუშაოს დაწყებამდე იქმნება და განწყობა მუდამ მომხმარებელზე ორიენტირებული და პოზიტიურია.

ღიმილი: ღიმილი „თეგეტა მოტორსის“ სავიზიტო ბარათია. ის დამოკიდებულების გამოხატვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

გუნდურობა: მომხმარებელთან ეფექტიანი კომუნიკაცია დამოკიდებულია გუნდურობაზე. ერთ მიზანზე ორიენტირებული გუნდის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხი ბევრად მაღალია, ვიდრე ცალკეული ინდივიდების.

პროფესიონალიზმი და თავდაჯერებულობა:„თეგეტა მოტორსი“ კომპეტენტური, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე ადამიანების გუნდია, კომპეტენცია და პროფესიონალიზმი თანამშრომელთა ქცევას თავდაჯერებულობას სძენს.

მომხმარებელთა გამოცდილება

მომხმარებელთან ურთიერთობის პროცესის სტანდარტიზაცია „თეგეტაში“ 2021 წელს დაიწყო. კომპანიაში მომხმარებლის გამოცდილების მართვის პოლიტიკა, მომხმარებლებთან საკომუნიკაციო სტანდარტები და აღსრულების მონიტორინგი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში განისაზღვრება. ჰოლდინგი იკვლევს მომხმარებლის საჭიროებებს, ფარავს ყველა გადაკვეთის წერტილს, ისმენს მათ ხმას, მონიტორინგს უწევს მომხმარებელთა უკუკავშირს (VOC) ფილიალებსა და ონლაინ საკომუნიკაციო არხებში და ხელს უწყობს მომხმარებელზე ორიენტირებული კულტურის შექმნას.

„თეგეტას“ ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მომხმარებელთა და თანამშრომელთა საჭიროებების ანალიზი და კმაყოფილების ზრდა მეტი პროდუქტიულობის მისაღწევად.
ამ მიზნით „თეგეტაში“ მომხმარებლისთვის საუკეთესო გამოცდილების შექმნის პროცესი ორ მიმართულებად იყოფა: ხარისხის მართვის დეპარტამენტი სხვადასხვა კვლევის ჩატარებას უზრუნველყოფს, ხოლო მომხმარებლისთვის გამოცდილების შექმნაზე, მომხმარებლის ხმისა და მონიტორინგის საფუძველზე, მომხმარებლის გამოცდილების მართვის გუნდი ზრუნავს.

მომსახურების ხარისხი „თეგეტაში“ მომხმარებლის გამოცდილების საფუძველზე ფასდება. მიდგომების გასაუმჯობესებლად ეს კომპანიისთვის უმნიშვნელოვანესი პროცესია. მუდმივ რეჟიმში ტარდება კმაყოფილების კვლევები, რომლის მეშვეობითაც განისაზღვრება მომსახურების ხარისხი და ამასთანავე, კომპანია უზრუნველყოფს მოსაგვარებელი საკითხების დროულ გადაწყვეტასა და მომხმარებელთან კომუნიკაციას. განწყობების შესახებ ინფორმაცია სატელეფონო რაოდენობრივი კვლევების საფუძველზე გროვდება. მათ შორისაა:

- მომსახურების მიღებით მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევები;
- პროდუქციის შესყიდვით მომხმარებლის კმაყოფილების კვლევები;
- კორპორაციული მენეჯერებით მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევები;
- VIP მომხმარებლების კმაყოფილების კვლევები;
- მომხმარებლების მხრიდან კომპანიის მიმართ დაფიქსირებული რეკომენდაციების/ რჩევების ანალიზი.

მომხმარებელთა შეფასების საფუძველზე განისაზღვრება სხვადასხვა კოეფიციენტი (NPS, NES, FIR, CES, CSI) და მუშავდება რეკომენდაციები.

„თეგეტა მოტორსში“ 2022 წელს, დისტანციური კვლევების ფარგლებში, 16 468 მომხმარებელი გამოიკითხა:

- მომსახურების კმაყოფილების კვლევა - 14067 მომხმარებელი
- პროდუქციის შესყიდვის კვლევა - 1809 მომხმარებელი
- კორპორაციული მენეჯერებით მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა - 592 მომხმარებელი

2023 წელს ჯამში გამოიკითხა 14 482 მომხმარებელი:

- მომსახურების კმაყოფილების კვლევა - 8969 მომხმარებელი
- პროდუქციის შესყიდვის კვლევა - 4488 მომხმარებელი
- კორპორაციული მენეჯერებით მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა - 857
- VIP მომხმარებლების კვლევა - 168

2023 წლის მდგომარეობით „თეგეტა მოტორსს“ NPS 83 ქულა აქვს, რაც მომხმარებელთა პოზიტიური დამოკიდებულებისა და კომპანიის მიმართ მაღალი ლოიალობის ნათელი დადასტურებაა.





მომხმარებლის კმაყოფილების ინდექსი (CSI) - 95%-ია.



„თეგეტას“ ირჩევენ შემდეგი ძირითადი უპირატესობების გამო:

- პროდუქციის ხარისხი
- ფასი
- მომსახურების ხარისხი
- რიგი
- პროდუქციის მრავალფეროვანი არჩევანი
- გარემო

კომპანიაში ვიზიტის მიზეზი



საცალო მომხმარებლებთან ერთად, მნიშვნელოვანია კორპორაციული მომხმარებლის დამოკიდებულება. ამ მიმართულებით ტარდება კორპორაციული მენეჯერების კვლევა. კორპორაციული მომხმარებლები „თეგეტას“ ირჩევენ შემდეგი უპირატესობების გამო:



- ხარისხი;
- კვალიფიციური პერსონალი;
- მომსახურების სიმარტივე;
- პროდუქციის მრავალფეროვნი არჩევანი;
- გარემო.

ამ კუთხით, NPS – 72-ია, კმაყოფილების ინდექსი - 82%.

„თეგეტა“ ასევე ორიენტირებულია, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკებზე დაფუძნებული სტანდარტების შესაბამისად, მომხმარებელს სერვისცენტრებში კომფორტული გარემო შეუქმნას. ეს მიდგომები მოიცავს, როგორც მრავალფეროვანი პროდუქციის შეთავაზებას, კომფორტული და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურის გარემოს შექმნას, ასევე ხარისხიან მომსახურებას, რისკების მართვას, შრომის უსაფრთხოებასა და სხვ.

მოსაგვარებელი საკითხების მართვა (Claim Management)

მოსაგვარებელი საკითხების მართვის (Claim Management) ფარგლებში იდენტიფიცირდება და იმართება მომხმარებელთა მხრიდან დაფიქსირებული გამოწვევები. „თეგეტა“ ხელს უწყობს მათ ეფექტურ და სწრაფ გადაწყვეტას.

ნებისმიერ საკომუნიკაციო არხში დაფიქსირებული პრობლემური საკითხების ანალიზს, მოკვლევას, მათ მოგვარებასა და პრევენციული ღონისძიებების გატარებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. თითოეული მომხმარებლის უკუკავშირი კომპანიისათვის არის შესაძლებლობა, გააუმჯობესოს მომსახურება და დამკვეთის მოლოდინებს შესაბამისად უპასუხოს.

5.2. მომხმარებლებთან კომუნიკაცია

პასუხისმგებელი მარკეტინგი

„თეგეტასთვის“, როგორც რეგიონში ავტოინდუსტრიის სფეროში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მოთამაშისთვის, დიდი პასუხისმგებლობაა მომხმარებლებსა და საზოგადოებაზე ზრუნვა, მათი სწორად და დროულად ინფორმირება. ხშირად, ჰოლდინგის მარკეტინგული საიმიჯო კამპანიები თუ შეთავაზებები მდგრადობის მიზნებს ითვალისწინებს.

კომპანია ყოველწლიურად ახორციელებს ცნობიერების ასამაღლებელ კამპანიებს გზაზე უსაფრთხო გადაადგილებასთან დაკავშირებით, ზრუნავს საგზაო მოძრაობის კულტურის ამაღლებაზე, ეკოლოგიაზე და ა.შ.

ნებისმიერი კამპანიისა თუ შეთავაზების დაგეგმვისას გათვალისწინებულია მწარმოებლის მიერ მოწოდებული რეკომენდაციები, ასევე სპეციფიკაციები. ფასი ყოველთვის ღია და გაცხადებულია. მომხმარებელი ნებისმიერი ტიპის კომუნიკაციისას პირდაპირ იგებს თუ რა ტიპის სარგებელს უნდა მოელოდოს შესაბამისი შეთავაზებისაგან, იქნება ეს ფასდაკლება, სერვისი თუ საჩუქარი.





თითოეული სარეკლამო კამპანია საერთაშორისო ეთიკური სტანდარტების დაცვით იგეგმება და ხორციელდება. ამასთან ყველა სარეკლამო მასალა შედგენილია მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონის მოთხოვნებზე დაყრდნობით. გარდა ამისა, „თეგეტას“ შვილობილი კომპანიების მარკეტინგული კომუნიკაციები სრულ შესაბამისობაშია მათ პორტფელებში არსებული ბრენდებისა და პარტნიორი მსოფლიო ბრენდების სახელმძღვანელო პრინციპებთან. მომხმარებლების, თანამშრომლების, პროდუქციისა და მომსახურების უსაფრთხოება კომპანიისათვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია. ამ ღირებულებების კვალდაკვალ „თეგეტამ“ არაერთი საინტერესო ინიციატივა და სიახლე შესთავაზა მომხმარებლებს. ჰოლდინგის მიერ ჯერ კიდევ წლების წინ დაწყებულმა კამპანიამ საქართველოში ზამთრის საბურავების ცნება დაამკვიდრა, რაც პირდაპირ კავშირშია უსაფრთხოებასთან. 2023 წელს, როდესაც ზამთრის საბურავებით გადაადგილება კანონით სავალდებულო გახდა, „თეგეტამ“ ცნობიერების ასამაღლებელი კამპანია წამოიწყო. დეტალურად აუხსნა ავტომფლობელებს თუ რატომ უნდა შეცვალონ საბურავები სეზონურად.

საგზაო უსაფრთხოების თემებს უკავშირდება 2022-2023 წლებში განხორციელებული მარკეტინგული კამპანიებიც, რომლებიც არა კომერციულ უპირატესობებზე, არამედ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე იყო ორიენტირებული. მიმართული იყო საგზაო მოძრაობის კულტურის გაუმჯობესების, ავტომობილების უსაფრთხო მართვის, მძღოლებისა და ქვეითების პასუხისმგებლობის გააზრებასკენ და ა.შ.

ვრცლად ამ კამპანიების შესახებ იხ. უსაფრთხოების თავი.

5.3. პერსონალურ მონაცემთა დაცვა

„თეგეტა ჰოლდინგი” საქმიანობისას საქართველოს კანონმდებლობით ხელმძღვანელობს, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით. მომხმარებლის უფლებებისა და მათი პერსონალური მონაცემების დაცვა კომპანიისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. „თეგეტა” და მასში შემავალი კომპანიები პერსონალურ მონაცემებს ამუშავებენ კანონიერად, სამართლიანად და მონაცემთა სუბიექტისთვის გამჭვირვალედ.

თითოეულ ეტაპზე კომპანიების მიერ მონაცემების მოპოვება ხორციელდება მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზნებისთვის. მონაცემები მუშავდება მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია შესაბამისი მიზნების მისაღწევად.

უსაფრთხოების დაცვის მიზნით მონაცემთა დამუშავებისას მიღებულია ისეთი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, რომლებიც სათანადოდ უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას, მათ შორის, უნებართვო ან უკანონო დამუშავებისგან, შემთხვევითი დაკარგვისგან და სხვ. მონაცემები ინახება მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

კომპანია მომხმარებელთა მონაცემებს პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის ამუშავებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოპოვებულია მათი წინასწარი წერილობითი თანხმობა.

ქოლ ცენტრის მეშვეობით მომხმარებელთან განხორციელებული ზეპირი კომუნიკაციისას მიმდინარეობს აუდიომონიტორინგი, რომლის თაობაზეც მომხმარებელი წინასწარ ინფორმირებულია.

კომპანიაში მიმდინარეობს ვიდეომონიტორინგი დანაშაულის თავიდან აცილების, მისი გამოვლენის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, პირის უსაფრთხოების, საკუთრების დაცვის და სხვა ამოცანების შესასრულებლად. ამის თაობაზეც მომხმარებელი ინფორმირებულია თვალსაჩინო ადგილებში განთავსებული გამაფრთხილებელი ნიშნებით.

კომპანიას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც თანამშრომლებთან აქტიური კომუნიკაციითა და საინფორმაციო შეხვედრებით მათი ცნობიერების ამაღლებას უზრუნველყოფს. თითოეული თანამშრომელი, რომელიც ამუშავებს მომხმარებლის პერსონალურ მონაცემებს, აცნობიერებს მის პასუხისმგებლობას და ინფორმაციის კონფიდენციალურად შენახვის ვალდებულებას, რაც ასახულია მასთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებშიც.

პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტები კომპანიაში ინახება და მუშავდება ისე, რომ უზრუნველყოფილია მონაცემთა დაცვა შემთხვევითი და უკანონო განადგურებისგან, შეცვლისგან, ნებისმიერი სხვა ფორმით გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისგან.

5.4. მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინება

„თეგეტას“ შვილობილებში მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინების რამდენიმე მაგალითი:

Toyota Center Tegeta

2023 წელს, უკუკავშირის მიღების მიზნით დისტანციური კვლევა 8540 მომხმარებელთან ჩატარდა. მომხმარებელთა გამოკითხვა მუდმივ რეჟიმში, მომსახურების მიღებიდან 3-7 დღის ვადაში ტარდება. 2023 წელს გამოკითხული მომხმარებლების კმაყოფილების ინდექსი 91,6%-ით განისაზღვრა. უკმაყოფილება, 2023 წლის მეორე ნახევრის განმავლობაში, ცენტრში აქტიურად მიმდინარე სარემონტო სამუშაოებსა და რიგებთან დაკავშირებით დაფიქსირდა. “ტოიოტა ცენტრ თეგეტაში“ დაინერგა რიგის მართვის სისტემა, რომლის მეშვეობითაც უფრო მარტივი გახდა მომხმარებლისთვის როგორც წინასწარ ჩაწერა, ისე ადგილზე მომსახურება.

Volvo

აღმოიფხვრა მომხმარებელთან დაგვიანებული უკუკავშირები. გაუმჯობესდა ტესტ დრაივის ხარისხი, რომელიც ითვალისწინებდა, როგორც მანქანის გამართვას, ასევე მოლოდინის დროის შემცირებასა თუ შეთავაზების დროულ გადაგზავნას.

მნიშვნელოვანია მომხმარებელთა ინტერესების გასათვალისწინებლად „თეგეტას“ სამომავლო გეგმები:

- მუშავდება მომხმარებელთა გამოცდილების სტრატეგიის დოკუმენტი, რათა მეტად სტრუქტურირებული სახე ჰქონდეს მომხმარებელზე ორიენტირებულ მიდგომებს კომპანიაში და მკაფიოდ განისაზღვროს მომხმარებლის გამოცდილების მართვის მიდგომები და სტრატეგიები. აღნიშნული დოკუმენტი იქნება ერთგვარი გზამკვლევი, როგორც თითოეული თანამშრომლის, ასევე ყველა შვილობილი კომპანიისთვის.
- დაგეგმილია თანამშრომელთა ცნობიერების, კომპეტენციის ამაღლების მიზნით სხვადასხვა სახის სასწავლო აქტივობები;
- შემუშავდება და განხორციელდება პერსონალური მონაცემების დამუშავებასა და უსაფრთხოებაზე ორიენტირებული ტრენინგ მოდული;
- შემუშავდება და დაინერგება ინკლუზიური პოლიტიკა შესაბამისი სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის.

6.საზოგადოების მხარდაჭერა

6.1. ასოციაციების წევრობა და ჯილდოები

6.2. საზოგადოების მხარდაჭერის პროექტები

6.2.1. Tegeta.Care

6.2.2. თეგეტა სოციალური საწარმოებისთვის

6.2.3. ზრუნვის კედელი

6.2.4. გენდერული თანასწორობა

6.2.5. განათლების წახალისება

6.2.6. გარემოს დაცვა

6. საზოგადოების მხარდაჭერა

2022-2023 წლებში, საზოგადოებასა და გარემოზე ზრუნვის მიმართულებით თეგეტამ 70-ზე მეტი მსხვილი თუ მცირე პროექტი განახორციელა, პირდაპირი კომუნიკაციის გზით მისწვდა 2500-ზე მეტ ადამიანს ცოდნის გადაცემის, მხარდაჭერისა თუ სხვა გზით.

„თეგეტას“ განვითარების ისტორია აჩვენებს, რომ საზოგადოების კეთილდღეობასა და უსაფრთხოებაზე ზრუნვა ჰოლდინგის იდენტობის ნაწილია. კომპანიაში მიაჩნიათ, რომ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის გაძლიერებით, საკუთარი წვლილი შეაქვთ ქვეყნის მდგრად განვითარებაში, რაც ჰოლდინგის საქმიანობის წარმატებისა და უკეთესი მომავლის პირდაპირპროპორციულია. „თეგეტა“ ინტენსიურად მუშაობს დადებითი ზეგავლენების გასაზრდელად და საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების დასაძლევად. კომპანიის ინიციატივები აერთიანებს როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სოციალური საწარმოების პირდაპირ მხარდაჭერასა და ერთობლივ პროექტებს, ისე საზოგადოებისა და სხვადასხვა სექტორის ჩართულობის გაზრდას სასიკეთო ცვლილებების ერთობლივად მისაღწევად. ამ იდეით 2022 წელს „თეგეტამ“ მასშტაბური კამპანია დაიწყო, რომლის ფარგლებშიც ზრუნვის პლატფორმა tegeta.care. შექმნა. ვებგვერდი იმ ორგანიზაციებსა თუ პროექტებს მოიცავს, რომლებიც მწვავე პრობლემების მოგვარებაზე ზრუნავენ. **50-ზე მეტი პარტნიორი ორგანიზაცია, 50-ზე მეტი ერთობლივი აქტივობა და საზოგადოების სასიკეთო ცვლილებებისთვის გაცემული 280,000 ლარზე მეტი - 2022-2023 წლებში „თეგეტასა“ და საზოგადოების ჩართულობით მიღწეული შედეგებია. თანამოქალაქეებზე ზრუნვის პროექტები ძირითადად სწორედ Tegeta.care-ის პარტნიორებთან თანამშრომლობითა და ამ პლატფორმის საშუალებით განხორციელდა.**

2022-2023 წლებში, საზოგადოებასა და გარემოზე ზრუნვის მიმართულებით „თეგეტამ“ დაახლოებით 70-ზე მეტი მსხვილი თუ მცირე პროექტი განახორციელა, პირდაპირი კომუნიკაციის გზით მისწვდა 2500-ზე მეტ ადამიანს ცოდნის გადაცემის, მხარდაჭერისა თუ სხვა გზით.

საზოგადოებასა და გარემოზე ზრუნვის კუთხით ამ ორი წლის განმავლობაში ჰოლდინგმა შემდეგ პრიორიტეტულ საკითხებზე იმუშავა:

- ზრუნვის პროექტები ადამიანთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებლად;
- განათლების წახალისება;
- გენდერული თანასწორობა;
- გარემოს დაცვა.

6.1. ასოციაციების წევრობა და ჯილდოები

ბიზნესის მდგრადი განვითარების, ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილებების გაზიარებისა და გაეროს გლობალური მიზნების პრინციპების შესაბამისად მართვის მიზნით, „თეგეტა“ სხვადასხვა ასოციაციის წევრია.

2009 წლიდან „თეგეტა“ საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი ბიზნესმენთა გაერთიანების „საქართველოს ბიზნეს ასოციაციის“ (BAG) წევრია. ორგანიზაციის მთავარი დანიშნულებაა წევრი კომპანიების ლეგიტიმური და ობიექტური ბიზნესინტერესების წარდგენა და დაცვა.

WOMEN'S EMPOWERMENT PRINCIPLES

გაეროს ქალთა გაძლიერების პრინციპები (WEPs) - 2019 წლიდან „თეგეტა“ გაეროს ქალთა გაძლიერების პრინციპების ხელმომწერია. WEPs დაფუძნებულია გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) და გაეროს გლობალური შეთანხმების ოფისის მიერ. ის შვიდ ძირითად პრინციპს ეფუძნება და ერთგვარი გზამკვლევია კომპანიებისა და ორგანიზაციებისთვის სამუშაო ადგილებსა და საზოგადოებაში ქალების გასაძლიერებლად.

2019 წლიდან „თეგეტა“ „ევროპული ბიზნეს ასოციაციის“ (EBA) წევრია. „ევროპული ბიზნეს ასოციაცია“ წევრებზე ორიენტირებული ორგანიზაციაა, რომელიც გულისხმობს საქართველოსა და ევროპას შორის ვაჭრობისა და ინვესტიციების განვითარების ხელშეწყობას. ასოციაციის მიზანი ევროპული ბიზნესის ადვოკატირება საქართველოში და საქართველოსა და ევროპას შორის ვაჭრობისა და ინვესტიციების განვითარების ხელშეწყობაა.

„გაეროს გლობალური შეთანხმების“ საქართველოს ქსელს (UN Global Compact Network Georgia) ჰოლდინგი 2021 წლიდან შეუერთდა. გაეროს გლობალური შეთანხმება წარმოადენს მსოფლიოში ყველაზე დიდ კორპორაციულ ინიციატივას, რომელიც წევრ ორგანიზაციებს მოუწოდებს მაღალი პასუხისმგებლობით აწარმოონ თავიანთი საქმიანობა და დაიცვან ათი გლობალური ძირითადი პრინციპი ადამიანის უფლებების, შრომის უფლებების, გარემოს დაცვისა და კორუფციასთან ბრძოლის სფეროში.

საქართველოს პრო ბონო ქსელის წევრი

2022-დან „თეგეტა“ საქართველოს პრო ბონო ქსელის წევრია. “საქართველოს პრო ბონო ქსელი” “საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის” ინიციატივით შექმნილი არაფორმალური გაერთიანებაა, სადაც გაწევრიანებულ კომპანიები გამოთქვამენ მზაობას, მხარი დაუჭირონ და გააძლიერონ სამოქალაქო ორგანიზაციები საკუთარი ექსპერტიზისა და პროფესიული რესურსების გაზიარებით.

2022 წლიდან „თეგეტა“ ჰოლდინგი „ამერიკის სავაჭრო პალატას“ (AmCham) შეუერთდა. „ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოში“ არის უმსხვილესი საერთაშორისო ბიზნეს პალატა 230-ზე მეტი წევრი კომპანიით. AmCham-ის მთავარი მიზანია აშშ-საქართველოს კავშირების ხელშეწყობა, საქართველოში ბიზნესგარემოს გაუმჯობესება, ქართველ და საერთაშორისო ინვესტორებს შორის კავშირების დამყარება ბიზნესისა და მთავრობის მხარდაჭერით.

ჯილდოები

2023 წელი გამორჩეული იყო „თეგეტა ჰოლდინგისთვის“ მდგრადობასთან დაკავშირებული ჯილდოების მოპოვების კუთხით:

„საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსი Meliora 2023“: თეგეტამ CSR ჯილდო მწვანე ინიციატივების პროექტით „თეგეტა გარემოსთვის“ მოიპოვა.

გაეროს გლობალური შეთანხმების ქსელის მიერ ორგანიზებული „კორპორაციული მდგრადობის კონკურსი 2023“: „თეგეტა“საერთაშორისო ჟიურის რჩეული გახდა ექვსი კატეგორიიდან ნომინაციებში:

- პროექტი „თეგეტა გარემოსთვის“ – SDG 12-ში „მდგრადი მოხმარება და წარმოება“ შეტანილი წვლილისთვის
- პროექტი „თეგეტა სოციალური საწარმოებისთვის“ – SDG 8-ში „ღირსეული დასაქმება და ეკონომიკური ზრდა“ შეტანილი წვლილისთვის

კომუნიკაცია CSR-ის და ESG თემებზე

საზოგადოებასთან, მომხმარებლებთან, თანამშრომლებთან და პარტნიორებთან კომუნიკაცია „თეგეტასათვის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. ნდობასა და გამჭვირვალობაზე დაფუძნებული ურთიერთობების კიდევ უფრო გასამყარებლად ჰოლდინგი თავს ანგარიშვალდებულებად მიიჩნევს პარტნიორებსა და დაინტერესებულ პირებს CSR პროექტებსა და კომპანიის პასუხისმგებლიან ინიციატივებზე სრული ინფორმაცია რეგულარულად მიაწოდოს.

CSR თემებზე სასაუბროდ „თეგეტა“ აქტიურად იყენებს შიდა და გარე საკომუნიკაციო არხებს. სხვადასხვა მხარდამჭერ თუ საქველმოქმედო ღონისძიებებში ჩართვისა და საზოგადოების სასიკეთოდ ინიცირებული პროექტების პირველი მოხალისეები ხშირად „თეგეტელები'' არიან. ამჟამად ჰოლდინგში 3000-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული. სიახლეებსა თუ გეგმებზე პირველად ინფორმაციას სწორედ ისინი იღებენ.

მეორე მხრივ, პროექტების შესახებ ინფორმაციის ფართო გავრცელებისათვის, ჰოლდინგი გარე არხების იყენებს, მათ შორის არის ტელევიზია, ონლაინ მედია და სოციალური ქსელები.

შიდა საკომუნიკაციო არხები	გარე საკომუნიკაციო არხები
ინტერნეტი	ტელევიზიები
შიდა სოციალური ქსელები	ონლაინ სააგენტოები
ელ.ფოსტა	სოციალური ქსელები

CSR/ESG თემების გაშუქება ციფრებში



6.2. საზოგადოების მხარდაჭერის პროექტები

ადგილობრივი თემის გაძლიერება და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ხელშეწყობა „თეგეტა ჰოლდინგის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, რომელიც კომპანიის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგიით არის განსაზღვრული.

6.2.1 Tegeta.care

მისია და მიზნები:

2022 წლიდან „თეგეტა“ ზრუნვის მასშტაბურ კამპანიას ახორციელებს და მისი მიზანი საზოგადოების მხარდამჭერი პროექტების გარშემო ადამიანების გაერთიანებაა. სწორედ ამ იდეით შეიქმნა ზრუნვის პლატფორმა - tegeta.care.

Tegeta.care - უნიკალური შესაძლებლობაა „თეგეტასთვის“ და საზოგადოებასა და გარემოზე მზრუნველი ადამიანებისთვის, სასიკეთო ცვლილებებისთვის გაერთიანდნენ. ეს არის დონაციის პლატფორმა, რომელიც სხვადასხვა სოციალურ და გარემოსდაცვით საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციებს, საქველმოქმედო ფონდებს, სოციალურ საწარმოებსა და პროექტებს წარმოაჩენს. ვებგვერდის საშუალებით, „თეგეტა“ ნებისმიერ მსურველს აძლევს საშუალებას, თავადაც შეიტანოს წვლილი იმ ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესებაში, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება.

დაგეგმვა:

საჭიროება მსგავსი ვებგვერდის შესაქმნელად ჯერ კიდევ 2022 წელს, „თეგეტას“ ზრუნვის კამპანიის დაწყებამდე დადგინდა. საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან კონსულტაციით გამოიკვეთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ძირითადი გამოწვევები და პრობლემები. აღმოჩნდა, რომ საზოგადოებას არ ჰქონდა ინფორმაცია, სად უნდა ეპოვა შესაბამისი სივრცე სხვებისთვის დახმარების გასაწევად, მეორე მხრივ კი, არ იყო დარწმუნებული ამა თუ იმ ორგანიზაციის სანდოობაში.

სწორედ ამ გამოწვევის დასაძლევად, „თეგეტამ“ შექმნა დონაციის პლატფორმა, რომელიც დღეს უკვე 50-ზე მეტ ორგანიზაციას აერთიანებს. ისინი ძირითადად ისეთი მწვავე საკითხების მოგვარებაზე ზრუნავენ, როგორიცაა განათლების ხელმისაწვდომობა, ბავშვთა ჯანმრთელობის პრობლემები, ქალებისა და ახალგაზრდების ეკონომიკური პრობლემები, გარემოს დაბინძურება და სხვ.

მონაწილე პროექტები/იდეები:

დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის ვებგვერდზე რეგისტრაცია ძალიან მარტივია. პარტნიორებს და ორგანიზაციებს „თეგეტა” წინასწარი მოკვლევის საფუძველზე ამატებს. მთავარია პარტნიორი ორგანიზაცია ღირებულებებითა და საქმიანობით პროექტის მიზნებს ემსახურებოდეს.

გარდა იმისა, რომ ადამიანები პირდაპირ ახერხებენ ორგანიზაციიების მხარდაჭერას, „თეგეტა“ დამატებით პლატფორმაზე წარმოდგენილ ორგანიზაციებთან გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა სახის პროექტებს, რომელიც მიმართულია საზოგადოებრივი თემის გაძლიერებისკენ. ამ ორგანიზაციების კიდევ ერთი გამოწვევა მათ შესახებ ცნობადობის ნაკლებობაა. Tegeta.care ფინანსური რესურსის მობილიზების გარდა, ერთგვარი მედიაპლატფორმაა ორგანიზაციებისთვის, რომელიც მათ საინფორმაციო მხარდაჭერას ემსახურება.

ორიწ წლის განმავლობაში „თეგეტამ“, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, საქართველოს მასშტაბით 50-ზე მეტი პროექტი განახორციელა განათლების წახალისების, ქალთა გაძლიერების, ახალგაზრდების მხარდაჭერის, საზოგადოებრივი თემის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და გარემოსდაცვით საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით.

ორგანიზაციების რაოდენობა ვებგვერდზე



თეგეტას მხარდაჭერით განხორციელებული პროექტების რაოდენობა



ვებგვერდზე შეხვდებით:

- სოციალურ საწარმოებს;
- შშმ პირთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებს;
- საქველმოქმედო ფონდებს;
- ხანდაზმულების, ქალების, ბავშვების მხარდამჭერ ორგანიზაციებს;
- გარემოსდაცვით ორგანიზაციებს;
- მიუსაფარი ცხოველების უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებს;
- საგანმანათლებლო პროექტებს;
- გოგონათა საფეხბურთო კლუბებს;
- ჰუმანიტარულ ფონდებსა და სხვ.

ვებგვერდზე ორგანიზაციების რაოდენობა მუდმივად მზარდი და განახლებადია.

მხარდაჭერა პლატფორმის საშუალებით:



ორი წლის მანძილზე პროექტს 300-ზე მეტი დონორი ჰყავდა, რის საფუძველზეც 130 000 ლარზე მეტი თანხა შეგროვდა. მხოლოდ დონაციის სახით „თეგეტამ“ 100,000 ლარზე მეტი გადარიცხა უკრაინის მხარდასაჭერად.

„თეგეტას“ ინდივიდუალური პარტნიორობებით პლატფორმის ბენეფიციარებთან თანხის ოდენობა ჯამში 150,000 ლარამდეა. ეს არის მხოლოდ ჰოლდინგის ხარჯი, დამატებით შვილობილების ინდივიდუალური პარტნიორობების გამოკლებით.

სამომავლო გეგმები:

„თეგეტა“ პლატფორმისა და პროექტის განვითარების ახალ გეგმაზე მუშაობს. პარტნიორებსა და საზოგადოებას კომპანია ახალი ფორმატის ვებგვერდს შესთავაზებს, სადაც ორგანიზაციების კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებული პროექტები იქნება წარმოდგენილი, შემოწირულობები კი იქნება ხილული. მიმდინარეობს მუშაობა სანდოობის მეტად გასაზრდელად და მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად.



მიღწეული შედეგები:

ცოდნა აიმაღლა 100-მდე სოციალურმა მეწარმემ, 30-ზე მეტი სასოფლო ბიბლიოთეკა შეივსო წიგნებით და 300-ზე მეტი მოზარდი ჩაერთო განათლების წახალისების პროცესში, 40-მდე ქალი პროფესიულად განვითარდა, 900-ზე მეტმა ბავშვმა და მოხუცმა მიიღო საახალწლოდ სასურველი საჩუქარი, 200-ზე მეტ მიუსაფარ ცხოველს ჩაუტარდა ჯანმრთელობისთვის აუცილებელი პროცედურები, გაძლიერდნენ ახალგაზრდა სპორტსმენები, მათ შორის ქალი ფეხბურთელები. განხორციელდა კიდევ მრავალი პროექტი მათთვის, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება.

280 000 ლარი
მობილიზებული Tegeta.care-ის პარტნიორებისთვის

100- მდე სოციალურ მეწარმეს ცოდნა აუმაღლდა

300-ზე მეტი მოზარდი განათლების წახალისების პროცესში ჩაერთო

40-მდე ქალი პროფესიულად განვითარდა

900-ზე მეტ ბავშვსა და მოხუცს საახალწლო სურვილები აუსრულდათ

200-ზე მეტ მიუსაფარ ცხოველს აუცილებელი პროცედურები ჩაუტარდა

ინიციატივები, რომლებიც Tegeta.care-ის პარტნიორებისთვის „თეგეტამ“ განახორციელა.

ზრუნვა ბავშვებზე:

პირველი ნაბიჯი საქართველო

„თეგეტას“ შვილობილი კომპანია Tegeta Truck & Bus მესამე წელია არასამთავრობო ორგანიზაციის „პირველი ნაბიჯი საქართველოს“ მხარდამჭერია. მთელი წლის განმავლობაში კომპანია ორგანიზაციის ორი მიკროავტობუსის სერვისს სრულად უსასყიდლოდ უზრუნველყოფს.

„პირველი ნაბიჯი” 23 წელზე მეტია ფუნქციონირებს და ყოველთვიურად 900-ზე მეტ ბავშვს უწევს დახმარებას. ცენტრი მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების, ასევე ქცევის მნიშვნელოვანი აშლილობით გამოხატული სხვა გონებრივი ჩამორჩენის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებსა და მოზარდებს და მათ მშობლებს ემსახურება. „თეგეტას“ მხარდაჭერით ორგანიზაცია განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბენეფიციარების გადაადგილებას უზრუნველყოფს.

ზრუნვა ხანდაზმულებზე:

თბილისის უფასო მაღაზიასთან თანამშრომლობა

„თეგეტა ჰოლდინგი“ თბილისის უფასო მაღაზიის პარტნიორი გახდა. თბილისის უფასო მაღაზიაში, იგივე „მწვანე ფურგონში“ კვირის ნებისმიერ დროს შესაძლებელია საკვები პროდუქტის, ან ნებისმიერი საჭირო ნივთის დატოვება მათთვის, ვინც დახმარებას ითხოვს. თანამშრომლობის ფარგლებში, ჰოლდინგი საქველმოქმედო ორგანიზაციას ექვსი თვის მანძილზე ფინანსურად უჭერდა მხარს ხამდაზმულებზე ზრუნვის მიზნით.

ზრუნვა მიუსაფარ ცხოველებზე:

კატებზე ზრუნვის ზამთარი

ზამთარში კატები ავტომობილის გახურებულ ძრავსა და საბურავებში იმალებიან, რომ ასე გადაურჩნენ სუსხსა და სიცივეს. ავტომობილის მძღოლების უმეტესობამ კი შესაძლოა უნებლიეთ ცხოველები დააზიანოს. სწორედ ამ პრობლემის გადასაჭრელად, „თეგეტამ“ “Animal Project”-თან ერთად ცნობიერების ასამაღლებელი კამპანია „კატებზე ზრუნვის ზამთარი“ წამოიწყო.

ავტომფლობელებს ჰოლდინგის ფილიალებში დაურიგდათ საინფორმაციო ფლაერები და სტიკერები. რჩევების შესახებ პოსტები განთავსდა სოციალურ ქსელშიც.

პროექტი მოიცავდა:

1. ცნობიერების ასამაღლებელ კამპანიას, რომელიც ზამთრის სიცივის დროს მანქანებში შეფარებული კატების გადარჩენას და მათზე ზრუნვას გულისხმობდა.
2. უსახლკარო კატების სტერილიზაციას და მათთვის სახლების, ზრუნვის წერტილების მოწყობას.

ცნობიერების ამაღლება:

ზამთარში კატები ავტომობილის გახურებულ ძრავსა და საბურავებში იმალებიან, რომ ასე გადაურჩნენ სუსხსა და სიცივეს. ავტომობილის მძღოლების უმეტესობამ კი შესაძლოა უნებლიეთ ცხოველები დააზიანოს. სწორედ ამ პრობლემის გადასაჭრელად, „თეგეტამ“ “Animal Project”-თან ერთად ცნობიერების ასამაღლებელი კამპანია „კატებზე ზრუნვის ზამთარი“ წამოიწყო.

ავტომფლობელებს ჰოლდინგის ფილიალებში დაურიგდათ საინფორმაციო ფლაერები და სტიკერები. რჩევების შესახებ პოსტები განთავსდა სოციალურ ქსელშიც.

სტერილიზაციის პროექტი:

პროექტის ფარგლებში თბილისსა და რამდენიმე ქალაქში 300-ზე მეტ მიუსაფარ კატას სტერილიზაცია ჩაუტარდა.

გამოყოფილი რესურსი:

კამპანიის ჯამური ბიუჯეტი შეადგენდა საშუალოდ 20,000 ლარს. გამოიყო ადამიანური რესურსებიც, როგორიცაა: ცხოველთა პროექტის მოხალისეები და გუნდის წევრები, „თეგეტას“ თანამშრომლები, ვეტერინარები, კატების ტრანსპორტირება/მძღოლები, წარმოების გუნდი.

300 კატისთვის ჩატარდა სტერილიზაცია

20 სახლი მიუსაფარ ცხოველებს თბილისში

100 000 ადამიანს მიეწოდა ინფორმაცია მიუსაფარი ცხოველებზე

შეფასება:

კამპანია წარმატებული აღმოჩნდა Animal Project-ისთვისაც. ორგანიზაციას მალევე გამოეხმაურნენ სხვა ბიზნესკომპანიები, რომლებმაც ერთობლივი აქტივობები დაგეგმეს ცხოველთა დაცვის მიმართულებით.

შედეგები:

პროექტის შედეგად ინფორმაცია მიიღო 100,000-ზე მეტმა ადამიანმა მედიისა და სოც.მედიის საშუალებით, სტერილიზაცია და კასტრაცია ჩაუტარდა 300-მდე კატას თბილისში, მარნეულში, ბოლნისში, ქუთაისსა და გორში. დედაქალაქის მასშტაბით კატებისათვის 20-მდე სახლი მოეწყო იმ ადგილებში, სადაც ისინი ყველაზე დიდი რაოდენობით იყრიან თავს.

კომპანია დაუმეგობრდა ცხოველების დამცველ ორგანიზაცია „Peteasy”-ის, რომელიც „თეგეტას“ დონაციის პლატფორმა tegeta.care-ზეა წარმოდგენილი, როგორც ერთ-ერთი ბენეფიციარი. ჰოლდინგის ჩართულობით, Peteasy-ისთვის შეიქმნა საიმიჯო ვიდეორგოლი და განხორციელდა კატების გაჩუქების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. აღნიშნული თანამშრომლობის შედეგად, გაჩუქდა ორი კატა და სამი ძაღლი.

ზრუნვა თავისუფლებაზე:

„თეგეტა“ უკრაინისთვის

„თეგეტა ჰოლდინგი“ მეგობარი უკრაინელების გვერდით ომის დაწყების პირველივე დღეებიდან დადგა. კომპანიის CSR პლატფორმაზე tegeta.care შეიქმნა სექცია – იზრუნე თავისუფლებაზე. ფონდში შესული თანხა კი უკრაინის ეროვნული ბანკის ოფიციალურ ანგარიშზე გადაირიცხა.

ჰოლდინგმა ომით დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად 100 000 ლარი თავად გამოყო. საგანგებოდ გახსნილ ანგარიშზე სასურველი თანხის ჩარიცხვა კომპანიის თანამშრომლებისა და მომხმარებლის გარდა, ნებისმიერ მსურველს შეეძლო. უკრაინელი ხალხის დასახმარებლად „თეგეტამ“ დამატებით 20 000 ლარი გადარიცხა ტელემარათონში - „ნანუკას ფონდი უკრაინისთვის“.

მარიუპოლის მკვიდრმა, რომელიც ოჯახის გადასარჩენად საქართველოში წამოვიდა, მეუღლესთან და შვილებთან ერთად დაბომბილი ავტომობილით გამოიარა 1600 კილომეტრი. მშვიდობის ძიებაში, ოჯახისთვის გადარჩენის სიმბოლოდ ქცეული ავტომობილის აღდგენაზე „თეგეტა მოტორსის“ გუნდმა იზრუნა.

100 000 ლარი შემოწირულობა

20 000 ლარი შემოწირულობა ბენზემარათონში

30 000 ლარი მანქანის მომსახურება

ფინანსური კონტრიბუციის გარდა, „თეგეტამ“ თავისუფლებისათვის მებრძოლი უკრაინელების სოლიდარობისთვის სხვადასხვა აქტივობა განახორციელა. კომპანიის ყველა ფილიალში უკრაინის ეროვნული დროშა განთავსდა. მხარდამჭერი სტიკერები და ინფორმაცია უკრაინის თავისუფლებისთვის შექმნილი ფონდის შესახებ სერვისცენტრებში მისულ ყველა მომხმარებელს გადაეცა.

ჰოლდინგმა უკრაინელი ლტოლვილების დასაქმებაზეც იზრუნა. კომპანიამ მონაწილეობა მიიღო საქართველოში მყოფი უკრაინელების მხარდამჭერ ღონისძიებაში - #მეტიუკრაინისთვის. აქტივობა უკრაინიდან იძულებით გადაადგილებული პირების სოლიდარობასა და სხვადასხვა საშუალებით მათ დახმარებას ისახავდა მიზნად. „თეგეტა ჰოლდინგმა“ უკრაინიდან ჩამოსულ მოქალაქეებს, რომლებსაც ავტოსფეროში მუშაობის გამოცდილება ჰქონდათ, კომპანიაში დასაქმება შესთავაზა. შედეგად, „თეგეტას“ ბათუმის ფილიალში უკრაინის ორი მოქალაქე დასაქმდა.

უკრაინის მოქალაქე იური გავრიუშინი მეუღლესთან და შვილებთან ერთად მარიუპოლიდან თბილისში დაბომბილი ავტომობილით ჩამოვიდა. ომის ცხელი წერტილიდან ჩამოსული ოჯახის ავტომობილი

“თეგეტა მოტორსმა” სრულიად უსასყიდლოდ აღადგინა.

6.2.2 „თეგეტა“ სოციალური საწარმოებისთვის

სოციალური საწარმოები თავისი არსით წარმოადგენენ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების დაძლევის ეფექტურ მექანიზმებს. „თეგეტაში“ მიიჩნევენ, რომ მათი მხარდაჭერით, პრობლემების მოგვარება არა ერთჯერადად, არამედ გრძელვადიან პერსპექტივაშია შესაძლებელი.

დადებითი გავლენის მასშტაბების გასაზრდელად ერთ-ერთ გადაწყვეტად 2023 წელს კომპანიამ სოციალური საწარმოებისა და სათემო ორგანიზაციების თანადგომა დაისახა მიზნად. მხარდაჭერა ასე გამოიხატება:

01
პრო ბონო სერვისები

02
სოციალურ საწარმოთა B2B გამოფენა და პასუხისმგებლიანი შესყიდვები

03
ერთობლივი პროექტები

პრო ბონო სერვისები

„თეგეტამ“ სოციალური საწარმოების გაძლიერების პროცესში თანამშრომლების ჩართულობა მთავარ პრიორიტეტად დაისახა. სწორედ ამიტომ 2023 წელი გამორჩეულია პრო ბონო სერვისების რაოდენობით. ჰოლდინგი 2022 წლიდან „საქართველოს პრო ბონო ქსელის“ წევრია და სამოქალაქო ორგანიზაციებისა და სოციალური საწარმოების მხარდასაჭერად არაერთი აქტივობა განახორციელა.

ორი წლის განმავლობაში „თეგეტას“ 20-მდე თანამშრომლის ჩართულობით, ჯამში 150 საათზე მეტი საკონსულტაციო საათი ჩატარდა. კომპანიის წარმომადგენლებმა თავიანთი ცოდნა და ექსპერტიზა 60-მდე სოციალურ მეწარმესა და 15-მდე ორგანიზაციას გაუზიარა.

2 წელი
20 თანამშრომელი
150 საკონსულტაციო საათი
60 სოციალური მეწარმე
15 ორგანიზაცია

ვიცდად პრო ბონო პროექტებზე იხილეთ თანამშრომლების კეთილდღეობის თავში.

სოციალურ საწარმოთა B2B გამოფენა და პასუხისმგებლიანი შესყიდვები

50-მდე სოციალური საწარმოს მონაწილეობით გამართული B2B გამოფენის ოქროს სპონსორი „თეგეტა გრინ პლანეტი“ იყო. გამოფენა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრისა (CSRDG) და ევროკავშირის მხარდაჭერით გაიმართა. მისი მიზანი სოციალურ საწარმოებსა და ბიზნესსექტორს შორის პარტნიორობის ხელშეწყობა, პასუხისმგებლობიანი შესყიდვების პრაქტიკის დანერგვა და მეტი სოციალური და გარემოსდაცვითი გავლენის უზრუნველყოფა იყო.

B2B გამოფენის შედეგებით „თეგეტა“ მნიშვნელოვანი სოციალური ცვლილებების თანამონაწილე გახდა. გამოფენას დაესწრო 178 ბიზნესწარმომადგენელი, გაიმართა 240-ზე მეტი ბიზნესშეხვედრა სოციალურ საწარმოებთან. უშუალოდ ღონისძიების დღეს საწარმოების მიერ გაყიდული პროდუქციის ჯამურმა ღირებულებამ 13 266 ლარი შეადგინა. ღონისძიების შედეგად კი ბიზნეს სექტორსა და სოც.საწარმოებს შორის არაერთი პარტნიორობა დაიწყო.

თემატურ სოციალურ საწარმოებთან B2B შეხვედრებში ასევე მონაწილეობდნენ „თეგეტას“ შესყიდვების დეპარტამენტის წარმომადგენლები. შედეგად, ჰოლდინგსა და ერთ-ერთ მონაწილე სოციალურ საწარმო Potteria-ს შორის კარგი თანამშრომლობის პრაქტიკა შედგა.

პასუხისმგებლიანი შესყიდვები

სოციალური საწარმოების B2B გამოფენის მხარდაჭერით დაწყებული პარტნიორობა „თეგეტასთვის“ პასუხისმგებლიან შესყიდვებში გადაიზარდა. საახალწლო საჩუქრებზე ფიქრისას ქალების მხარდაჭერა აღმოჩნდა ის იდეა, რომელმაც ჰოლდინგი სოციალურ საწარმო Potteria-სთან კიდევ ერთხელ დაამეგობრა. საწარმოს მიერ დამზადებული ჭიქებით „თეგეტას“ სასაჩუქრე ყუთმა განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა.

„თეგეტას" სოციალური შენაძენი

ქალთა გაძლიერებისათვის

კომპანიამ 2500 -ზე მეტი ადრესატისთვის, Potteria-სგან 70 000 ლარზე მეტი პროდუქცია შეიძინა და ამ შესყიდვით ქალთა გაძლიერებას შეუწყო ხელი.

Potteria უკვე წლებია, ქართული ტრადიციული რეწვის განვითარებასთან ერთად, კანონთან კონფლიქტში მყოფი და ძალადობაგამოვლილი ქალების დასაქმებასა და მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას უწყობს ხელს.

ერთობლივი პროექტები

„თეგეტასა" და სოციალური საწარმოების ერთობლივი პროექტები:

- **„თეგეტა" და „ბაბალე" დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებისთვის**
- **საინფორმაციო კამპანია „ზერო ეფექტთან" ერთად**
- **„ლიდერში" დასაქმებული ქალების პროფესიული განვითარება**

„თეგეტა" და „ბაბალე" დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებისთვის

2023 წლის ბოლოს, „თეგეტა ჰოლდინგმა" და „თეგეტა ბიზნესმა" სოციალურ საწარმო „ბაბალესთან" ერთად, „გიგოს ფონდის" საქველმოქმედო ღონისძიებას უმასპინძლეს. ღონისძიების მიზანი იყო დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების, მოზარდებისა და მათი მშობლების მხარდაჭერა ფონდისთვის, ფინანსური რესურსების მობილიზებით. ღონისძიების სტუმრებს შორის იყვნენ „თეგეტას" პარტნიორები, კორპორაციული მომხმარებლები, საერთაშორისო პარტნიორები, „თეგეტას" თანამშრომლები, „ბაბალეს" მეგობარი კომპანიები და ფონდები.

საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვაზე წარმოდგენილი იყო განსაკუთრებული „ვეფხისტყაოსანი" და წიგნში გამოყენებული ვიზუალებით შექმნილი პროდუქცია. ჰოლდინგისა და „ბაბალეს" თანამშრომლობა სწორედ ამ წიგნის შექმნით 2022 წელს დაიწყო, როცა „ვეფხისტყაოსნის" სრულიად განსხვავებული გამოცემა „ბაბალეს" ახალგაზრდა მხატვრებმა დაასურათეს და „თეგეტამ" პარტნიორებს საახალწლოდ გაუგზავნა. გამოფენა-გაყიდვის კულმინაცია იყო აუქციონი, სადაც პროფესიონალი ხელოვანებისა და „ბაბალეს" მხატვრების მიერ ერთობლივად შექმნილი 16 ნახატი გაიყიდა. ფერწერული ნამუშევრების შექმნაში ჩართულები იყვნენ: რუსუდან ფეტვიაშვილი, ნინო ჩაკვეტაძე, ქეთი მატაბელი, ზურა გომელაური, გია გუგუშვილი, მამუკა ცეცხლაძე, მაია აბაშიძე, ლია შველიძე, ნატო სირბილაძე, კოტე სულაბერიძე, ნინო ჭილაშვილი, ნიკა მაჩაიძე და სხვები.

პროექტი „თეგეტას" ერთ-ერთი მთავარი მიზნით – საზოგადოებაზე ზრუნვის მოტივით განხორციელდა; გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი დაუნის სინდრომთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებისა და ინკლუზიური გარემოს შექმნისკენ.

კომპანიის მხარდაჭერა:

- ღონისძიებაზე შეგროვდა 20 000 ლარზე მეტი
- ღონისძიების ორგანიზებისა და კომუნიკაციისთვის დაიხარჯა 60.000 ლარამდე
- ღონისძიებაში „თეგეტას" 100-მდე თანამშრომელი და პარტნიორი ჩაერთო, რომლებმაც თავისი წვლილი შეიტანეს ქველმოქმედებაში

თანამშრომლობა „გიგოს ფონდთან“:

„გიგოს ფონდი“ - სოციალური საწარმოს „ბაბალესა“ და დაუნის სინდრომის ასოციაციის მიერ დაარსებული ფონდია, რომლის მთავარი მიზანია უზრუნველყოს დაუნის სინდრომის მქონე პირთა ჯანმრთელობის დაცვა და განვითარების დროული მხარდაჭერა.

ღონისძიებაზე შეგროვებული თანხა დაუნის სინდრომის მქონე ახალგაზრდების გადაუდებელ საჭიროებებს მოხმარდა. ღონისძიების დასრულებიდან მალევე „გიგოს ფონდმა“ ამავე გამოფენაზე აკუმულირებული 13,681.60 ლარი (5,030.00$) თურქეთში, ანკარას ლივ ჰოსპიტალში გადარიცხა. თანხა დაუნის სინდრომის მქონე ორი წლის სალომესთვის ტრაქეის ბალონოირების ორ ოპერაციას მოხმარდა. შედეგად, პროცედურების დაფინანსებით ტრაქეოსტომა მოიხსნა და სალომე სრულად გამოჯანმრთელდა.

სოციალურმა საწარმომ ღონისძიებისთვის შექმნილი ნახატებიდან, ახალი პროდუქციაც კი შექმნა, რომლის გაყიდვიდან შემოსული თანხები, ამჟამად პირდაპირ „გიგოს ფონდში“ ირიცხება.

დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე

„თეგეტა“ „ბაბალეს“ გრძელვადიანი პარტნიორია. ჰოლდინგში დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე ყოველწლიურად აღინიშნება. 2022 წლიდან, ყოველ 21 მარტს, „თეგეტას“ თანამშრომლებისთვის „ბაბალეს“ პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა იმართება. თანამშრომლებს აქვთ შესაძლებლობა, ნივთების შეძენით წვლილი შეიტანონ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების უკეთესი მომავლის შექმნაში.



საინფორმაციო კამპანია „ზერო ეფექტთან“ ერთად

გარემოზე ზრუნვის იდეით, სოციალურ საწარმო „ზერო ეფექტთან“ ერთად, ჰოლდინგის თანამშრომლებისთვის წამახალისებელი საინფორმაციო კამპანია ჩატარდა. კამპანიის მიზანი გარემოსდაცვით საკითხებზე თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება და ეკომეგობრული ჩვევების გამომუშავება იყო, რომელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში დანერგვით ადამიანებს მცირე წვლილის შეტანა შეუძლიათ გარემოზე ზრუნვაში.

მომზადდა საინფორმაციო პოსტები ნარჩენებით გამოწვეულ საფრთხეებსა და მათი ეფექტურად მართვის წესებზე, პლასტმასა ნარჩენებით დედამიწის დაბინძურების საკითხებზე, სწრაფი მოდის გამოწვევებზე და სხვ. პოსტებს „თეგეტა ჰოლდინგის“ 2500-ამდე თანამშრომელი გაეცნო, 250-ამდე თანამშრომელი კი სპეციალურად მომზადებულ ქვიზში ჩაერთო. გამარჯვებულები „ზერო ეფექტის“ ეკო მეგობრული საჩუქრების ნაკრებით დაჯილდოვდნენ, რითიც ჰოლდინგმა ისევ სოციალური საწარმოს შესახებ ცნობიერების ამაღლებას და მათი პროდუქციის პოპულარიზაციას შეუწყო ხელი.

„ლიდერში“ დასაქმებული ქალების პროფესიული განვითარება

გორში მდებარე სოციალური საწარმო „ლიდერი“ 30-მდე ქალს აერთიანებს. საწარმო სოციალურად დაუცველ, დევნილ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს ჭრა-კერვის შესწავლასა და შემდგომ დასაქმებაში ეხმარება.

პარტნიორობის ფარგლებში „თეგეტამ“ „ლიდერის“ ბენეფიციარებს პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელი, მათ საჭიროებებზე მორგებული კურსი შესთავაზა. „თეგეტა აკადემიის“ ტრენერებმა ქალებს „ეფექტური მომსახურების“ ტრენინგი ჩაუტარეს, რომელიც მათ სერვისის გამართვასა და მომხმარებელთან სწორ კომუნიკაციაში დაეხმარებათ.

პროფესიული განვითარების პროგრამა 30-მა ქალმა გაიარა. სამკერვალო „ლიდერი“ ასევე წარმოდგენილია პლატფორმაზე Tegeta.Care შეგროვებული თანხით საწარმომ ბენეფიციარებისთვის საკერავი მანქანები შეიძინა.



საგანმანათლებლო კურსი სოციალური საწარმოებისთვის

„თეგეტას“ თანამშრომლებმა შეიმუშავეს ორთვიანი სასწავლო პროგრამა სოციალურ მედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯმენტში და კორპორაციული მოხალისეობით 50-მდე სოციალურ მეწარმეს ცოდნა გაუზიარეს. პროექტი „სოციალურ საწარმოთა ალიანსის“ წევრი ორგანიზაციებისთვის დაიგეგმა და მისი მიზანი მეწარმეების ცოდნისა და უნარების გაუმჯობესება იყო, შემდგომში თავიანთი საქმიანობის ეფექტურად სამართავად.

ექსპრესკურსების თემები წინასწარი გამოკითხვის საფუძველზე, სოციალური მეწარმეების საჭიროებებიდან გამომდინარე შეირჩა. მსგავსი პროექტები ხელს უწყობს სოციალური საწარმოების გაძლიერებას, განვითარებასა და მომხმარებლების რაოდენობის გაზრდას. ეს, თავის მხრივ, გარემოსა თუ საზოგადოებაზე უფრო მეტ დადებით სოციალურ გავლენას ნიშნავს.

6.2.3 ზრუნვის კედელი

უკვე მესამე წელია „თეგეტას“ თანამშრომლები ზრუნვის კედლის გარშემო ერთიანდებიან და ხანდაზმულებისა და ბავშვების სურვილების ასრულებაზე ზრუნავენ. ნაძვის ხე, წიგნი, ახალი ქურთუკი, სათამაშოები — ეს იმ სურვილების მცირე ჩამონათვალია, რომლებიც, ასრულების შემთხვევაში, წერილების ავტორებს დღესასწაულის ჯადოსნურობის რწმენას უჩენს და მოახლოებული ახალი წლის სიხარულით ავსებს.

ახალ წლამდე Tegeta.care-ის პარტნიორი 15-მდე ორგანიზაციისგან „თეგეტა“ აგროვებს საახალწლო სურვილებს. ეს ორგანიზაციები ზრუნავენ სოციალურად დაუცველ, მზრუნველობამოკლებულ, ონკოლოგიური დაავადებებითა და უკურნებელი სენით დაავადებულ ბავშვებზე, მარტო დარჩენილ და მძიმე დაავადებების მქონე ხანდაზმულებზე. წერილები “ზრუნვის კედელზე” თავსდება, რომლებსაც „თეგეტას“ თანამშრომლები ინაწილებენ და გუნდურად ან ინდივიდუალურად ადრესატს საჩუქრებს უგზავნიან

პროექტი სამი წლის განმავლობაში უკვე 900-მდე ასრულებულ სურვილსა და 1000-ზე მეტ მზრუნველ თანამშრომელს ითვლის. საახალწლო საჩუქრების ადრესატებთან მიტანას, „თეგეტა“ თავად უზრუნველყოფს.



6.2.4 გენდერული თანასწორობა

გენდერულად თანასწორი სამუშაო გარემოს შექმნა ის მნიშვნელოვანი ღირებულებაა, რომელიც "თეგეტას" კორპორაციული კულტურის განუყოფელი ნაწილია. კომპანიაში 70 %-ს მამაკაცები შეადგენენ. შესაბამისად, კომპანიისათვის მნიშვნელოვანია, თანასწორი სამუშაო გარემოს შექმნა. ამასთან ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის მნიშვნელობაზე, კაცებისა და ქალების პროფესიების შესახებ გენდერული სტერეოტიპების მსხვრევა და ქალთა გაძლიერებით თანასწორი, მრავალფეროვანი გარემოს შექმნაა.

ქალთა გაძლიერებას არსებითი მნიშვნელობა აქვს მდგრადი განვითარების მისაღწევად და სიღარიბის აღმოსაფხვრელად. ძლიერი ქალები ხელს უწყობენ ოჯახებისა და თემების კეთილდღეობას, ასევე, შემდეგი თაობის სამომავლო პერსპექტივების გაუმჯობესებას. „თეგეტასთვის" ქალთა გაძლიერება ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია.

კომპანია მხარს უჭერს თანამშრომელ ქალთა გაძლიერებას. „თეგეტა" ნერგავს სხვადასხვა პოლიტიკას, რომლებიც, ერთი მხრივ, მასში დასაქმებულ ქალებს საშუალებას აძლევს მათთვის დაბალანსებულ გარემოში იგრძნონ თავი, ხოლო, მეორე მხრივ, კომპანიაში იზიდავს ქალ პროფესიონალებს. ამ კუთხით მნიშვნელოვანი ინიციატივები თანამშრომელთა კეთილდღეობის თავშია ასახული.

„თეგეტა" ასევე მხარს უჭერს პროექტებს, რომლებიც გენდერული თანასწორობის მიღწევას საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტში ცდილობს.

ქალ რალისტთა მხარდაჭერა

უკვე წლებია, „თეგეტა მოტორსი" ოფროუდით დაინტერესებულ ქალებს Rally Adventure Georgia-ს შეჯიბრზე მხარს უჭერს და ერთ-ერთი ქალთა ეკიპაჟის N52-ის სპონსორია.

Rally Adventure Georgia ყველაზე მასშტაბური საავტომობილო შეჯიბრებაა, რომელიც უგზოობის პირობებში იმართება. ქალების მონაწილეობა სათავგადასავლო რალიში ღონისძიების კონცეფციის ნაწილია. შეჯიბრების მიზანია, დაამსხვრიოს სტერეოტიპი და საზოგადოებას აჩვენოს, რომ უგზოობის პირობებში ავტომობილის მართვა ქალების გატაცებაც შეიძლება იყოს და რომ ამ რთულ მისიას ქალები საუკეთესოდ ართმევენ თავს.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ქალი მრბოლელები. ერთი კვირის განმავლობაში მათ მთელი საქართველოს მასშტაბით 1500 კილომეტრის დაფარვა უწევთ.

სათავგადასავლო რალიში, 2023 წელს მაო გოშაძის თაოსნობით მოასპარეზე ეკიპაჟმა მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა. მათი ავტომობილის ტექნიკურად გამართვასა და რალისათვის შესაბამის აღჭურვილობაზე „თეგეტა მოტორსი" მესამე წელია ზრუნავს.

„თეგეტა" ქალთა ფეხბურთის მხარდასაჭერად



ქალთა ფეხბურთი ერთ-ერთია იმ მრავალ სფეროს შორის, სადაც ქალებს უამრავი გენდერული ბარიერის გადალახვა უწევთ.

ამ სტერეოტიპის დაძლევისა და ფეხბურთით ქალების დაინტერესების მიზნით შეიქმნა ქალთა საფეხბურთო კლუბი „კვარტალი". კლუბი 2016 წელს ჩამოყალიბდა, თუმცა განვითარების შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად, სჭირდება ფინანსური რესურსი და იმ ადამიანების თანადგომა, რომლებსაც სჯერათ, რომ ქალთა ფეხბურთს საქართველოში დიდი მომავალი აქვს.

ამ მიზნით „თეგეტამ" ორ ფეხბურთელს, რომლებიც ამ სფეროში პროფესიონალურად გაზრდას გეგმავენ, ერთწლიანი სტიპენდია დაუნიშნა. tegeta.care-ის საშუალებით კი ნებისმიერ კერძო პირსა თუ ორგანიზაციას შესაძლებლობა მისცა, წვლილი შეიტანოს თანასწორი და მრავალფეროვანი გარემოს შექმნაში და გახდეს გოგონათა საფეხბურთო კლუბის მხარდამჭერი.

სტიპენდიის გარდა, „თეგეტა ჰოლდინგი" და შვილობილი კომპანია Toyota Center Tegeta ერთად მუშაობენ, ერთად მუშაობენ მთელი გუნდის გასაძლიერებლად, ეხმარებიან მათ შესაბამისი აღჭურვილობის შეძენასა და საქალაქთაშორისო ტურნირებისათვის ტრანსპორტის უზრუნველყოფაში. „თეგეტა" „კვარტალის" მხარდაჭერას სამომავლოდაც გეგმავს.

„ქალები, რომლებიც არ არსებობენ“

პროექტი “ქალები, რომლებიც არ არსებობენ” გაეროს ქალთა ორგანიზაციის ინიციატივით განხორციელდა და მისი მიზანი იმ გენდერული სტერეოტიპების შესახებ ცნობიერების ამაღლება იყო, რომლებსაც საქართველოში ქალები პროფესიის არჩევისას აწყდებიან. კამპანიის იდეისა და შესრულების ავტორი კრეატიული სააგენტო Watergunz იყო, „თეგეტას“ შვილობილი კომპანია Toyota Center Tegeta კი კამპანიის მხარდამჭერი.

კამპანიამ კრეატივის საერთაშორისო ფესტივალზე Ad Black Sea-ზე ორი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს ჯილდო მიიღო.

კამპანია იმ ქალებს ეძღვნებოდათ, რომლებმაც პროფესიულ ოცნებაზე უარი თქვეს. თბილისის ქუჩებში განთავსებული საინფორმაციო დაფები საზოგადოებას სიმბოლურად იმ არარსებული ქალების შესახებ ახსენებდა, რომელთა პროფესიული ოცნებებიც, გავრცელებული სტერეოტიპების გამო, ვერ ასრულდა. კამპანია მიზნად ისახავდა, მხარი დაეჭირა ახალგაზრდებისთვის, რომლებიც პროფესიას ახლა ირჩევენ და ამ პროცესში გენდერული სტერეოტიპები უშლით ხელს.

500 ქალი ტექში

„500 ქალი ტექში” პროექტის ფარგლებში, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ ინიცირებულ დასაქმების ფორუმს „თეგეტაც“ შეუერთდა. ჰოლდინგმა სამუშაო ადგილის მაძიებელ გოგონებს ციფრული ტრანსფორმაციის დეპარტამენტში არსებული შესაძლებლობები გააცნო და სტაჟირებასთან ერთად ჯუნიორ პოზიციაზე დასაქმებაც შესთავაზა.

ფორუმის განმავლობაში ჰოლდინგის წარმომადგენლები დაინტერესებულ პირებს გაესაუბრნენ და სხვადასხვა პოზიციაზე ათობით აპლიკაცია მიიღეს.

6.2.5 განათლების წახალისება

განათლების მხარდაჭერა „თეგეტას“ კორპორაციული მდგრადობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. „თეგეტა აკადემია“ სწორედ პროფესიული უნარებისა და განათლების ხელშეწყობის მიზნით დაფუძნებული შვილობილი კომპანიაა. მეორე მხრივ, კომპანია მუდმივადაა ჩართული სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტში. 10-მდე საგანმანათლებლო პროექტსა და ამ თემაზე მომუშავე ორგანიზაციებს საზოგადოება tegeta.care-ს პლატფორმაზეც შეხვდება. „თეგეტა“ აქტიურად მუშაობს მათთან ერთად, სხვადასხვა საგანმანათლებლო გამოწვევის დასაძლევად.

„თეგეტა აკადემია“

შექმნის მიზანი

„თეგეტა აკადემიის“ შექმნის მთავარი მიზანი „თეგეტა ჰოლდინგისთვის“ კადრების მზარდი საჭიროებების დაკმაყოფილება იყო. წარმატების კვალდაკვალ, აკადემია გაფართოვდა და მისი მიზანი საავტომობილო ინდუსტრიაში სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლება და შესაბამისი პროფესიული უნარებით აღჭურვა გახდა.

წარმატებული პროექტები

აკადემიის უწყვეტი განვითარების წარმატებული მაგალითია საერთაშორისო პროექტები უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობით.

აკადემიამ 2022 წელს, USAID-ს ხუთწლიანი პროგრამის „დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“ ფარგლებში, მძიმე ტექნიკის ოპერატორების მომზადება/გადამზადების პროგრამა შეიმუშავა. პროექტი მიზნად ისახავს კერძო სექტორთან თანამშრომლობას, ადამიანური კაპიტალის განვითარებასა და დასაქმების ახალი შესაძლებლობების გაჩენას.

იმავე პროგრამის მხარდაჭერით, აკადემია იწყებს პროფესიული მომზადება/გადამზადების 14 ახალი პროგრამის განხორციელებას, მსუბუქი, სატვირთო და სპეციალური დანიშნულების ტექნიკის მიმართულებით. **ამ დროისთვის „თეგეტა აკადემიის“ მიერ ჩატარდა 8 ტრენინგი 165-მდე მონაწილის ჩართულობით.**

აღსანიშნავია, რომ აკადემიამ შპს „ტრანსფორდთან“, შპს „თეგეტა მოტორსთან” და USAID-ის პროგრამასთან პარტნიორობით, 2024 წლისთვის ფოთში ახალი ფილიალის გახსნა და ბათუმში უკვე არსებული ტრენინგ - ცენტრის გააფართოებაც დაგეგმა.

„თეგეტა აკადემიისთვის“ მნიშვნელოვანია სტუდენტების/მსმენელების პროფესიული და პიროვნული ზრდის ხელშეწყობა. აკადემიის ბევრმა კურსდამთავრებულმა დაიკავა მაღალანაზღაურებადი პოზიცია საავტომობილო და სამშენებლო ინდუსტრიებში, შედეგად გაუმჯობესდა მათი ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობა. “თეგეტა მოტორსთან” თანამშრომლობით წლებია ხორციელდება პროექტი „დაიწყე კარიერა თეგეტაში“, რომლის ფარგლებშიც მონაწილეები გადიან კურსს ავტომობილების აგებულებისა და მუშაობის პრინციპების შესახებ. ყველა წარმატებული მონაწილე საქმდება „თეგეტა ჰოლდინგის“ მასშტაბით სხვადასხვა პოზიციაზე. **პროექტს ჯამში 27 ნაკადი ჰყავს, 400-მდე წარმატებული კურსდამთავრებულით.**

ჯამურად, „თეგეტა აკადემიის“ მიერ მიღწეული შედეგები:

1. 60 - ამდე აქტიური ტრენინგ - მოდული
2. 3 ავტორიზებული პროგრამა
3. 900 - ზე მეტი ჩატარებული ტრენინგი
4. ტრენინგებით კმაყოფილების დონე 97%
5. 11000 - მდე მონაწილე
6. ავტორიზებული პროგრამების სტუდენტთა 82% - ის თეგეტაში დასაქმება

ინკლუზიურობა

„თეგეტა აკადემიისთვის“ მნიშვნელოვანია უზრუნველყოს თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი ყველასთვის. ამ მიზნით, დამტკიცებულია „პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის შემუშავების, უფლების მოპოვების, აპლიკანტთა შერჩევის, მსმენელთა ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის განხორციელების წესი“, რომლის მიხედვითაც, სპეციალური საგანმანათლენლო საჭიროების მქონე აპლიკანტის რეგისტრაციისას აკადემია შერჩევის პროცესში რთავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტს. საჭიროების შემთხვევაში, აკადემია აგრძელებს თანამშრომლობას ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან პროგრამის ბოლომდე.

უკუკავშირი

აკადემიის ავტორიზებული პროგრამების შესაფასებლად ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანი ახლადშეძენილი პროფესიით დასაქმებულთა რაოდენობის და მათი კმაყოფილების დადგენა იყო. კურსდამთავრებულთა უმრავლესობა (82%) ,,თეგეტა ჰოლდინგში“ შემავალ კომპანიებში დასაქმდა. გამოვლინდა დასაქმებით კმაყოფილების საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი.

მოგზაური ბიბლიოთეკა

„თეგეტა“ 2022 წლიდან განათლების წახალისების ორიგინალურ პროექტში „მოგზაურ ბიბლიოთეკაშია“ ჩართული. ”Bookmobile”, იგივე — „მოგზაური ბიბლიოთეკა” „გაზეთ ბათუმელებისა” და „ნეტგაზეთის” პროექტია, რომელიც მაღალმთიან სოფლებში კითხვის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად. „მოგზაური ბიბლიოთეკის” მულტიფუნქციური ავტომანქანა სხვადასხვა ორგანიზაციის, გამომცემლობისა თუ უბრალოდ, ზრუნვის მსურველი ადამიანების დახმარებით, აჭარის მაღალმთიან სოფლებში მოგზაურობს და ადგილობრივ ბიბლიოთეკებს 700-მდე დასახელების წიგნით ამარაგებს.

საბურავებზე შემომდგარ, პირველ მოგზაურ ბიბლიოთეკას მანქანა ,,თეგეტას“ შვილობილმა კომპანიამ Tegeta Truck & Bus-მა შეუკეთა და გაუმართა. პროექტს ასევე მხარს უჭერს იაპონიის საელჩო.

„თეგეტას“ სახელით, მესამე წელია პერიოდულად ასობით წიგნი იგზავნება მაღალმთიანი სოფლების ბიბლიოთეკებში, ადგილობრივი მკითხველისთვის კი დროდადრო შემეცნებითი შეხვედრები იმართება ცნობილ მწერლებთან და ავტორებთან.

2022-2023 წლებში მოგზაური ბიბლიოთეკა ესტუმრა ზემო აჭარის შვიდ სკოლას, სადაც შეხვედრები გამართეს მწერლებმა დათო გორგილაძემ, ნესტან ნენე კვინიკაძემ, ლევან ბერძენიშვილმა და სხვებმა. ავტორებმა ლიტერატურის სიყვარულზე, ქალთა გაძლიერებაზე ილაპარაკეს. განათლების გავრცელებასთან ერთად, სასაუბრო თემები ასევე ეხებოდა შვილების აღზრდის პროცესში მამების ჩართულობის გაზრდას და ადრეული ასაკიდან, გენდერულ საკითხებზე ცნობიერების ამაღლებას.

შეხვედრებს ჯამში 700-მდე დამსწრე ჰყავდა



პროექტის გავლენა საზოგადოებაზე:

65 სკოლის ბიბლიოთეკა

50 000 ლარის წიგნების საჩუქრად

2000 წიგნი თეგეტასაგან საჩუქრად

7 სოფელში შეხვედრა

700 დამსწრე

მოგზაური ბიბლიოთეკა უკვე ეწვია 65 სკოლის ბიბლიოთეკას და 70,000 ლარის ღირებულების წიგნები მიიტანა, საიდანაც 50,000 ლარის წიგნები სკოლებს საჩუქრად გადაეცათ.

უშუალოდ ,,თეგეტას“ ჩართულობით, პროექტმა მოიცვა ზემო აჭარის შვიდი სოფელი და სკოლა, ცნობილი მწერლების მონაწილეობით კი 300-ზე მეტ ახალგაზრდასთან გამართა შეხვედრა.

ბიბლიოთეკების მხარდაჭერა

„თეგეტა“ „მოგზაური ბიბლიოთეკის“ გარდა, მხარს უჭერს ასევე სხვადასხვა რეგიონში ბიბლიოთეკის ცარიელი თაროების შევსებასა და მოწყობას, მომავალი თაობის განვითარების მხარდასაჭერად.

ამ პერიოდში, „თეგეტას“ თანადგომით განახლდა და წიგნების ფონდით შეივსო სოფელ აძვის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა. აქტივობა „ბიბლუსის“ კამპანიის ფარგლებში „წიგნი მშვიდობისათვის“ განხორციელდა. კამპანიის მიზანს გორის მუნიციპალიტეტში საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლების საჯარო სკოლების საბავშვო ლიტერატურითა და ენციკლოპედიური გამოცემებით მომარაგება წარმოადგენდა.

გურიაში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნარუჯაში პირველი ბიბლიოთეკა ადგილობრივი ახალგაზრდების ინიციატივით მოეწყო. „თეგეტა“ მხარდამჭერებს შორის იყო და ბიბლიოთეკა სასურველი წიგნებით მოამარაგა.

6.2.6 გარემოს დაცვა

„თეგეტასთვის“ გარემოზე ზრუნვა მნიშვნელოვანი კორპორაციული მდგრადობის ნაწილია. თუმცა გარდა ზოგადად ბიზნესსაქმიანობისა და ჰოლდინგის შიგნით დაინიცირებული პროექტებისა, „თეგეტა“ დამატებით გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების კუთხითაც აქტიურია. კომპანიის კომპლექსური ხედვა გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის მიმართულებით გარემოს დაცვის თავშია წარმოდგენილი. რაც შეეხება 2022-2023 წლებში გარემოსდაცვითი ცნობიერებისა და მოხალისეობის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს, ამ კუთხით ჰოლდინგმა არაერთი აქტივობა განახორციელა.

დასუფთავების საერთაშორისო დღე

300 კგ
ნარჩენი

მსოფლიო დასუფთავების დღეს „თეგეტა“ ყოველწლიურად უერთდება.

2022-2023 წლებში „თეგეტა ჰოლდინგის“, „თეგეტა გრინ პლანეტისა“ და Porsche Center Tbilisi-ს თანამშრომლებმა თბილისში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბუნებრივად გამწვანებული ტერიტორია და ერთადერთი შემორჩენილი ჭალების ტყე – დიღმის ჭალები დაასუფთავეს. მსოფლიო დასუფთავების დღის აქცია „პოლივიმის“, „პარკი არ მინდა“-სა და დიღმის ჭალების გარემოსდაცვითი მუზეუმის მხარდაჭერით გაიმართა.

ორივე წელს, ინიციატივაში „თეგეტას“ 40-მდე თანამშრომელი ჩაერთო. ჯამში, 300 კგ-ზე მეტი ნარჩენი შეგროვდა, მათ შორის პლასტმასა, მინა და ალუმინი. ნარჩენები გადასამუშავებლად პარტნიორ ორგანიზაციებში გაიგზავნა.

ბაკურიანის დალაგების მასშტაბური ფესტივალი

მსოფლიოს გარემოს დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქველმოქმედო ორგანიზაცია „სადაგის“ ორგანიზებით, ბაკურიანის დალაგების ფესტივალი მოეწყო, რომელშიც 400-ამდე მოხალისე ჩაერთო თბილისიდან, გორიდან, ბორჯომიდან და ბაკურიანიდან. ბაკურიანის დალაგების ფესტივალის ოქროს სპონსორებს შორის იყო „თეგეტა ჰოლდინგი“ და „თეგეტა გრინ პლანეტი“.

დალაგების ყოველწლიური ფესტივალის მიზანი კურორტის დასუფთავება, ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით სისუფთავის შენარჩუნება და ბუნებაში დანაგვიანების პრობლემის აღმოფხვრის პოპულარიზაცია იყო.

დასუფთავების შედეგად, ბაკურიანში შეგროვდა 52 000 ლიტრი ნარჩენი, სამშენებლო ნარჩენის გამოკლებით, როგორიცაა ლითონისა და ხის გისოსები და ასევე ავტომობილისა და სატვირთო ავტომობილის 400-ამდე საბურავი.

მწვანე ბაზარი

„თეგეტასა“ და „თეგეტა გრინ პლანეტის“ მხარდაჭერით, თბილისში სოციალური ფესტივალი მწვანე ბაზარი გაიმართა, სადაც მწვანე და სოციალური საწარმოებისგან შემდგარი, 70-მდე მეწარმის ნამუშევრები და პროექტები იყო წარმოდგენილი.

ღონისძიების მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ასევე ვორქშოპები და დისკუსია პლანეტის მწვანე მომავალზე, რომელიც „თეგეტა გრინ პლანეტის“ სივრცეში მოეწყო.

მწვანე ბაზარზე მოსულ საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონდა, მეტი ინფორმაცია მიეღო მეორადი ზეთის, აკუმულატორისა თუ საბურავის ჩაბარების გზებზე, რათა ნარჩენები ბუნებაში არ მოხვდეს.

გარემოსდაცვითი კონკურსი „ეკოსკოლელების გზავნილები“

ორგანიზაციამ „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ „თეგეტა გრინ პლანეტის“ მხარდაჭერით, სკოლის მოსწავლეებს ეკომეგობრული კონკურსი შესთავაზა. აქტივობის მთავარი მიზანი გარემოსდაცვითი ცოდნის ამაღლება და ეკოაქტივიზმის წახალისება იყო.

კონკურსში 412 მონაწილე ჩაერთო. საინტერესო და მრავალფეროვანი იყო საკონკურსო თემებზე დამუშავებული ნამუშევრები.

კონკურსის შედეგად, მონაწილეებმა ახალი გარემოსდაცვითი მანიშნებლები შემდეგ სამუშაო თემებზე შექმნეს: ნარჩენების მართვა, ბიომრავალფეროვნების დაცვა, დანაგვიანების შემცირება და „თეგეტა გრინ პლანეტის“ სპეციალური ნომინაცია, რომელიც სპეციფიკური ნარჩენების, კერძოდ, მეორადი საბურავების, საავტომობილო ზეთებისა და აკუმულატორის გადამუშავების მნიშვნელობაზე ამახვილებდა ყურადღებას. მოსწავლეების მიერ შექმნილი ეკოგზავნილები მზიურის კაფეშია თავმოყრილი.

412
ჩართული ახალგაზრდა

7.უსაფრთხოება

7.1. თანამშრომლების უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

7.2. საგზაო უსაფრთხოების ხელშეწყობა თეგეტაში

7.3. საგზაო უსაფრთხოების ხელშეწყობა საზოგადოებაში

7. უსაფრთხოება

„თეგეტასთვის“ მომხმარებლისა და თანამშრომლის უსაფრთხოება და ჯანმრთელობა ერთ-ერთ მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, რაც გულისხმობს სისტემურ ძალისხმევას, იზრუნოს უსაფრთხო გარემოს შექმნაზე როგორც ჰოლდინგის შიგნით, ისე მის გარეთ. 2022-2023 წლებში, კომპანიამ შემდეგი ძირითადი მიმართულებებით იმუშავა:

- თანამშრომელთა უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე;
- საგზაო უსაფრთხოება.

კომპანიის მიზანია იმ ძირითადი მოთხოვნებისა და პრევენციული ღონისძიებების ზოგადი პრინციპების განსაზღვრა, რომლებიც უკავშირდება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების საკითხებს, არსებულ და მოსალოდნელ საფრთხეებს, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილებას, დასაქმებულთა სწავლებას, მათთვის ინფორმაციის მიწოდებასა და კონსულტაციის გაწევას და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში დასაქმებულთა თანაბარ მონაწილეობას.

„თეგეტა“ იყენებს კომპლექსურ მიდგომას როგორც პროდუქციის/მომსახურების უსაფრთხოების დასაცავად, ასევე სამუშაო ადგილზე თანამშრომლებისათვის უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად და შესანარჩუნებლად. ამასთანავე, კომპანია ისახავს მიზნებს განახორციელოს ინიციატივები, რომლებიც მისი თანამშრომლების დაშავების და სატრანსპორტო საშუალებების საგზაო შემთხვევების რისკს შეამცირებს.

7.1 თანამშრომლების უსაფრთხოება სამუშაო გარემოში

„თეგეტა“ ფლობს შრომის უსაფრთხოებაში ISO 45001 სტანდარტს, რომლის შესაბამისადაც საქმიანობს შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის დეპარტამენტი და უზრუნველყოფს:

- ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური ფაქტორების გაზომვას, შეფასებას და დოკუმენტირებას შესაბამისი რეკომენდაციების გათვალისწინებით;
- სამუშაო სივრცეში უბედური და საშიში შემთხვევების მოკვლევას, აღრიცხვას და ანგარიშგებას;
- შესაძლო პროფესიული დაავადებების განვითარების მონიტორინგს;
- ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობის პერიოდული შემოწმების განხორციელების მონიტორინგს;
- ინდივიდუალური დაცვის საშუალებების და სხვა დამცავი საშუალებების განსაზღვრას და შესაბამისობის დადგენას;
- სამუშაო პირობების, საფრთხის ხარისხის, ხასიათისა და სტრუქტურის და შესაბამისი რისკების გათვალისწინებით დასაქმებულებისათვის სწავლების (ტრენინგების) და ინსტრუქტაჟის ჩატარებას;
- რისკების შეფასებას და პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრას;
- საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ორგანიზებას.

რისკის შეფასების მიზანია დაეხმაროს ჰოლდინგს გაატაროს პრევენციული ღონისძიებები შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დასაცავად. ეს არის ღონისძიებათა კომპლექსი და ეფუძნება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აღიარებულ მეთოდოლოგიას. „თეგეტა“ ყოველდღიურ რეჟიმში აიდენტიფიცრებს სამუშაო პროცესთან დაკავშირებულ საფრთხეებს, აანალიზებს, აფასებს და ატარებს პრევენციულ ღონისძიებებს, რომლებიც ამ რისკების თავიდან აცილებაზე ან მინიმუმადე დაყვანაზეა ორიენტირებული.

„თეგეტაში“ დანერგილი რისკების შეფასების პროცესი ხუთი საფეხურისგან შედგება:

- საფრთხეების იდენტიფიცირება სამუშაო სივრცეში;
- ყოველ იდენტიფიცირებულ საფრთხესთან მიმართებაში პირთა წრის განსაზღვრა და თანამშრომელთა ყველა საჭიროების გათვალისწინება, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, ორსული და მეძუძური ქალებისა და არასრულწლოვნებისათვის არსებული საჭიროებები;
- რისკის შეფასება/საკონტროლო ღონისძიებების განსაზღვრა და დანერგვა;
- საკონტროლო ღონისძიებების გატარებაზე პასუხისმგებელი პირის და პრევენციული აქტივობების ვადების განსაზღვრა;
- შედეგების დოკუმენტირება და მონიტორინგი.

საფრთხის იდენტიფიცირება და რისკის შეფასება ხორციელდება არა შერჩევის პრინციპით, არამედ მთელი კომპანიის მასშტაბით, მის ყველა სტრუქტურულ, თუ ორგანიზაციულ დონეზე.

თანამშრომლებთან კომუნიკაციის დროს შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლები, მაქსიმალურად ცდილობენ მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია ნებისმიერი შეუსაბამობის, პრობლემური საკითხის, დარღვევების თუ გადაცდომების შესახებ, რომელიც აღინიშნება ანგარიშში, ან საუბრებში პასუხიმგებელ პირებთან. ამასთან გათვალისწინებულია დასაქმებულების ინტერესები კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით.

„თეგეტა“ აცნობიერებს, რომ ვალდებულია უზრუნველყოს თანამშრომლები ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოთი, რასაც მუდმივი მონიტორინგის, მათთან კომუნიკაციისა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებით ახორციელებს.

დამატებით, „თეგეტა“ აცნობს თანამშრომლებს შრომის კოდექსითა და ორგანული კანონით შრომის უსაფრთხოების შესახებ განსაზღვრულ უფლებებს ინსტრუქტაჟების სახით.

შრომის შინაგანაწესით, ჰოლდინგის მასშტაბით უზრუნველყოფილია, დამატებითი ანაზღაურებადი შვებულება 10 კალენდარული დღის ოდენობით, ვინც მძიმე, მავნე ან საშიშ პირობებიან გარემოში მუშაობს.

სამუშაოსთან დაკავშირებული დაზიანებების და ავადმყოფობის/დაავადებების აღრიცხვა და მართვა

სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევის დადგომიდან 24 საათის განმავლობაში კომპანიის მხრიდან ხორციელდება საშუალო, მძიმე, ფატალური და მასობრივი უბედური შემთხვევის შესახებ შეტყობინების გაგზავნა ზედამხედველ ორგანოში. ასევე შემუშავებულია სამუშაო ადგილზე უბედური/საშიში შემთხვევების რეგისტრაციის ჟურნალი და ყოველწლიურად მუშავდება სტატისტიკა. უმეტეს შემთხვევაში დაზიანების ტიპები განეკუთვნება მსუბუქი და საშუალო სიმძიმის დაზიანებებს, რის აღსაკვეთადაც „თეგეტა“ პრევენციული ხასიათის ღონისძიებებს მუდმივად ატარებს.

თანამშრომელთა ჩართულობა და კომუნიკაცია შრომის ჯანმრთელობის და უსაფრთხოების შესახებ

შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის საკითხებზე კომპანია აქტიურად ახორციელებს თანამშრომლებთან შეხვედრებს და ისმენს მათგან უკუკავშირს. კომუნიკაციის ძირითადი საშუალებებია: ელექტრონული ფოსტა, ვერბალური კომუნიკაცია, ვიდეორგოლები.

2023 წელს განხორციელდა უშუალო ინსტრუქტაჟები და სწავლება ჰოლდინგის 1348 თანამშრომელთან, ხოლო ვიდეო ინსტრუქტაჟები 106 თანამშრომელმა გაიარა. ჩატარდა 94 ტრენინგი.

თანამშრომლების ჯანმრთელობის და შრომის უსაფრთხოების ხელშემწყობი ინიციატივები

შრომის უსაფრთხოების შესახებ მომზადებულია 19 თემატური ვიდეო ინსტრუქტაჟი, რომელსაც თანამშრომლები ეცნობიან ონლაინ კურსის საშუალებით.

კომპანიაში მოქმედებს კორპორაციული დაზღვევა და მძიმე, მავნე და საშიშ პირობებიან პოზიციებზე უბედური შემთხვევის დაზღვევა. 2024 წლისთვის კომპანია მძიმე, მავნე და საშიშ პირობებიან პოზიციებზე მყოფი თანამშრომლებისთვის ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტის ანაზღაურებას უზრუნველყოფას გეგმავს.

კორპორაციული დაზღვევა

2023 წელს ჰოლდინგის მასშტაბით ჯანმრთელობის დაზღვევით 2018 თანამშრომელმა ისარგებლა.

მამაკაცები
1558

ქალები
460

კომპანია თანამშრომლებისთვის სადაზღვევო პაკეტის ნახევარს იხდის.

ჯანმრთელი ცხოვრების ხელშეწყობა

Wings for life

თეგეტა რვა წელია ერთვება საერთაშორისო საქველმოქმედო მარათონში Wings for Life World Run. 2023 წელს 200-მდე თეგეტელი ერთი მიზნით, ზურგის ტვინის დაზიანების სამკურნალოდ გაერთიანდა.

200
ჩართული თანამშრომელი

36 გუნდი
400 თანამშრომელი
ჩიგით მე-7 ჩემპიონობა

„თეგეტას თასი“

2023 წელს „თეგეტამ“ რიგით მეშვიდე მინი ფეხბურთის ჩემპიონატს უმასპინძლა. შიდა შეჯიბრებაში 36 გუნდი მონაწილეობდა, რომლებიც ჰოლდინგის 400-მდე თანამშრომლით იყო დაკომპლექტებული. ტურნირის მთავარი მიზანი ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასთან ერთად, დადებითი ემოციების გაზიარება და სასიამოვნო მოგონებების შეგროვებაა.

სისხლის დონორები

სისხლის დონაცია „თეგეტას“ თანამშრომლებისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაა. მათ 2023 წლის მანძილზე ორჯერ გაიღეს სისხლი ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემების მქონე ადამიანებისთვის. ზრუნვის იდეით ჯამში 80-მდე თანამშრომელი გაერთიანდა და გახდა დონორი.

7.2. საგზაო უსაფრთხოების ხელშეწყობა თეგეტაში

საგზაო უსაფრთხოება „თეგეტას“ CSR სტრატეგიის პრიორიტეტული მიმართულებაა.

ჰოლდინგს საგზაო უსაფრთხოების ხელშეწყობის მიზნით, სხვადასხვა მიდგომა აქვს. მძღოლების შერჩევის დროს, პრიორიტეტი გამოცდილებას, პრაქტიკას, პროფესიონალიზმსა და პასუხისმგებლობას ენიჭება. წელიწადში ერთხელ მათ ფორმა 100-ის წარმოდგენის ვალდებულება აქვთ. სახიფათო ნარჩენების გადაზიდვაზე მომუშავე თანამშრომლებს, უტარდებათ ტრენინგები ქცევის ნორმებთან და უსაფრთხოების სტანდარტებთან დაკავშირებით.

კონკრეტულ ავტომობილებსა და მძღოლებზე საქართველოს სატრანსპორტო სააგენტოს მხრიდან გაიცემა ADR ცნობა, რის საფუძველზეც „თეგეტას“ სახიფათო ნარჩენების გადატანის უფლება აქვს.

კომპანიაში ყველა ავტომობილი დაზღვეულია. ავარიის შემთხვევაში, ხდება მათი აღრიცხვა. პროცესში ერთვება სადაზღვევო კომპანია და საპატრულო პოლიცია.

ყველა ავტომობილი აღჭურვილია GPS მოწყობილობით, რომელიც 24/7-ზე იწერს ინფორმაციას ავტომობილის გადაადგილების, სიჩქარის, მოძრაობის სტილისა და კულტურის შესახებ. პროცესების მონიტორინგისა და ანალიზის შესაბამისად ვითარდება და იხვეწება შიდა სტანდარტები. მაგალითად, „თეგეტამ“ შემოიღო მძღოლების ქულების შეფასების სისტემა, რომლის მიხედვითაც წახალისდება ან პირიქით, დასანქცირდება, ავტომობილების ტარების კულტურა.

ავტომობილების შერჩევისას უპირატესობა ენიჭება ახალ ან დაბალი წლოვანების მანქანებს და ნაკლებ გარბენს, რაც თავისთავად უსაფრთხოებაზე მიუთითებს. ყოველ 10.000 კმ-ზე მოწმდება ავტომობილების ტექნიკური მდგომარეობა.

ყველა ავტომობილი აღჭურვილია პირველადი დახმარების პაკეტითა და ცეცხლმაქრით.

7.3. საგზაო უსაფრთხოების ხელშეწყობა საზოგადოებაში

საგზაო მოძრაობის კულტურაზე ცნობიერების ამაღლება ხშირ შემთხვევაში „თეგეტას“ მარკეტინგული კამპანიების მთავარი ხაზია. კომპანია მუდმივად მოუწოდებს საზოგადოებას, გაიაზრონ პასუხისმგებლობა, ატარონ მანქანა უსაფრთხოდ და იზრუნონ ერთმანეთზე საგზაო წესების დაცვით.

„თეგეტას“ მიერ ჯერ კიდევ წლების წინ დაწყებულმა კამპანიამ საქართველოში ზამთრის საბურავების ცნება დაამკვიდრა და მძღოლებისთვის ზამთარში გადაადგილება ბევრად უსაფრთხო გახადა.

ამ კუთხით მასშტაბური კამპანიების ჩამონათვალშია „იზრუნე საგზაო მოძრაობის კულტურაზე“, „აღნიშნე როგორც გინდა, მაგრამ არ მართო მანქანა ნასვამ მდგომარეობაში“, „არ გამბოლო“ და სხვ. „თეგეტა“, უკვე ტრადიციულად, უერთდება გაეროს საგზაო უსაფრთხოების გლობალურ კვირეულს, არის ისეთი ინიციატივების მხარდამჭერი, როგორებიცაა „საგზაო ლოტოს“ შექმნა და ა.შ.

საგზაო მოძრაობის კულტურის კამპანია

2022-2023 წლებში ერთ-ერთი მასშტაბური კამპანია საგზაო მოძრაობის კულტურაზე ცნობიერების გაზრდასა და საქართველოს მოქალაქეების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვას ეხებოდა.

კამპანიის ფარგლებში შეიქმნა და გავრცელდა 30-მდე უჩვეულო საგზაო ნიშანი, სიმბოლო, რომლებიც როგორც მძღოლების, ისე ქვეითების მანკიერ ქმედებებს წარმოაჩენდა და ადამიანებს მეგობრულად ახსენებდა ქცევის წებს საერთო სიკეთის, - ქვეყანაში საგზაო კულტურის გასაუმჯობესებლად.

“ქუჩა სანაგვე ყუთი არ არის”, “სავალი გზა ქვეითებსაც სჭირდებათ”, “გასაფრთხილებლად ერთხელ დასიგნალებაც საკმარისია”, “სასწრაფოს შენზე მეტად ეჩქარება” — ამ და სხვა მნიშვნელოვანი მესიჯების გავრცელების ინიციატივა საკუთარ თავზე „თეგეტას“ მომხმარებლებმაც აიღეს, რომელთაც ახალი საგზაო ნიშნების მანქანის სტიკერები დაურიგდათ. ამ ჟესტით ისინი კამპანიის ამბასადორები გახდნენ და ყოველდღიურად შეახსენებდნენ თანამოქალაქეებს მათთვის ყველაზე აქტუალური კულტურული ნორმების შესახებ.

კამპანიაში ჩაერთო 500-ზე მეტი მომხმარებელი, რომელთაც იდეის მხარდაჭერისთვის საჩუქრად „თეგეტა მოტორსის“ 25%-იანი ფასდაკლების ვაუჩერები გადაეცათ.

კამპანიას შემოუერთდნენ ცნობილი ადამიანები, რომლებმაც საკუთარ გამოცდილებებზე საუბრით საზოგადოებას შეახსენეს საგზაო მოძრაობის კულტურის მნიშვნელობა.

კამპანიას შთამბეჭდავი შედეგები ჰქონდა. მომზადდა 10-მდე ვიდეორგოლი, 10-ზე მეტი სხვადასხვა თემატიკის სტატია, რომლებიც 30-ზე მეტ ონლაინ სააგენტოზე გავრცელდა, კამპანიის შესახებ გააშუქეს ტელევიზიებმა.

გამხსნელმა ვიდეომ 2.5 მილიონზე მეტი მნახველის ყურადღება მიიქცია, მაშინ როდესაც დანარჩენი ვიდეოების უნიკალური მაყურებლების ჯამური რიცხვი 1.5 მილიონზე მეტი ადამიანი შეადგინა.

სოციალურ ქსელებში კამპანიის

2475574 REACH

806198 ENGAGEMENT

4881590 VIDEO VIEWS

5490 COMMENTS

96705 REACTIONS

2942 NEW FOLLOWERS

საახალწლო კამპანია „აღნიშნე, როგორც გინდა, მაგრამ არ მართო მანქანა ნასვამ მდგომარეობაში"

ახალი წელი რამდენადაც ჯადოსნურია, იმდენად ყველაზე ბედნიერ და მხიარულ პერიოდში ავტოსაგზაო შემთხვევების სტატისტიკა საგრძნობლად იმატებს.

სწორედ ამ მანკიერ ქცევასა და მნიშვნელოვან საკითხს ეხმიანებოდა „თეგეტა ჰოლდინგის" 2023 წლის საახალწლო კამპანია, რომელიც მძღოლებს არაფხიზელ მდგომარეობაში ავტომობილის მართვაზე უარის თქმისკენ მოუწოდებდა. კამპანიის მთავარი ვიდეო ახალი წლის აღნიშვნის განსხვავებულ, მრავალფეროვან გზებს წარმოაჩენდა და ხაზს უსვამდა, რომ ყველას ახალ წელთან შეხვედრის საკუთარი ტრადიცია აქვს. თუმცა ერთადერთი, რაც გასათვალისიწნებელია, არის ის, რომ არაფხიზელ მდგომარეობაში მანქანის მართვა დაუშვებელია.

გამხსნელი ვიდეოთი კომპანიამ თავისი სათქმელი სამ მილიონ ადამიანამდე მიიტანა.

კამპანიის შედეგები

3137115 VIDEO VIEWS

11158 REACTIONS

710 COMMENTS

585 SHARES



საგზაო ლოტო

შემეცნებითი თამაში „საგზაო ლოტო" „თეგეტასა" და „თამაშობანას" კოლაბორაციით შეიქმნა. მისი მიზანია, ბავშვებს თამაშ-თამაშით საგზაო მოძრაობის წესების სწავლაში დაეხმაროს და მგზავრობის პროცესი გაუხალისოს. „საგზაო ლოტო" კამპანიის „საგზაო მოძრაობის კულტურის" 30 ნიშანს აერთიანებს, რომელიც საზოგადოებაში მანკიერი ქცევის აღმოფხვრას და მის ცვლილებას ისახავს მიზნად.

გაეროს საგზაო უსაფრთხოების გლობალური კვირეული

„თეგეტა ჰოლდინგი" 2022-2023 წლებში, ორჯერ შეუერთდა გაეროს გლობალურ წამოწყებას, რომელიც ავტოსაგზაო შემთხვევების შესამცირებლად ცნობიერების ამაღლებას ისახავდა მიზნად.

„თეგეტაში" საგზაო უსაფრთხოების კვირეულში ჩართვა ტრადიციად იქცა. გაეროს მუდმივ წარმომადგენლობასთან ერთად, ორგანიზაცია „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის" ორგანიზებით არაერთი ცნობიერების ამაღლების კამპანია ჩატარდა, რომელიც „თეგეტა ჰოლდინგისა" და მისი შვილობილი კომპანიის „ვოლვო ქარ კავკასიის" მიერ იყო მხარდაჭერილი.

დანართი

თანამშრომლების შესახებ ძირითადი მონაცემები 2023

- **კომპანიის თანამშრომელთა განაწილება**

სქესის მიხედვით განაწილება		
სქესი	რაოდენობრივი განაწილება	პროცენტული განაწილება
მამრობითი	2098	76%
მდედრობითი	675	24%
ჯამი	2773	100%

ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით განაწილება		
ასაკობრივი კატეგორია	რაოდენობრივი განაწილება	პროცენტული განაწილება
<25	186	7%
25-35	1326	48%
35-45	831	30%
45-55	274	10%
55+	156	6%

„თეგეტა მოტორსისა" და მისი შვილობილი/დაკავშირებული კომპანიების სქესის მიხედვით განაწილება			
კომპანიები	მამრობითი	მდედრობითი	რაოდენობა
შპს "თეგეტა რითეილი"	1257	252	1509
შპს "თეგეტა მოტორსი"	398	251	649
შპს "ტოიოტა ცენტრი თეგეტა"	82	29	111
შპს „თეგეტა ქონსთრაქშენ ექვიფმენთ"	82	20	102
შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას"	76	20	96
შპს „თეგეტა დისტრიბუცია"	66	17	83
შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელს"	33	20	53
შპს „თი-ბი-ეი თეგეტა"	24	7	31
შპს "თეგეტა ინთერნეიშენალ"	23	4	27
შპს "ქონსთრაქშენ მეშინერი ჯორჯია"	16	11	27
შპს "თეგეტა ქარ რენთ"	16	7	23
შპს "თეგეტა ლოჯისტიკი"	11	12	23
შპს "კავკასუს ავტომოტივი"	17	6	23
შპს "სკანდინავიან ავტო თეგეტა"	13	9	22
შპს "თეგეტა ეფრუვდ"	15	4	19
შპს "თეგეტა ქომერშელ ვიიქლს"	9	9	18
შპს "თეგეტა აკადემია"	8	7	15
შპს "კავკასუს მეშინერი"	6	7	13
შპს "ავტო გალერი"	12		13

კომპანიებისა და სქესის მიხედვით განაწილება			
კომპანია	მამრობითი	მდედრობითი	რაოდენობა
შპს „თეგეტა ინდასტრი"	11	1	12
შპს „თეგეტა რენტალს"	6	5	11
შპს „თეგეტა ავტომოტივ იმპორტი"	3	5	8
შპს „თეგეტა პრაიმ პროდაქტს"	5	4	9
ააიპ "თეგეტა გრინ პლანეტ"	6	1	7
შპს " თეგეტა თაიარ იმპორტს"	2	3	5

- **ტოპ მენეჯმენტში თანამშრომლების გადანაწილება**

ტოპ მენეჯმენტი[1]	%	რაოდენობა
სულ	100%	29
ქალი	7%	2
კაცი	93%	27

- **რეკრუტირებული თანამშრომლები**

ახალი მიღებების რაოდენობა		
რეკრუტირებულ თანამშრომელთა საერთო რაოდენობა	მდედრობითი	მამრობითი
730	209	521
	29%	71%

- **ჯანმრთელობის დაზღვევა**

„თეგეტა ჰოლდინგი" თანამშრომლებს სთავაზობს დაზღვევის მრავალფეროვან პაკეტებს და **თითოეულისთვის ინდივიდუალურად ფარავს ღირებულების 50%-ს.**

ჯანმრთელობის დაზღვევა	
სულ	2018
ქალი	460
კაცი	1558

[1] ტოპ მენეჯმენტში იგულისხმება ჩამოთვლილი კომპანიის მთავარი ოფიცრები & ოფიცრების მოვალეობის შემსრულებლები